საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი

ნ. როდონაია

თბილისის მრეწველობა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში

(რეფორმისშემდგომი ხანა)

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემლობა
თბილისი—1961

ნათელა როდონაიას მონოგრაფია „თბილისის მრეწველობა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში (რეფორმისშემდგომი ხანა)“ მიზნად ისახავს რეფორმისშემდგომი ხანის თბილისის მრეწველობის განვითარების გზების, ხასიათისა და მნიშვნელობის შესწავლას. ამ პერიოდში ინტენსიურად მიმდინარეობს თბილისის ბურჟუაზიულ ქალაქად ჩამოყალიბების პროცესი, რაც პირველ რიგში მრეწველობის განვითარებაში აისახა. თუ რეფორმამდელ ხანაში თბილისის მრეწველობა ძირითადად კუსტარულ ხასიათს ატარებდა და წარმოების გაბატონებულ ფორმას ხელოსნობა წარმოადგენდა, 70—80-იანი წლებიდან მრაველად ჩნდება მსხვილი საწარმოები; წამყვანი როლი კაპიტალისტურ პრეწველობას ენიჭება.

წიგნში განხილულია თბილისის მრეწველობის ცალკეული დარგების განვითარება, ორთქლის ძრავის შეკრა წარმოებაში და ბანუანურ წარმოებაზე გადასვლა. ნაჩვენებია ხელოსნური წარმოების როლის შემცირება, მისი კაპიტალისტური ევოლუცია.

შესავალი

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარი საქართველოს ისტორიის ახალი ხანის—მისი ბურჟუაზიული განვითარების ხანის დასაწყისია. ამ დროისათვის ჩვენში მთელი სისწრაფით მიმდინარეობს ფეოდალურ-ბატონყმური მეურნეობის რღვევისა და კაპიტალისტურ ურთიერთობათა ჩასახვა-განვითარების პროცესი. მნიშვნელოვანი ძვრები ხდება ქვეყნის სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში; ვითარდება მრეწველობა, ვაჭრობა, შენდება რკინიგზები, რომლებიც ქვეყანას მსოფლიო ბაზარს უკავშირებს. ამას მოსდევს ახალი სამრეწველო ცენტრების გაჩენა, ქალაქების მოსახლეობის ზრდა და მისი სოციალური შედგენილობის შეცვლა. ბატონყმობის გაუქმებამ, რკინიგზების გაყვანამ და ადგილობრივი მრეწველობის აღმოცენებამ მთელი რევოლუცია გამოიწვია საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში—ამიერიდან საზოგადოებრივ ურთიერთობათა გაბატონებულ ფორმად კაპიტალისტური ურთიერთობა იქცევა.

ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის ჩასახვა-განვითარება უპირველესად ქალაქების ცხოვრებაში აისახება და ასე მოხდა თბილისშიც. იგი აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის კაპიტალისტური განვითარების საქმეში და მნიშვნელოვან სამრეწველო ცენტრად იქცა.

წარმოდგენილი ნაშრომის მიზანს შეადგენს აჩვენოს რეფორმისშემდგომი ხანის თბილისის მრეწველობის განვითარება, მისი ხასიათი და მნიშვნელობა. იგი უმთავრესად საარქივო მასალას ეყრდნობა, რომლის ძირითადი ნაწილი

ჩვენ მიერ ამოკრეფილია საქართველოს და ლენინგრადის ცენტრალური საისტორიო არქივების ფონდებიდან.

უნდა აღინიშნოს, რომ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის თბილისის მრეწველობის შესახებ სპეციალური გამოკვლევა არ არსებობს, მაგრამ ცალკეული საყურადღებო ცნობები მოიპოვება რიგ ნაშრომებში. მათგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: სტეფანე გულიშამბაროვის „Обзор фабрик и заводов Тифлисской губернии" (1888 წ.) და „Обзор фабрик и заводов Закавказского Края" (1894 წ.), რომლებიც ბევრ საინტერესო ცნობებს გვაწვდის საკვლევი საკითხების გარშემო და სხვა მასალებთან მათი შეჯერების შემდეგ შეიძლება მივიჩნიოთ ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ; შ. ჩხეტიას კაპიტალური ნაშრომი „Тбилиси в XIX столетии" (ეხება 60-იანი წლების მეორე ნახევარს); პ. გუგუშვილის ნაშრომები საქართველოს ეკონომიური განვითარების საკითხებზე; მათ შორის: „ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX—XX საუკუნეებში"; „საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის განვითარება ამიერკავკასიაში"; „ამქრული ხელოსნობის დაშლა ამიერკავკასიაში"; ეს ნაშრომი შემდგომში შევიდა მონოგრაფიაში „Развитие промышленности в Грузии и Закавказье в XIX—XX вв." (1957 წ.) და სხვ. შ. მესხიას—„Города и городской строй феодальной Грузии (XVII—XVIII вв.)"; გ. ბაქრაძის „Возникновение и развитие капиталистической промышленности в Грузии в XIX веке" (1958 წ.) და სხვ.

გარდა ამისა, გამოყენებულია ის სტატისტიკური ცნობარები, რომლებიც გამოდიოდა ადგილზე—თბილისში თუ პეტერბურგში—მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში. იმ დროის ოფიციალური სტატისტიკა დიდად ჩამორჩა ცხოვრებას; მასში არ აისახა საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსული ახალი ძალები. აქედან ცხადია, რომ მათში თავმოყრილი მასალა არ არის ზუსტი და დამაკმაყოფილებელი—ხშირად გარკვეულიც კი არაა, რას გულისხმობენ სტატისტიკოსები ფაბრიკისა და ქარხნის ცნების ქვეშ. ვ. ი. ლენინი

აღნიშნავდა, რომ „საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკას დღემდე შერჩენილი აქვს თავისი ძველი, წმინდა რეფორმამდელი ორგანიზაცია... სრულიად არ არის განსაზღვრული „ფაბრიკისა და ქარხნის ცნება“[1]. ამ უკანასკნელთა შორის სტატისტიკოსები ხშირად წვრილ საწარმოებს გულისხმობდნენ, სადაც სულ რამდენიმე კაცი მუშაობდა და რომლის წარმოების წლიური ღირებულება 1.000 მან. თუ შეადგენდა. მიუხედავად ასეთი ნაკლოვანებებისა, ეს ცნობარები სხვა მონაცემებთან მათი შედარებისა და შემოწმების საშუალებით წარმოდგენას ქმნის საკითხის გარშემო.

გამოყენებულ ლიტერატურათა შორის უნდა დავასახელოთ გამოქვეყნებული დოკუმენტები, როგორიცაა: შ. ცაგარეიშვილის „საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობისა და მუშათა კლასის ისტორიისათვის საქართველოში“; შ. ჩხეტიას მიერ გამოქვეყნებული ხარკოვის ოლქის საფაბრიკო ინსპექტორის გნედიჩის მოხსენება და სხვ., რომლებიც პირველადი წყაროს მნიშვნელობისაა. ნაშრომში გათვალისწინებულია იმდროინდელი პერიოდული გამოცემები და პრესა, რომლის ფურცლებზეც ხშირად გვხვდება საინტერესო მითითებები და შენიშვნები; მათი მეშვეობით შესაძლებელი ხდება ძირითადში სწორად წარმოვიდგინოთ მაშინდელი პროგრესული ქართველი საზოგადოების განწყობილება ქვეყნის განვითარებისადმი.

წიგნის აგებისას ჩვენთვის ამოსავალი იყო მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაშრომები; განსაკუთრებით კ. მარქსის „კაპიტალი“ და ვ. ი. ლენინის „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“, რომლებშიც მოცემულია კაპიტალიზმის ჩასახვისა და განვითარების მეცნიერული ახსნა.

ასეთია მოკლედ ის მასალა, რომელზედაც ჩვენი ნაშრომია დამყარებული. დაწვრილებით კი გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა იხ. დართულ ბიბლიოგრაფიაში.

ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო წიგნი ძალზე შემოკლებით იბეჭდება.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, გვ. 538

თავი პირველი

მრეწველობის ცალკეული დარგები 70—80-იან წლებში

რეფორმის შემდეგ თბილისი მტკიცედ დაადგა კაპიტალისტური განვითარების გზას. თუ რეფორმამდელ ხანაში მრეწველობა ძირითადში კუსტარულ ხასიათს ატარებდა და წარმოების გაბატონებულ ფორმას ხელოსნობა წარმოადგენდა, 70-იანი წლებიდან ჩნდება მსხვილი საწარმოები: ვითარდება დამუშავებითი მრეწველობის ცალკეული დარგები. თბილისის მრეწველობის შემდგომი განვითარების საქმეში დიდი როლი ითამაშა რკინიგზამ, რომელმაც შექმნა რეალური პირობები ქვეყნის ეკონომიური გაერთიანებისათვის, ერთიანი ბაზრის შექმნისათვის; რკინიგზამ საქართველო მსოფლიო ბაზარს დაუკავშირა.

აღებული დროის თბილისის მრეწველობის სურათი რომ ნათელი გახდეს, განვიხილოთ მისი თითოეული დარგი ცალ-ცალკე.

ტყავის დამუშავება

ტყავის დამუშავებას თბილისში ჯერ კიდევ რეფორმამდელ ხანაში მისდევდნენ, მაგრამ მაშინ ეს უკანასკნელი პრიმიტიულ ხასიათს ატარებდა და მხოლოდ წვრილი წარმოების ჩარჩოებით იყო შემოფარგლული. რეფორმისშემდგომ ხანაში ადგილი აქვს ტყავის წარმოების გაფართოებას. კაპიტალიზმის განვითარებასა და განმტკიცებასთან ერთად ტყავის დამამზადებელი წვრილი საწარმოების ადგილს იკავებს მსხვილი ქარხნები. განვიხილოთ ტყავის ზოგიერთი საწარმო.

ამ დროს თბილისში არსებობდა თბილისელი მოქალაქეების ბაღდასარ მელიქოვის და კაზარ ფარსეგოვის ტყავის „ქარხანა". ამ საწარმოში ჯერ კიდევ არ იდგა მექანიკური ძრავა. საშუალოდ მუშაობდა 30 მოზრდილი მამაკაცი. მუშის თვიური საშუალო ხელფასი შეადგენდა 15 მანეთს; სამუშაო დღის ხანგრძლიობა—12 საათს. საწარმოში ტყავის დასალბობად იდგა 12 თიხის კასრი; სულ 200-მდე კასრი მოქმედებდა. წლიურად „ქარხანაში" მუშავდებოდა 1000 ცალი ხარის ტყავი, თხის—500 ცალი და ცხვრის—500, რომლებსაც თბილისში იძენდნენ ადგილობრივი ყასბებისაგან. პროდუქცია იყიდებოდა ამიერკავკასიაში. მუშაობა მთელი წლის მანძილზე მიმდინარეობდა. არსებული მასალების მიხედვით 1885—86 წწ. საწარმომ დაამზადა:

1. 1885 წელს—1000 ცალი ხარის ტყავი 12.000 მანეთის ღირებულების, ხოლო 1886 წელს—5000 ცალი 40.000 მანეთის ღირებულების.

2. თხის ტყავი—500 ცალი 500 მანეთის ღირებულების.

3. ცხვრისა—500 ცალი 500 მანეთის ღირებულების.

სულ 1885 წელს 13.000 მანეთის ღირებულების პროდუქცია, ხოლო 1886 წელს 40.000 მანეთის ღირებულებისა[1]. ერთი წლის მანძილზე წარმოების დონე სწრაფად გაიზარდა.

ტყავის „ქარხანაში", რომელიც „К° და 26 კაცის" საკუთრებას შეადგენდა, მექანიკური ძრავა ჯერ კიდევ არ არსებობდა. მოზრდილი მუშა-მამაკაცების რაოდენობა საშუალოდ საწარმოში 200 კაცი იყო. მათთან ერთად წარმოებაში მონაწილეობდა 25 მცირეწლოვანი. თვიური ხელფასი შეადგენდა 10—25 მანეთს. სამუშაო დრო 11 საათს აღწევდა. საწარმოში იდგა 70 ცალი აუზი კირისათვის, 240 კასრი ტყავის დასალბობად და 4 წყლის აუზი. საწარმო წლიურად ამუშავებდა 10.000 ხარის ნედლ ტყავს, 40.000 თხისას და ა. შ. ამ ნედლეულის გადასამუშავებლად იხარჯებოდა 24.000 ფუთი მუხის ქერქი. საწარმომ 1885 წელს დაამზადა:

---

[1] სცსა, ფ. 204, საქ. 592, ფურც. 80; საქ. 654, ფურც. 37.

ხარის ტყავი 1000 ცალი 80.000 მანეთის ღირებულების
ცხვრის „ 20000 „ 7.000 მანეთის ღირებულების და
თხის „ 40000 „ 40.000 მანეთის ღირებულების.

სულ: 70000 ცალი 127.000 მანეთის ღირებულებისა[2].

თბილისის ტყავის წარმოებაში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა კომერციის კანდიდატის ადელხანოვისა და К° ტყავის ქარხანას, რომელიც გაიხსნა 1875 წელს. ქარხანა მდებარეობდა მტკვრის მარჯვენა ნაპირზე; მის მოწყობილობაში შედიოდა: ორსართულიანი კრამიტით დახურული ქვის შენობა, სპეციალური შენობა ტყავის დასალბობად, ორსართულიანი ქვის გალერეა და სხვ. ქარხანაში 1881 წელს იდგა ერთი 15 ცხენისძალიანი ორთქლის მანქანა, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავდა 1 საჭრელი და 4 მუხის ქერქის დასაფქვავი ლითონის წისქვილი[3].

1880 წელს ადელხანოვის ტყავის ქარხანამ დაამზადა: 400 ცალი კამეჩის ტყავი, საშუალოდ ცალი 200 მან-ის, სულ 80.000 მანეთის ღირებულებისა; 8000 ცალი ხარის ტყავი—სულ 232.000 მანეთის ღირებულების. 18.000 ცალი ხბოს ტყავი—ცალი 1 მ. 70 კაპ.-ად—სულ 30.600 მანეთის ღირებულებისა. აგრეთვე დამზადდა 3000 თხის და 4000 ცხვრის ტყავი 6.900 მან. და 6.800 მან. ღირებულებისა.

ადელხანოვის ქარხანა მარაგდებოდა მდ. მტკვრიდან ორთქლის ტუმბოს მეშვეობით გამოყვანილი წყლით.

ქარხანაში ტყავეულის თრიმლვა ხდებოდა მუხის ქერქით. ნუშაობდა მუდმივად 100 და დღიურად 50 კაცი[4]. სპეციალურ შენობებში ცხოვრობდნენ ძხოლოდ მთავარი ოსტატები; ქარხანას მუდმივი შეკვეთები ჰქონდა კერძო პირებისაგან და აგრეთვე ასრულებდა საინტენდანტო უწყების შეკვეთებს. 1879 წელს ადელხანოვს ჰქონდა 6 საავეჭრო წერტი მოსკოვში.

---

[2] სცსა, ფ. 204, საქ. 592, ფურც. 82.
[3] სცსა, ფ. 17. საქ. 732. ფურც № 1—2—3.
[4] სცსა, ფ. 17, საქ. 486, ფურც. 72.

1884 წელს ქარხანა სრულყოფილ იქნა და საბოლოოდ მიიღო ჩამოყალიბებული სახე. ამ დროისათვის აქ უკვე სამი ორთქლის მანქანა იდგა, თითოეული 55 ცხენისძალის ორთქლის ქვაბით; გათბობა მაზუთით ხდებოდა. რეკონსტრუირებულ საწარმოში იდგა 42 ბეტონის აუზი, 18 საშაბე როფი, 34 სანაცრე ქვაბი, 34 სათრიმლავი როფი, ფილტრიანი წყალსადენი და მატყლის საშრობი ჰიდროექსტრატორი[5].

1879 წლიდან დაწყებული ადელხანოვის ქარხანა ღებულობდა კავკასიის ოლქის კადრებისათვის საჩექმე და საამუნიციო ტყავეულობის მიწოდების შეკვეთას.

1885 წელს ადელხანოვმა გახსნა ტყავის ქარხანასთან ფეხსაცმელების საკერავი მსხვილი სახელოსნო, რომელიც მალე მსხვილ მექანიკურ საწარმოდ იქცა, სადაც 250-მდე კაცი მუშაობდა. მას მაღაზიები და საწყობები ჰქონდა გახსნილი ბაქოში, თბილისში, კავკაკში.

ფეხსაცმელების დამამზადებელი საწარმო თავდაპირველად ჩექმებს ამზადებდა, ხოლო შემდგომში მან აითვისა ქალისა და კაცის ფეხსაცმელების დამზადების ტექნიკა და 80-იანი წლების ბოლოსათვის უკვე კვირაში 300-მდე წყვილ ფეხსაცმელს უშვებდა.

ადელხანოვის ქარხნის მასშტაბი სისტემატურად იზრდება. 1886 წელს ქარხანამ დაამზადა:

სალანჩე ტყავი—11.600 ცალი 232.000 მან. ღირებულების; სქელი ტყავი—14000 ცალი 140.000 მან. ღირებულების; იუფტის—36.000 ცალი 252.000 მან. ღირებულების; ცხენის 3100 ცალი 27.900 მან. ღირებულების; სულ 64700 ცალი 651.900 მან. ღირებულების[6].

ადელხანოვმა წარმოება მე-19 საუკუნის 90-იანი წლებისათვის კიდევ უფრო გააფართოვა და ტექნიკური სიახლენიც

---

[5] ჯ. გუგუშვილი, საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის განვითარება ა/ კავკასიაში. თსუ შრომები, ტ. XVI, 1940, გვ. 152.

[6] სცსა, ფ. 204, საქ., 654. ფურც. 34.

Ст. Гуаншамбаров, Обзор фабрик и заводов Тифлисской губернии, Тифлис, 1887, გვ. 100.

შეიტანა. ამ დროიდან მის ქარხანაში ხდება ტყავის დათრიმ-ლვა ელექტრონის მეშვეობით და სხვ.

1895 წლიდან ადელხანოვი ხსნის ქეჩის ფაბრიკასაც, სადაც 1899 წლის მონაცემებით 330-მდე კაცი მუშაობდა[7]. აქედან სომეხი—244; ქართველი—50, რუსი—30, სხვა ეროვ-ნებისა—15-მდე[8].

80-იანი წლების თბილისში იყო მთელი რიგი ტყავის მწარმოებელი კაპიტალისტური მანუფაქტურებისა. ასეთ საწარმოთა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ 5 კაცის: გიგოლა ჩიკვაიძის, გიგოლა მელქოვის, ვართანოვის, დარჩო აფროსოვის და აკიმ ოგანეზოვის ტყავის საწარმო. აქ მექანიკური ძრავა არ იდგა. მოზრდილ მამაკაცთა საშუალო რიცხვი საწარმოში შეადგენდა 40 კაცს, ხოლო მცირეწლოვანთა—15-ს. ხელფასი მერყეობდა 10-დან 25 მანეთამდე თვეში. სამუშაო დრო 10,5—11 საათს შეადგენდა. მოქმედებდა ტყავის სარეცხი კასრი 30 და ორი აუზი წყლისათვის. შემდგომ წლებში კასრების რიცხვი 80-მდე გაიზარდა. აქ დამზადებული პროდუქცია ძირითადში ამიერკავკასიაში იყიდებოდა. იგი 1871 წელს დაარსდა. 1885 წლისათვის დაამზადა: ხარის ტყავი—2200 ცალი 17.600 მან ღირებულების; ცხვრის—2500 ცალი 875 მანეთის ღირებულების; თხის—2300 ცალი და ა. შ. სულ 7000 ცალი ტყავი 20.775 მანეთის ღირებულებისა[9].

საწარმოს პროდუქციულობა სისტემატურად იზრდებოდა. 1890 წლისათვის დამზადდა: სალანჩე ტყავი 17400 ცალი 261.000 მანეთის ღირებულების; სქელი ტყავი (полуваленные)—13.700 ცალი 137.000 მანეთის ღირებულების, იუფტის—50.000 ცალი 300.000 მან. ღირებულების; ცხენის—4300 ცალი 38.700 მან. ღირებულების და ა. შ., სულ 88.000 ცალი 741.000 მანეთის ღირებულებისა[10].

---

[7] სცსა, ფ. 271, საქ. 1, ფურც. 1—38.

[8] იქვე.

[9] სცსა, ფ. 204, საქ. 592, ფურც. 81. საქ. 654, ფურც. 36.

[10] Ст. Гулишамбаров, Обзор фабрик и заводов Закавказского Края, Тифлис, 1894, გვ. 211.

ეს მონაცემები შეიძლება გაზვიადებული იყოს, მაგრამ ერთი რამ ცხადია, სულ ხუთიოდე წლის მანძილზე წარმოება ძალზე გაზრდილა. უნდა ვიფიქროთ, რომ 90-იანი წლების დამდეგისათვის ამ საწარმოში უკვე იყო გამოყენებული მექანიკური ძრავა, რამაც გავლენა იქონია წარმოების მასშტაბზე და გამოიწვია მისი გაფართოება.

თბილისის მოქალაქის ქვრივის აღათი მენეევის ტყავის საწარმო ამზადებდა სალანჩე და სხვადასხვა ხარისხის ტყავს სულ 8.000 მან. ღირებულებისას. ეს საწარმო წვრილი მასშტაბისა იყო. იდგა 1 ცხენის ძალიანი ძრავა და მთელ სამუშაოს მუდმივად 3 კაცი ასრულებდა, ხოლო ზაფხულის თვეებში ქირაობდნენ დღიურ მუშებს. იგი 1865 წლიდან არსებობდა[11]. ასეთივე ხასიათის იყო იაკობ მენეევის ტყავის საწარმო; აქაც 1 ცხენისძალიანი ძრავა იდგა და სულ შეიდიოდე კაცი მუშაობდა. მათ ზაფხულობით 10 დღიური მუშა ემატებოდათ ხოლმე. ორივე საწარმოს პროდუქცია ადგილზე იყიდებოდა[12].

ფართო წარმოება იყო გაშლილი 70-იან წლებში დაარსებულ არტემ პოპოვის და к° ტყავის ქარხანაში. საშუალოდ აქ 200 მამაკაცი და 25 მცირეწლოვანი მუშაობდა, რომელთა რიცხვი წლის ყველა დროში უცვლელი იყო. თვიური ხელფასი 5-დან 25 მანეთამდე აღწევდა. სამუშაო დრო 10,5 საათი. ქარხანაში იდგა 400 დიდი და 100 მცირე ზომის კასრი.

1886 წელს ქარხანას დაუმზადებია:

ხარის ტყავი—10.000 ცალი
ცხვრის —20.000 „
თხის --40.000 „
სულ 127.000 მანეთის ღირებულების[13].

ამ ქარხნის ნაწარმი მთელ ამიერკავკასიაში იყიდებოდა. საფიქრებელია, რომ აქაც ორთქლის ძრავა იყო გამოყენებული.

---

[11] სცსა, ფ. 204, საქ. 592, ფურც. 137, საქ. 654. ფურც. 38.
[12] იქვე, ფურც. 138, იქვე, ფურც. 39.
[13] იქვე, ფურც. 204, საქ. 654 ფურც. 35.

80-იან წლებში თბილისში გვხვდება კიდევ მთელი რიგი ტყავის დამმუშავებელი საწარმოები, რომლებიც არც თუ ისე დიდი ზომის იყო. მათ შორის: ფედორტ პონომარიოვის (ამზადებდა სულ 5.000 მან. ღირებულების პროდუქციას წლიურად 4 კაცის მეშვეობით[14]), თავად სუბბათოვების მიწაზე მეტყავეთა საზოგადოების მიერ მოწყობილი ოთხი საწარმო, ივანე კოჩარიანცის ტყავის საწარმო, შაქარ არარატოვის ტყავის საწარმო[15]. 1880 წელს თბილისში აგრეთვე იხსენიება ჟაკ ლუისის ტყავის ქარხანა[16].

ყველა ეს საწარმო, როგორც აღვნიშნეთ, მცირე მასშტაბის იყო და დიდ როლს არ თამაშობდა ტყავის წარმოებაში.

ტყავის დამმუშავებელი საწარმოებიდან ყველა ერთნაირად არ იყო განვითარებული. ზოგი მათგანი მცირე ზომისა იყო. მეორე რიგის საწარმონი კი უკვე ჩამოყალიბებული კაპიტალისტური ტიპის საწარმოებად გვეელინება. მათ შორის პირველ რიგში უნდა გამოვყოთ ადელხანოვის ტყავის ქარხანა და აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ტყავის დამმუშავებელ მრეწველობაში 80-იანი წლებიდან თბილისში ტონის მიმცემი სწორედ ეს უკანასკნელია.

ტყავის დამმუშავებელი მრეწველობა ყველაზე უფრო თბილისში იყო განვითარებული. ამის ნათელსაყოფად მოვიტანოთ თუნდაც ერთი წლის მონაცემები: 1882 წლისათვის მთლიანად ამიერკავკასიაში აღრიცხულია 199 ე. წ. ტყავის „ქარხანა", რომელთა მიერ გამოშვებული წლიური პროდუქციის ღირებულება შეადგენს 624.000 მან. აქედან თბილისის 12 ტყავის საწარმოზე მოდის 550.000 მან. ღირებულების პროდუქცია[17]. თუ ავიღებთ პროცენტულ შეფარდე-

---

[14] სცსა, ფ. 204, საქ. 592. ფურც. 139, საქ. 654, ფურც. 40.

[15] სცსა, ფ. 192, ანაწ. 6, საქ. 41, ფურც. 14.

[16] იქვე, ფ. 17, საქ. 486, ფურც. 101.

[17] Ст. Гулишамбаров, Обзор фабрик и заводов Закавказского Края, Тифлис, 1894, გვ. 200, 209.

ბას, შემდეგი სურათი წარმოგვიდგება: მთელი ამიერკავკასიის ტყავის დამმუშავებელი მრეწველობიდან თბილისზე მოდის საწარმოთა რაოდენობის მხოლოდ 6% (გამოთვლა მიახლოვებული სიზუსტითაა—ნ. რ.), ხოლო ყველა საწარმოთა მთლიანი პროდუქციულობიდან თბილისის საწარმოებზე მოდის 88.2%. ეს ციფრები ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ წამყვანი ტყავის მრეწველობაში თბილისია. თავისთავად ამ 6%-დან, ზემოთ განხილული საწარმოების ანალიზის შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მთავარი მსხვილი კაპიტალისტური საწარმოებია და სწორედ მათზე მოდის წლიური პროდუქციის დიდი ნაწილი. კერძოდ, 1880—81 წლის მონაცემების საფუძველზე მარტო ადელხანოვის ქარხანას დაუმზადებია 350.000-მდე[18] მანეთის ღირებულების პროდუქცია, რაც მთლიანად თბილისის ტყავის საწარმოთა მიერ გამოშვებული პროდუქციის ნახევარზე მეტია.

თამბაქოს წარმოება

მეცხრამეტე საუკუნის თბილისში მრეწველობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი იყო თამბაქოს წარმოება. იგი რეფორმამდელ ხანაში წვრილი წარმოების ხასიათს ატარებდა და სავსებით შეესაბამებოდა ქალაქის ეკონომიური განვითარების მაშინდელ დონეს. კაპიტალისტური განვითარების პროცესი ნათლად აისახა თბილისის თამბაქოს წარმოებაში; ადრე არსებული წვრილი საწარმოების ადგილს თანდათან მსხვილი ფაბრიკები იკავებს, ფართოვდება თამბაქოს წარმოების მასშტაბი, იზრდება მოთხოვნილება მის ნაწარმზე, მაღლდება წარმოების პროცესის ტექნიკური დონე.

✓ განვიხილოთ თბილისის თამბაქოს საწარმოები. მათგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი აღებული დროისათვის ეკავა მეორე გილდიის ვაჭარ ნიკოლოზ ივანეს ძე ბოზარჯიანცის თამბაქოს ფაბრიკას, რომელიც 1858 წელს დაარსდა[19]. 1880 წელს ბოზარჯიანცის თამბაქოს ფაბრიკაში მოქმედებდა

---

[18] სცსა. ფ. 17, საქ. 486, ფურც. 72,

[19] სცსა, ფ. 204, საქ. 592. ფურც. 74; საქ. 654, ფურც. 10.

8 თამბაქოს საჭრელი დაზგა, 25 დანა და 1 ქაღალდის მჭრელი დაზგა. ამ წლის მანძილზე ფაბრიკამ დაამზადა 600 ფუთი თამბაქო 21.000 მან. ღირებულებისა; 9.000.000 ცალი პაპიროსი 45.000 მან. ღირებულების; ფაბრიკაში მუშავდებოდა 1200 ფუთი ადგილობრივი და 150 ფუთი უცხოური თამბაქო. მუშაობდა 65 კაცი, აქედან 5 უცხოელი[20].

საწარმო სულ უფრო და უფრო ზრდიდა წარმოების დონეს.

1883 წელს ფაბრიკამ დაამზადა:

I ხარისხის პაპიროსი—18.833.700 ცალი
II „ „ —11.737.200 „
სულ: 1.888 ფუთი თამბაქოს ნაწარმი.

1884 წელს:

I ხარისხის პაპიროსი—16.524.400 ცალი
II „ „ —25.052.000 „
სულ: 2.501 ფუთი თამბაქოს ნაწარმი.

1885 წელს:

I ხარისხის პაპიროსი—17.659.000 ცალი
II „ „ —36.268.000 „
სულ: 3.209 ფუთი თამბაქოს ნაწარმი[21].

1885 წელს ფაბრიკამ სულ დაამზადა თამბაქო:

I ხარისხის 11.890 გირვანქა 19.024 მან. ღირებულების
II „ 39.810 გირვანქა 35. 829 „ „
III „ 10.400 გირვანქა 21.210 „ „
სულ: 62.100 გირვანქა 76.063 მან. ღირებულების.

უცხოეთში გატანილ იქნა ტრანზიტით 70.000 ცალი პაპიროსი. მთლიანად ამ წელს ფაბრიკამ დაამზადა 219.235 მან. ღირებულების პროდუქცია[22].

---

[20] სცსა, ფ. 17. საქ. 486, ფურც. 33.

[21] Ст. Гулишамбаров, Обзор фабрик и заводов Тифлисской губернии, Тифлис, 1887. გვ. 27—28.

[22] სცსა, ფ. 204, საქ. 592, ფურც. 74.

1886 წელს დაამზადდა თამბაქო:

I ხარისხის	12.070	გირვანქა	19.312	მან. ღირებულების
II „	38.440	გირვანქა	34.596	„ „
III „	26.440	გირვანქა	9.932	„ „
სულ.	76.970	გირვანქა	61.840	„ „

I ხარისხის	პაპიროსი	21.185.000	ცალი	84.740 მან. ღირებულების
II		31.734.000	„	63.468 მან. ღირებულების

სულ: 52.919000 ცალი 143.208 მან. ღირებულების. ამ წელს სულ დამზადდა 210.048 მან. ღირებულების პროდუქცია[23].

ფაბრიკაში მუშათა საშუალო რაოდენობა ამ დროისათვის იყო: მოზრდილი მამაკაცი—210; მცირეწლოვანი—50. მუშათა რაოდენობა ივნისიდან აგვისტომდე მინიმუმამდე დადიოდა, ხოლო შემოდგომაზე სწრაფად მატულობდა სამუშაოს მომატებასთან ერთად. ფაბრიკასთან მუშათა საცხოვრებელი ბინები არ არსებობდა. სამუშაო დრო 10 საათს შეადგენდა. მუშახელის ხელფასი კვირაში 1 მანეთიდან 10 მანეთამდე იყო: ფაბრიკაში იდგა თამბაქოს საჭრელი 12 ხელის დაზგა. წლიურად 80-იან წლებში მუშავდებოდა ადგილობრივი თამბაქო 0.230 ფუთი: უცხოური 38 ფუთი. პროდუქცია ძირითადში იყიდებოდა კავკასიაში, შიდა რუსეთში და ნაწილი გადიოდა საზღვარგარეთ[24].

✓ ბოზარჯიანცს მთავარი მაღაზია მოთავსებული ჰქონდა სასახლის ქუჩაზე მთავარი შტაბის შენობის მახლობლად[25].

მეორე დიდი ზომის თამბაქოს ფაბრიკა ჰქონდა თბილისში

---

[23] სცსა, ფ. 204, საქ. 654, ფურც. 10.

[24] იქვე, ფ. 204, საქ. 592, ფურც. 74, საქ. 654, ფურც. 10.

[25] Тифлис и его окрестности, Тифлис, 1890, გვ. 58.

ენფიანჯიანცს 1852 წლიდან. 1880 წელს ამ ფაბრიკამ დაამზადა 590 ფუთი და 6 გირვანქა თამბაქო; პაპიროსი 3.305.400 ცალი; წარმოება დღითიდღე იზრდებოდა. ასეთი იყო მისი მასშტაბი 1885 და 1886 წელს:

1885 წელი	1886 წელი
თამბაქო 1000 გირვანქა 9.000 მან. ღირებულების; პაპიროსი 5.000.000 ცალი 35.000 მან. ღირებულების; სულ: 44.000 მან. ღირებულების პროდუქცია.	10.000 მან. ღირებულების თამბაქო; 4.000.000 ცალი პაპიროსი 20.000 მან. ღირებულების[26].

ფაბრიკაში ამ დროისათვის მუშაობდა 40 მოზრდილი მამაკაცი და 5 მცირეწლოვანი. სამუშაო დღის ხანგრძლიობა 10 საათს შეადგენდა; ხელფასი მერყეობდა 50 კაპიკიდან 1 მან.20 კაპიკამდე დღეში. ფაბრიკაში იდგა თამბაქოს საჭრელი 4 ხელის დაზგა; ნედლი მასალის სახით მუშავდებოდა 100 ფუთი უცხოური თამბაქო და 900 ფუთი ადგილობრივი. პროდუქცია იყიდებოდა ამიერკავკასიაში. ფაბრიკა მუშაობდა მთელი წელი. საწარმოს სამი კაცი განაგებდა[27]. თამბაქოს ნედლ მასალას ენფიანჯიანცი ადგილობრივ ამზადებდა მისსავე პლანტაციებში ლაგოდეხში. მთავარი მალაზია მოთავსებული იყო ერევნის მოედანზე სასტუმრო „კავკაზის" ქვეშ და გოლოვინის პროსპექტზე ზუბალაშვილის სახლში[28].

80-იანი წლების თბილისში ყურადღებას იპყრობს მეორე გილდიის ვაჭრის პოღოს საგოიანცის თამბაქოს საწარმო 1880 წელს აქ დამზადდა 1250 ფუთი თამბაქო 3500 მან. ღირებულებისა; პაპიროსი—4.025.000 ცალი 16.000 მან. ღირებულებისა[29].

1885 წელს საწარმომ დაამზადა სხვადასხვა ხარისხის დაჭრილი თამბაქო 1160 ფუთი 12.000 მან. ღირებულების; წე-

---

[26] სცსა, ფ. 204, საქ. 592, ფურც. 77, საქ. 654, ფურც. 6.

[27] იქვე.

[28] Тифлис и его окрестности, Тифлис, 1890, გვ. 57

[29] სცსა, ფ. 17, საქ. 486, ფურც. 68.

კო—350 ფუთი 2000 მან. ღირებულების. 1886 წელს კი პირველი—1791 ფუთი 21.492 მან. ღირებულების და მეორე 641 ფუთი 3600 მან. ღირებულების. სხვადასხვა ხარისხის პაპიროსი 1885 წელს დამზადდა 3.680.000 ცალი 14000 მანეთის ღირებულების და 5.290.000 ცალი 16.480 მან. ღირებულებისა 1886 წელს. სულ ფაბრიკამ 1885 წელს დაამზადა 28.000 მან. ღირებულების პროდუქცია, ხოლო 1886 წელს —41.572 მანეთის[30].

საწარმოში ჯერ კიდევ ხელით შრომა იყო გაბატონებული. აღებული დროისათვის აქ ჩვენ ვერ ვხედავთ ორთქლის ძრავას. წლიურად მუშების საშუალო რაოდენობა შეადგენდა 35 მოზრდილსა და 7 მცირეწლოვან მაჩაკაცს. მუშახელის დღიური ხელფასი 20 კაპიკიდან 1 მანეთამდე, სამუშაო დრო 12 საათს აღემატებოდა. ფაბრიკაში იდგა თამბაქოს საჭრელი 4 ხელის დაზგა, 1 წნეხი წეკოსათვის. ნზა პროდუქცია ძირითადში ამიერკავკასიაში საღდებოდა. ფაბრიკა 1873 წლიდან არსებობდა[31]. იგი ნამდვილი კაპიტალისტური მანუფაქტურაა.

მიხეილ საფაროვის თამბაქოს ფაბრიკაში დამზადებულ იქნა:

1885 წელს	1886 წელს
დაჭრილი თამბაქო სხვადასხვა ხარისხისა 48.000 მან. ღირებულების; 12.963.000 ცალი პაპიროსი სხვადასხვა ხარისხისა 52.000 მან. ღირებულების; სულ: 100.000 მან. ღირებულების პროდუქცია.	დაჭრილი თამბაქო 50.000 მან. ღირებულების; პაპიროსი 16.411.800 ცალი 100.000 მან. ღირებულების —სულ: 150.000 მან. ღირებულების პროდუქცია[32].

მექანიკური დანადგარები არ იდგა. მუშათა საშუალო რაოდენობა 60 მოზრდილსა და 15 მცირეწლოვანს შეადგენდა. 1886 წელს მუშების რიცხვი 90-მდე გაიზარდა. ხელ-

---

[30] სცსა, ფ. 204, საქ. 592, ფურც. 75.

[31] იქვე.

[32] იქვე, ფ. 204, საქ. 592, ფურც. 78, საქ. 654, ფურც. 5.

ფასი საშუალოდ შეადგენდა 80 კაპ.—1 მან. 50 კაპ. დღეში. ზოგი მუშა თვიურად 20-დან 50 მანეთამდე გამოიმუშავებდა. კვირაში ხელფასი გამოდიოდა 3—5 მანეთი. სამუშაო დროის ხანგრძლიობა 10 საათს შეადგენდა. ფაბრიკაში იდგა 8—12 ხელით საჭრელი დაზგა. პროდუქცია თავდაპირველად ამიერკავკასიაში იყიდებოდა, ხოლო შემდეგ გაჰქონდათ რუსეთსა და სპარსეთშიც[33].

1873 წლიდან თბილისში არსებობდა მეორე გილდიის ვაჭრის ვარნეზოვის თამბაქოს საწარმო. მუშათა საერთო რაოდენობა შეადგენდა: მოზრდილები—30 კაცი და 10 მცირეწლოვანი. ხელფასი 50 კაპიკიდან 4 მან. და 50 კაპიკამდე დღეში. სამუშაო დრო 10—11 საათი. იდგა თამბაქოს საჭრელი 5 დაზგა. პროდუქცია იყიდებოდა ძირითადში ამიერკავკასიაში.

1880 წელს ფაბრიკამ დაამზადა თამბაქო: 509 ფუთი და 39 გირვანქა და 9.401.800 ცალი პაპიროსი. მოქმედებდა 4 საჭრელი დაზგა. მუშაობდა 4 ოსტატი და 20 მუშა. ნედლ თამბაქოს საწარმო იღებდა ქუთაისის და თბილისის გუბერნიებიდან და ნოვოროსიისკის მაზრიდან. პროდუქცია იყიდებოდა ამიერკავკასიასა და თერგის მხარეში[34].

საწარმოს მასშტაბი თანდათან იზრდებოდა.
1885 წელს მან დაამზადა 10.000 მან ღირებულების, ხოლო 1886 წელს 42.643 მან. ღირებულების [35] პროდუქცია.

ეგორ ფირალოვის თამბაქოს ფაბრიკაში იდგა ერთი ცხენისძრავიანი თამბაქოს საჭრელი დაზგა და ორი ხელის დაზგა. მუშაობდა სულ 25 მოზრდილი მამაკაცი და 5 მცირეწლოვანი. სამუშაო დრო 12 საათს შეადგენდა, ხოლო ხელფასი აღწევდა 60 კაპიკიდან 1 მან. და 50 კაპიკამდე. დღეურად ფაბრიკაში მუშავდებოდა 1400 ფუთამდე რუსული და 140 ფუთი უცხოური თამბაქო.

---

[33] სცსა, ფ 204, საქ. 592, ფურც. 78, საქ. 654. ფურც. 5.
[34] სცსა, ფ. 17, საქ. 486, ფურც. 42.
[35] იქვე, ფ. 204, საქ. 592, ფურც. 77, საქ. 654, ფურც. 6.

ფირალოვის ფაბრიკამ 1880 წელს დაამზადა 1190 ფუთი და 9 გირვანქა თამბაქო. პაპიროსი—9.144.500 ცალი[36]. 1885—86 წლებში წარმოებამ იმატა.

1885 წელს	1886 წელს
დამზადდა: 1137 გირვანქა დაჭრილი თამბაქო 15.828 მან. ღირებულების. პაპიროსი 5.277.000 ცალი 26.467 მან. ღირებურების; სულ 42.295 მან. ღირებულების პროდუქცია.	დაჭრილი თამბაქო 1188 გირვანქა 32.676 მან. ღირებულების, პაპიროსი 4.948. 300 ცალი 17.765 მან. ღირებულებისა[37].

80-იან წლებში თბილისში არსებობდა კიდევ მთელი რიგი თამბაქოს საწარმოები. მათ შორის ახალციხის პირველი გილდიის ვაჭრის გრიგოლ აზნაურიანის (საწარმოში 20 ოსტატი და 30 მუშა მუშაობდა. იდგა 13 საჭრელი დაზგა, 1 საჭრელი მანქანა. საწარმო მოქმედებდა 1873 წლიდან. ნედლეული ჩამოჰქონდათ ფეოდოსიიდან, იალტიდან, ნოვოროსიისკიდან, ბათუმის ოლქიდან, ალბულაღიდან, ქუთაისიდან, ახალციხიდან. 1880 წელს საწარმომ დაამზადა 36.425 გირვანქა თამბაქო, პაპიროსი—5.332.800 ცალი, სიგარა—20.000 ცალი[38]); არტემ გალეგოვის (ნედლეულს იღებდა კახეთიდან, გურიიდან, ნოვოროსიისკიდან და იმერეთიდან. მუშაობდა 15 ოსტატი და 20 მუშა. 1880 წელს დაამზადა 973 ფუთი და 20 გირვანქა თამბაქო, პაპიროსი—4.203.800 ცალი; ბანდეროლით დაამზადა თამბაქო—35.260 გირვანქა, პაპიროსი—4.217.000 ცალი; ორივე ერთად 14.787 მან. ღირებულების. საწარმოში მოქმედებდა 8 საჭრელი დაზგა. პროდუქცია ამიერკავკასიაში იყიდებოდა. არსებობდა 1879 წლიდან)[39], ავგუსტ ტოლესი (იდგა 4 საჭრელი დაზგა და მზადდებოდა

---

[36] სცსა, ფ. 17, საქ. 486, ფურც. 66.

[37] სცსა, ფ. 204, საქ. 592, ფურც. 79, საქ. 654, ფურც. 9.

[38] იქვე, ფ. 17 საქ. 486, ფურც. 34.

[39] იქვე, ფურც. 38.

110 ფუთი და 26 გირვანქა თამბაქო, პაპიროსი—1.244.980 ცალი და სიგარა—40.000 ცალი, სულ 22.450 მან. ღირებულებისა. ბანდეროლით დამზადდა თამბაქო 5270 გირვანქა, პაპიროსი—2.437.000 ცალი და სიგარა 40.000 ცალი, სულ 5214 მან. ღირებულებისა. საწარმოში მუშაობდა 10 ოსტატი, 12 მუშა. არსებობდა 1879 წლიდან)[40].

სიმონ დავლიანოვის და К° თამბაქოს ფაბრიკაში მოქმედებდა 6 საჭრელი დაზგა, მუშაობდა 50 კაცი. 1880 წელს საწარმომ დაამზადა 31530 გირვანქა თამბაქო და 8.413.000 ცალი პაპიროსი. ბანდეროლი გაუკეთდა: 31.220 გირვანქა თამბაქოს და 8.413.000 ცალს პაპიროსს. საწარმო არსებობდა 1873 წლიდან[41].

ძმების სალი-ოღლების თამბაქოს ფაბრიკაში 80-იან წლებში მოქმედებდა 32 საჭრელი დაზგა და 3 მანქანა. 1880 წელს საწარმოში დამზადდა 139.892 გირვანქა თამბაქო და 23.889.000 ცალი პაპიროსი; სულ 650.000 მან. ღირებულების. ფაბრიკაში მუშაობდა სულ 225 მუშა. ნედლეულს იძენდნენ საქართველოსა და თურქეთში. პროდუქცია იყიდებოდა საქართველოში და ნაწილობრივ რუსეთში. საწარმო 1873 წლიდან არსებობდა[42].

1873 წლიდან თამბაქოს ფაბრიკა ჰქონდა თბილისში მეორე გილდიის ვაჭარს ალექსანდრე ჯიმშეროვს. ფაბრიკა წლიურად ამუშავებდა 1100 ფუთ ნედლეულს, რომელიც ჩამოჰქონდათ ნოვოროსიისკიდან, გურიიდან, იმერეთიდან და ბორჩალოდან. ფაბრიკაში 1880 წელს დამზადდა თამბაქო 250.821 გირვანქა 11.622 მან. ღირებულებისა. ფაბრიკაში იდგა 6 საჭრელი დაზგა და 40 დანა. მუშაობდა 44 ოსტატი; პროდუქცია იყიდებოდა თბილისში, ბაქოში, შემახაში, გროზნოში, ყიზლარში, სალიანში, ახალციხეში, გორში[43].

ზემოთ განხილულ თამბაქოს სარეწებში მუშაობის პროცესი შემდეგნაირად მიმდინარეობდა: ფოთლების დახა-

---

[40] სცსა, ფ. 17, საქ. 486, ფურც. 40.
[41] იქვე. ფ. 17, საქ. 486, ფურც. 44.
[42] იქვე, ფურც. 62.
[43] იქვე. ფურც. 105.

რისხება, მათი დაჭრა, აწონვა, ყუთებში ჩაწყობა, პაპიროსის დამზადება, ქაღალდის მუნდშტუკების დახვევა. ყველაზე სპეციალიზებური სამუშაო იყო თამბაქოს დახარისხება, რაც საათანადო კვალიფიკაციას მოითხოვდა. მუშები ხელფასს კვირეულად იღებდნენ 4—6 მანეთის რაოდენობით.

თამბაქოს დაჭრა პირველ ხანებში საწარმოებში ხელის დაზგაზე სრულდებოდა. ამ დაზგების რაოდენობაზე იყო დამოკიდებული წარმოების პროდუქციის ოდენობა. სწორედ ამიტომ თითოეული ხელის დაზგა ზედმეტად დაბეგრილი იყო სააქციზო გადასახადით წლიურად 5 მანეთის რაოდენობით. ფირალოვის ფაბრიკაში იდგა ორი დაზგა ცხენსაძრავით (конный приводъ) და თითოეული მათგანი ასრულებდა 8 ხელის დაზგის სამუშაოს. ისინი დაბეგრილი იყვნენ დამატებით 20 მანეთით წლიურად.

თამბაქოს დამჭრელი მუშები იღებდნენ ხელფასს 4—5—7 მანეთს, ზოგჯერ კი 9 მანეთსაც კვირაში. პაპიროსის დამამზადებელი მუშები ხელფასს იღებდნენ გამომუშავების მიხედვით. პაპიროსის დამამზადებელ ყოველ მუშას ჰყავდა ხელქვეითი მოზარდები, რომლებსაც თვით მუშები ქირაობდნენ (ე. წ. „мундштучники"). ეს უკანასკნელნი 1000 ცალი პაპიროსის დამზადებაში იღებდნენ 50 კაპიკს[44]. ყველა ამ საწარმოში როგორც დავინახეთ, ადგილი ჰქონდა მრომის დანაწილებას. ყველა ისინი მსხვილი კაპიტალისტური საწარმოებია.

სტეფანე გულიშამბაროვს მოტანილი აქვს ცნობები თბილისის თამბაქოს ფაბრიკებში მუშათა რაოდენობისა და შემადგენლობის შესახებ (ცნობები ეხება 1885 წელს)[45]

		მოზრდილი	მცირე წლოვ.	სულ
1. ბოზარჯიანცის ფაბრიკაში	მუშაობდა	210	50	260
2. საფაროვის	"	135	15	150
3. ენფიანჯიანცის	"	40	5	45

---

[44] Ст. Гулишамбаров, Обзор фабрик и заводов Тифлисской губернии, Тифлис, 1887, გვ. 30, 31, 32.

[45] იქვე, გვ. 32.

	მოზრდილი	მცირე წლოვ.	სულ
4. ვარნეზოვის	36	13	49
5. საგოიანცის	37	7	44
6. ფირალოვის	26	4	30
7. გალეგოვის	20	4	24
8. კაიაბეკოვის	15	2	17
სულ	519	100	619

ეროვნებათა მიხედვით თამბაქოს ფაბრიკების მუშათა შემადგენლობა ასეთი იყო:

№	თამბაქოს ფაბრიკა	სომეხი	ქართველი	რუსი	ბერძენი	თათარი
1	ბოზარჯიანცის ფაბრიკაში	194	63	2	—	1
2	საფაროვის	75	60	2	3	10
3	ენფიანჯიანცის	40	5	—	—	—
4	ვარნეზოვის	40	7	—	—	2
5	საგოიანცის	35	6	—	—	3
6	ფირალოვის	20	7	—	—	3
7	გალეგოვის	20	3	—	—	1
8	კაიაბეკოვის	4	13	—	—	—
	სულ . .	428	164	4	3	20[46]

სომხები დაახლოებით მთელი მუშახელის 69 პროცენტს შეადგენდნენ[47].

თამბაქოს მანუფაქტურაში შრომის პირობები და თვით შრომის პროცესიც ძალზე მძიმე და ამავე დროს უაღრესად პრიმიტიული იყო. სამუშაო თავიდან ბოლომდე ხელით სრულდებოდა. „გადატრიალება, რომელიც ეხებოდა მთელი სარეწაოს ტექნიკურ და ეკონომიურ სტრუქტურას აქ გამოიწვია მექანიკურმა საჭრელმა დაზგამ, რომელსაც თან მოჰყვა ორთქლისა და ბენზინის (შიდაწვის) ძრავები"[48]. პირველად

[46] Ст. Гулишамбаров, Обзор фабрик и заводов Тифлисской губернии, Тифлис, 1887, გვ. 32—33.

[47] იქვე, გვ. 33.

[48] პ. გუგუშვილი, საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის განვითარება ამიერკავკასიაში, თსუ შრომები, ტ. XVI, 1940, გვ. 145.

მექანიკური დაზგა და ოტტოს სისტემის ძრავა გაჩნდა ენფიანჯიანცის, შემდეგ საფაროვის თამბაქოს ფაბრიკებში. მანქანის გაჩენამ გააიაფა შრომის პროცესი. თუ ადრე 1 ფუთი თამბაქოს დაჭრა ჯდებოდა 1,5 მანეთი, ახლა იგი შემცირდა 45—50 კაპიკამდე. ძრავა 8-ჯერ მეტ სამუშაოს ასრულებდა ვიდრე ერთი მუშა.

ზემოთ განხილული თამბაქოს საწარმოები მსხვილი მასშტაბის კაპიტალისტური საწარმოებია. ხშირად მათ ასობით მუშახელიც ჰყავთ, მაგრამ ტექნიკური ბაზა ჯერ კიდევ სუსტია. გადამწყვეტი კვლავ ხელით შრომაა. უკვე 80-იანი წლების ბოლოს თამბაქოს წარმოებაში იჭრება მექანიკური და ორთქლის ძრავა, რაც სრულ გადატრიალებას ახდენს. აქედან იწყება მანქანურ წარმოებაზე გადასვლა, ჩნდება კაპიტალისტური თამბაქოს ფაბრიკა, სადაც ხელით შრომა უკვე დანამატად არის ქცეული; ძირითად სამუშაოს მანქანა ასრულებს. მექანიკური ძრავის შემოსვლამ თამბაქოს წარმოებაში ზემოთ განხილული მთელი რიგი კაპიტალისტური მანუფაქტურის ტიპის საწარმოები ფაბრიკად აქცია.

წლები	ხელის დაზგა უამძრავოდ	ხელის დაზგა ცხენის ამძრავით	ორთქლის ან აირძრავიანი მექანიკური დაზგა
1891	116	3	10
1892	85	4	17
1893	68	4	25
1894	66	4	25
1895	49	1	29
1896	37	1	34
1897	32	1	36
1898	31	1	38
1899	27	20	40
1900	23	1	43[40].

ამ ცხრილიდან ნათელია, ერთის მხრივ, თამბაქოს წარმოებაში ხელის დაზგების რაოდენობის შემცირება, ხოლო,

[40] ჯ. გუგუშვილი, საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის განვითარება ამიერკავკასიაში, თსუ შრომები, ტ. XVI, 1940, გვ. 146.

შეორეს მხრივ, ორთქლის ძრავის რაოდენობის სისტემატური ზრდა, რაც თავისთავად ნათლად მეტყველებს თამბაქოს მრეწველობაში კაპიტალისტური მანუფაქტურიდან ფაბრიკაზე გადასვლის ფაქტზე.

საპნისა და სტეარინის სანთლების წარმოება

საპნისა და სანთლების წარმოება თბილისში ფართო მასშტაბით მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო.

საპნის წარმოება თბილისში 70-იანი წლებიდან ჰქონდა საფარ ბუდაღოვს და მის კომპანიონს. საწარმო 80-იანი წლებისათვის ამზადებდა წელიწადში უბრალო საპონს 1500 ფუთს 3000 მან. ღირებულებისას. მექანიზაციას წარმოებაში ადგილი არ ჰქონდა. მუშაობდა სულ 3—5 კაცი. მუშათა თვიური ხელფასი შეადგენდა 15 მანეთს; სამუშაო დღის ხანგრძლიობა—10—10,5 საათს. წარმოება სრულდებოდა 3 სადნობი კასრის (შემდგომში 6) და 4 ქვაბის საშუალებით. საპნის დასამზადებლად წელიწადში იხარჯებოდა: ქონი 1000 ფუთი, სოდა—200 ფუთი, კოლოფონი (канифоль) 300 ფუთი; აქ დამზადებული პროდუქცია ამიერკავკასიაში იყიდებოდა[50].

საპნის დამამზადებელი მედარებით დიდი ზომის საწარმო ჰქონდა ვორონცოვის ქუჩაზე 6 კაცს (თბილისელ ვაჭრებს: გრიგოლ ბაინდუროვს, იოსებ მიკირტუმოვს, მოსეს ტერარაქელოვს, კაზარ ახნაზაროვს, ავეტიკ ახნაზაროვს და არტემ შაუმოვს). ეს გაერთიანება 1884 წელს შეიქმნა, ადრე კი, კერძოდ, 1880 წლისათვის მის ორ მონაწილეს კაზარ და ავეტიკ ახნაზაროვებს ცალ-ცალკე ჰქონდათ საპნის საწარმოები. ავეტიკ ახნაზაროვის საწარმო მდებარეობდა ავლაბრის მხარეს და ამზადებდა წლიურად (1880 წლის მონაცემების მიხედვით) მოხარ ᲗᲣᲚ საპონს; უმაღლესი ხარისხისა 1200 ფუთი სულ 5.400 მან. ღირებულებისა. I ხარისხის—3600 ფუთი; ფუთი 3 მ. და 80 კაპიკად, სულ 13.680 მან. ღირებულების; II ხარისხის—1200 ფუთი 3600 მან. ღირებულების; ფუთი 3 მან. ე. წ. ციე საპონს: 4800 ფუთი 12.480 მან. ღირებულების; სულ დამზადდა: 10.600 ფუთი საპონი 35.160 მან. ღირებულებისა[51].

---

[50] სცსა, ფ. 204, საქ 592, ფურც. 122, საქ. 654, ფურც. 64.
[51] სცსა, ფ. 17, საქ. 486, ფურც. 78.

საწარმოში იდგა 6 თუჯის საცეცხლე ქვაბი. შავი მუშა იყო სულ სამი კაცი. ანალოგიური იყო ახნაზაროვის საპნის საწარმოც[53].

ზემოთ დასახელებული ახნაზაროვები შემდგომში, 1884 წლიდან, ამხანაგობამი შესულან დანარჩენ 4 პირთან და წარმოება გაუერთიანებიათ. არც გაერთიანების შემდეგ მომხდარა წარმოების ტექნიკის გაუმჯობესება და კვლავ ხელით შრომაზე იყო დამყარებული წარმოების პროცესი. მიუხედავად ამისა, წარმოების მასშტაბი გაიზარდა და პროდუქტიც მეტი მზადდებოდა. იდგა 15-მდე ქასრი. მუშათა საშუალო რაოდენობა მერყეობდა 8-დან 12 კაცამდე, რომელთაგან ხუთი ადგილზე ცხოვრობდა, დანარჩენები კი გარეთ. ხელფასი შეადგენდა თვეში 10-დან 40 მანეთამდე (დამოკიდებული იყო მუშის კვალიფიკაციაზე; ოსტატს მეტი ეძლეოდა ვიდრე შავ მუშას). სამუშაო დღე 8—9,5 საათს გრძელდებოდა. წლიურად მუშავდებოდა 16.000 ფუთი ქონი და 7000 ფუთი კოლოფონი, სოდა და სხვ. ამ საწარმოს მიერ დამზადებული პროდუქცია იყიდებოდა თბილისსა და მთელ ამიერკავკასიაში. 1884 წელს საწარმომ დაამზადა:

I ხარისხის ე. წ. მარმარილოს საპონი 14.500 ფუთი, II ხარისხისა—14.500 ფუთი, 72.500 მან. ღირებულების[53]. წარმოება მეპატრონეთა შორის მომხდარი კონფლიქტის გამო გადავიდა კვლავ ახნაზაროვის და კ^ ხელში, რის შემდეგ მისი წარმოების დონეც დაეცა[54].

საპნისა და სტეარინის სანთლების ნამდვილი ქარხნული წესით გადამუშავება-დამზადება ხდებოდა ტოლეს საპნისა და სტეარინის სანთლების დამამზადებელ ქარხანაში, რომელიც ქალაქის მე-6 უბანში მდებარეობდა. წარმოებას ჯერ ანა თედორეს ასული ტოლე-გრინერი განაგებდა, ხოლო შემდგომ მისი შვილი ედუარდ ტოლე. არსებული ცნობების თანახმად საწარმო 1872 წელს უნდა დაარსებულიყო. 1880 წელს იგი უკვე ამზადებდა სტეარინის სანთელს—600 ფუთს, ფუთს 10

---

[52] სცსა, ფ. 17, საქ. 486, ფურც. 80.

[53] სცსა. ფ. 204. საქ. 592. ფურც. 21, საქ. 654, ფურც. 67.

[54] Ст. Гулишамбаров, Обзор фабрик и заводов. Тифлисской губернии, Тифлис, 1887, გვ. 111.

მან. 50 კაპ. სულ 63.000 მან. ღირებულებისას; საპონს— 15.000 ფუთს, ფუთი 4 მან. სულ 60.000 მან. ღირებულებისა; ამ დროისათვის ქარხანაში იდგა 40 ცხენისძალიანი სამი ორთქლის ქვაბი და სამი ორთქლის მანქანა 12 ცხენისძალისა; 4 ჰიდრავლიკური წნეხი, 5 სანთლის ჩამომსხმელი დაზგა; ორი სანთლის საჭრელი და საპრიალებელი მანქანა; 5 სასაპნე ქვაბი. საპნის მხარშავი ერთი იყო რუსი, 20 შავი მუშა ადგილობრივი; ქონი და კოლოფონი რუსეთიდან ჩამოჰქონდათ[55].

ტოლეს ქარხნის მასშტაბი წლითიწლობით იზრდებოდა და მალე ის გადაიქცა საპნის მწარმოებელ მთავარ კერად თბილისში. მისი პროდუქცია იმდენად მაღალხარისხოვანი იყო, რომ მან მოსკოვში 1882 წ. გამართულ გამოფენაზე ჯილდოც კი დაიმსახურა.

1885 წ. ქარხნის მიერ დამზადებული პროდუქციის რაოდენობა 26.000 ფუთს შეადგენდა, დაახლოებით 120.000-მდე მანეთის ღირებულებისა. ამ პერიოდში ქარხანაში ორი ორთქლის მანქანა მოქმედებდა 80 ცხენისძალისა. მუშათა საშუალო რაოდენობა 25 კაცს შეადგენდა, რომელთა თვიური ხელფასი 20 მანეთამდე აღწევდა. წლიურად მუმავდებოდა ღორის ქონი—6000 ფუთი; გოგირდის სიმჟავე—1600 ფუთი და ა. შ. ქარხნის პროდუქცია ამიერკავკასიის ბაზარზე გადიოდა[56].

ტოლეს საპნის ქარხანას დიდი ხნის ისტორია ჰქონდა ჯერ კიდევ 1843 წელს ვორონცოვის რჩევით უცხოელმა შულცმა თბილისში დაარსა საწარმო საპნის დასამზადებლად; მისი არსებობა ძალზე ხანმოკლე უნდა ყოფილიყო. ამ წამოწყებიდან დიდი ხნის შემდეგ ფრანგმა ძმებმა დეზელმებმა თბილისში დააარსეს ასეთივე საწარმო და იწყეს სტეარინის სანთლების და საპნის დამზადება, მაგრამ მათი ანგარიში არ გამართლდა და იძულებული შეიქნენ ეს კარგი წამოწყება გადაეცათ თამამშვილისათვის. არც ეს უკანასკნელი გამოდგა

---

[55] სცსა, ფ. 17, საქ. 486, ფურც. 74.

[56] იქვე, ფ. 204, საქ. 592, ფურც. 124; საქ. 654, ფურც. 65.

განსწავლული ამ საქმეში და საწარმოს შემდგომი მეპატრონე შეიქნა ტოლე, რომელმაც წარმოება აღმავლობის გზით წაიყვანა[57]. იგი, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, საპნის და სტეარინის სანთლების ქარხნული წესით დამამზადებელ მსხვილ კაპიტალისტურ საწარმოდ იქცა. ადგილზე დამზადებული სანთლის საცალო ფასი იყო 2—3 კაპიკი, გაცილებით იაფი ვიდრე შემოტანილი საქონლისა. მაგ., ნევის სტეარინის ამხანაგობის ქარხნის 1 გირვანქა სანთელი 26 კაპიკად ფასობდა[58].

თბილისში არსებობდა ეპარქიალური უწყების სანთლის „ქარხანა", რომელიც 1866 წლიდან მოქმედებდა. „ქარხანაში" ზაფხულის თვეებში მუშაობდა ქალების დიდი რაოდენობა— მალაკნები. იდგა ორი მცირე ზომის ორთქლის ქვაბი. მუშაობდა 4 ოსტატი და 4 მუშა. პირველნი თვეში იღებდნენ 30—40 მანეთს, ხოლო მეორენი—12—25 მანეთს. შავი მუშის დღიური ხელფასი 50—80 კაპ. შეადგენდა. ქალის შრომა დღიურად 50 კაპ. ფასობდა. წლიურად ამ საწარმოში მზადდებოდა 2000 ფუთი სანთელი, 60.000 მან. ღირებულებისა[59].

გარდა ზემოგანხილულისა, თბილისში 70-იანი წლებიდან იყო კიდევ საპნის დამამზადებელი მთელი რიგი წერილი საწარმოები. მათ შორის: თბილისის მოქალაქის მიხეილ მარქაროვისა (წლიურად ამზადებდა საპონს 800 ფუთს; წებოს—200 ფუთს; მუშაობდა 3 კაცი)[60], ნერსეს შახნაზაროვისა (2—3 მუშა ამზადებდა 800 ფუთამდე საპონს),[61] ადოლფ ბაბის (1600 მან. ღირებულების პროდუქცია და 4 მუშა), მამედ ოღლის (1200 მან. პროდუქცია და 3 მუშა); არტემ ვართაპეტოვის (2400-მდე მან. პროდუქცია და 4 მუშა)[62], ალექსი ტერ-კარაპეტოვის, ეგორ კარაპეტოვის, ვალი ისმაილ

---

[57] Ст. Гулишамбаров, Обзор фабрик и заводов Тифлисской губернии, Тифлис, 1887, გვ. 108.

[58] იქვე, გვ. 109.

[59] იქვე, გვ. 104—105.

[60] სცსა, ფ. 204, საქ. 592, ფურც. 134; საქ. 654, ფურც. 69.

[61] იქვე, საქ. 592, ფურც. 135, საქ. 654, ფურც. 70.

[62] იქვე, საქ. 654, ფურც. 42—43—44.

ოღლის, მოსე ტერ-არაქელოვის[63] და კიდევ ბევრი სხვა, რომლებიც როგორც მონაცემებიდანაც ჩანს, ძალზე მცირე ზომისანი იყვნენ და უმნიშვნელო როლს თამაშობდნენ საბნის წარმოების შემდგომი განვითარების საქმეში.

— დასასრულ უნდა აღინიშნოს 1880 წ. თბილისში გახსნილი სამსონ მღებროვის პროვანსული ზეთის და კარაქის დამამზადებელი საწარმო; იგი 500 ფუთამდე პროდუქციას ამზადებდა. საწარმოში იდგა ერთი ორთქლის მანქანა 35 ცხენისძალის სიმძლავრისა. ზეთის მდღვებავი იყო ერთი უცხოელი; დანარჩენი შავი მუშები ადგილზე იყვნენ დაქირავებული. ნედლეულს იღებდნენ ერევნის გუბერნიიდან და როსტოვიდან[64].

საწარმომ 1885 წელს დაამზადა:

ქუნჟუთის ზეთი—3000 ფუთი 24.000 მან. ღირებულებისა; სელის ზეთი—2000 ფუთი 10.000 მან. ღირებულების; შემდეგ წელს ქარხნის მიერ გამოშვებული პროდუქციის ღირებულება გაიზარდა 39.000 მან-მდე[65].

ამ საწარმოს შესახებ შემდგომი წლების მონაცემები არ გაგვაჩნია, ამიტომ ძნელია ვილაპარაკოთ მის ზრდაზე (ანდა პირიქითაც), მაგრამ ერთი რამ მაინც გარკვევით შეიძლება ითქვას. ზემოთ მოტანილი მონაცემები ეხება 1880 წელს, ე. ი. იმ წელს, როცა იგი გაიხსნა; საწარმო მხოლოდ 1880 წლის 1 ნოემბერს შესულა მწყობრში, ამდენად ეს მონაცემებიც სულ რაღაც ორიოდე თვეს ეხება და სავსებით არ ამოწურავს საწარმოს წლიური წარმოების ოდენობას. უნდა ვიფიქროთ, რომ იგი მთელი წლის მანძილზე, თუნდაც მომდევნო წლებში, გაცილებით მეტ პროდუქციას დაამზადებდა. ეს საწარმო თავისი ხასიათით კაპიტალისტური ტიპის ქარხანაა, რომელიც მანქანის შრომას ემყარება; სიდიდით ჯერ კიდევ მცირეა, მაგრამ მასში არის ზრდისა და გაფართოების ტენდენცია.

---

[63] სცსა, ფ. 192, ანაწ. 6, საქ. 41, ფურც. 14.

[64] იქვე, ფ. 17, საქ. 486, ფურც. 75.

[65] სცსა, ფ. 204, საქ. 592, ფურც. 84, საქ, 654, ფურც. 16.

საპნისა და სანთლის განხილულ საწარმოთა ნაწილი მხოლოდ წვრილი კაპიტალისტური ხასიათისაა, ჰყავს 3—6 დაქირავებული მუშა, არ გააჩნია არავითარი სამანქანო მოწყობილობა და ყოვლად პრიმიტიული წესით ამზადებს პროდუქციას. ისინი მცირე ზომის მანუფაქტურებად რჩებიან და მხოლოდ ვიწრო ადგილობრივ ხასიათს ატარებენ.

— სამაგიეროდ, სულ სხვაა ჩვენ მიერ განხილული საპნისა და სტეარინის სანთლების დამამზადებელი ტოლეს ქარხანა. მასში მოქმედებენ ორთქლის მანქანები, ორთქლის ქვაბები და მთელი რიგი სხვა მექანიკური მოწყობილობები. მისი პროდუქცია მთელ ამიერკავკასიაში გადის და დიდი მოწონებითაც სარგებლობს მომხმარებელში.

ხე-ტყის დამმუშავებელი მრეწველობა

სახერხები, ეტლების, ავეჯის და ფანერის წარმოება

ხე-ტყის დამმუშავებელი მრეწველობიდან თბილისში პირველად სახერხი წარმოება გაჩნდა ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დამდეგს. იგი თანდათან ფართოვდებოდა თბილისის ზრდასა და გაფართოებასთან ერთად და აგურის წარმოებასთან ერთად ქმნიდა პროდუქციას ქალაქის მზარდი მშენებლობისათვის. ეს პროცესი კიდევ უფრო დაჩქარდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში; სახერხები თანდათან მსხვილ საწარმოებად იქცა. ამასთან ერთად იწყება ეტლების, ავეჯის და ფანერის წარმოება, რაც თავის მხრივ ისევ ქალაქის ზრდის, მისი კულტურული წინსვლისა და მოსახლეობის მოთხოვნილებათა გაფართოების უშუალო შედეგი იყო.

გავეცნოთ კონკრეტულად როგორი იყო ამ დროის თბილისის ხე-ტყის დამმუშავებელი მრეწველობა.

— თბილისში 1878 წლიდან სახერხი ქარხანა ჰქონდათ მეორე გილდიის ვაჭრებს არუთინ ასრიევს და აღასი ტერასატუროვს. აქ იდგა 1 ორთქლის მანქანა 25 ცხენისძალისა და ერთი ორთქლის ქვაბი 30 ცხენისძალისა. ქარხანაში მუ-

შაობდა 16-მდე მუშა. აქედან 10 უშუალოდ წარმოებაში, დანარჩენები გარე სამუშაოებზე[66]. ისინი დღიურად მუშაობდნენ. ამდენად მუშათა ეს რაოდენობა მინიმალურად უნდა ჩავთვალოთ და სხვა შემთხვევებში საჭიროების მიხედვით ალბათ მეტ რაოდენობას ქირაობდნენ. დღიური ხელფასი 50—70 კაპიკს შეადგენდა. მუშაობა წარმოებდა 5 სახერხ დაზგაზე. ნედლეული ჩამოჰქონდათ თბილისის და ბორჯომის მიდამოებიდან. პროდუქცია გადიოდა თბილისისა და ერევნის გუბერნიებში. მუშაობა მხოლოდ ზაფხულის თვეებში წარმოებდა. ერთი, 1885 წლის განმავლობაში ქარხანამ დაამზადა:

კოჭი (балка) 3×6, 3×5 და სხვ. ზომის 2000 ცალი 3.000 მან. ღირებულების. ფიცრები 1×6, 1×7 და სხვა ზომის 5000 ცალი 7.500 მან. ღირებულების. სულ 7000 ერთეული 10.500 მან. ღირებულებისა[67].

— ასეთივე სახერხი ქარხანა მადათოვის კუნძულზე 1872 წლიდან ეკუთვნოდა ეჯუბოვას. ქარხანაში ერთი ორთქლის მანქანა იდგა 12 ცხენისძალისა და ერთი ასეთივე ორთქლის ქვაბი; მოქმედებდა 2 სახერხი დაზგა. მუშაობდა 18-მდე კაცი, რომლებსაც დღიურად ქირაობდნენ. ხელფასი აქაც 60—70 კაპ. იყო, სამუშაო დრო—12 საათი[68]. ქარხნის პროდუქციულობა წლის მანძილზე ასეთი იყო: ძელი 2000 ცალი, 3000 მან. ღირებულების; ფიცრები 3000 ცალი, 4000 მან. ღირებულების[69].

მადათოვის კუნძულზე არსებობდა მეორე გილდიის ვაჭრის სერგო ელიაზაროვის მემკვიდრეთა სახერხი ქარხანა. აქ იდგა 1 ორთქლის მანქანა 25 ცხენისძალისა და ასეთივე სიმძლავრის 1 ორთქლის ქვაბი, აგრეთვე 4 სახერხი დაზგა.

---

[66] სცსა, ფ. 204, საქ. 592, ფურც. 142, საქ. 654, ფურც. 59.

[67] იქვე.

[68] იქვე, ფ. 204, საქ. 592, ფურც. 144.

[69] იქვე, 1884 წლამდე სახერხს თვით ეჯუბოვი განაგებდა. მაშინ აქ 9 კაცი მუშაობდა (Г. Бакрадзе—„Возникновение и развитие кав. промышл. в Грузии в XIX веке. Тбилиси, 1958, გვ. 217), ამ წელს კი იგი გადაეცა მისი ქვრივის ხელში. ამ დროიდან იწყება წარმოების ზრდა.

ქარხანაში მუშაობდა 18 კაცი. 10 ადგილზე, ხოლო 8—გარე სამუშაოებზე. მუშათა რაოდენობა უცვლელი იყო; გამონაკლისს შეადგენდა მხოლოდ 1886 წ. ოქტომბერ-დეკემბერი, როცა ორთქლის მანქანის უმოქმედობის გამო წარმოებაში დარჩა მხოლოდ 3 კაცი. მუშის დღიური ხელფასი შეადგენდა 60—70 კაპიკს. სამუშაო დღის ხანგრძლიობა 12 საათს აღწევდა.

ქარხანამ 1885 წლის მანძილზე დაამზადა: კოჭი (ბალკა) 3000 მან. ღირებულების; ფიცრები—6000 მან. ღირებულების[70]., ქარხნის მიერ დამზადებული პროდუქცია გადიოდა თბილისისა და ელიზაველტოპოლის, აგრეთვე ,ერევნის გუბერნიაში. ზამთრის თვეებში ქარხანა არ მოქმედებდა. იგი 1884 წელს ამოქმედდა.

სახერხი ქარხანა ჰქონდა თბილისში მეორე გილდიის ვაჭარს ანანოვს, რომლის წლიური ბრუნვა შეადგენდა 2000 მანეთს. შემდგომში იგი გაიზარდა სამ-ოთხ ათასამდე. ქარხანაში 1886 წელს იდგა 1 ორთქლის მანქანა 25 ცხენისძალისა და 12 სახერხი დაზგა. მაისიდან ოქტომბრამდე ქარხანაში 10 კაცი მუშაობდა, დანარჩენ თვეებში კი 8. საწარმო 1879 წლიდან არსებობდა[71].

შვარცისა და К° სახერხ ქარხანაში, რომელიც 1878 წლიდან მუშაობდა, მზადდებოდა საშენი მასალა. ქარხანაში იდგა ორი ორთქლის მანქანა და 18 სხვადასხვა სახის დაზგა. მისი პროდუქციის წლიური ბრუნვა შეადგენდა 65.000 მანეთს; სულ მუშაობდა 45 კაცი[72].

80-იანი წლებიდან თბილისში სახერხი ქარხნების რიცხვი სისტემატურად იზრდება. აღსანიშნავია, რომ მათში ყველგან ორთქლის ძრავას იყენებენ. ასე მაგალითად, 1886 წ. როტინოვის სახერხ ქარხანაში, სადაც 10 კაცი მუშაობდა და 8500 მან. ღირებულების პროდუქცია მზადდებოდა, იდგა 50 ცხენისძალიანი 1 ორთქლის მანქანა[73]. თავად მუხრანელის

---

[70] სცსა, ფ. 204, საქ. 592, ფურც. 143, საქ. 654, ფურც. 60

[71] იქვე, ფ. 204, საქ. 592, ფ. 145, საქ. 654, ფურც. 62.

[72] იქვე, ფ. 17, საქ. 486, ფურც. 112

[73] იქვე, ფ. 204, საქ. 654, ფურც. 61.

მამულში არსებულ საწარმოში იდგა ერთი ორთქლის მანქანა 25 ცხენისძალისა და ერთი ორთქლის ქვაბი[74].

ეს სახერხები ნამდვილი კაპიტალისტური ქარხნებია. ისინი ძირითადში 70-იანი წლების ბოლოსა და 80-იანი წლების დამდეგს იქმნება და თავიდანვე მაღალ დონეზე აწყობენ თავიანთ წარმოებას. მათი ტექნიკური ბაზა ორთქლის ძრავაა.

* * *

ეტლების დამამზადებელი პირველი ფაბრიკა თბილისში გაიხსნა 1860 წელს ადგილობრივ საფოსტო სამმართველოსთან საგზაო ეტლების დამზადებისა და შეკეთებისათვის. შემდეგ იგი გადავიდა კერძო საკუთრებაში სლივიცკისა და მამედალი ბეკ იბრაჰიმბეკოვის ხელში. აქ მზადდებოდა ტარანტასები, ეტლები, საბარგულები. ეტლის ყველა ნაწილი ადგილზე მზადდებოდა. ფაბრიკაში მუშაობდა 65 კაცი[75].

ეტლების წარმოება თბილისში სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. 80-იან წლებში ჩნდება ეტლების დამამზადებელი ახალი ფაბრიკები. მათ შორის აღსანიშნავია მეორე გილდიის ვაჭრის ანდრია კოტრინის საწარმო, რომელიც 1884 წელს დაარსდა; იგი წელიწადში 10 ეტლს და 40 ცალ საზიდარს ამზადებდა—სულ 10.400 მან. ღირებულების პროდუქციას. ფაბრიკაში იდგა ერთ ორთქლის მანქანა 5 ცხენისძალისა და ერთი ორთქლის ქვაბი 15 ცხენისძალისა. წარმოება სრულდებოდა 3 სახარატო დაზგის, 3 საბურღავი მანქანის და სხვ. მეშვეობით. ფაბრიკაში მუშაობდა 24 კაცი. აქედან 20 უშუალოდ წარმოებაში მონაწილეობდა, ხოლო 4 გარე სამუშაოებს ასრულებდა. მუშათა რიცხვი ზამთრის თვეებში კლებულობდა. ყველა მუშა ერთად თვეში იღებდა 720 მანეთს. სამუშაო დღის ხანგრძლიობა 12 საათს შეადგენდა. მასალად იყენებდნენ წლიურად სამას ფუთ რუსულ

---

[74] სცსა. ფ. 204, საქ. 592, ფურც. 63.

[75] Ст. Гулишамбаров, Обзор фабрик и заводов Тифлисской губернии, Тифлис, 1887, გვ. 226—227.

რკინას და ადგილობრივ ხე-ტყეს. წარმოებას თვითონ კოტრინი განაგებდა, რომელსაც განათლება პარიზში ჰქონდა მიღებული[76].

1860 წლიდან თბილისში არსებობდა საფოსტო ეტლების დამამზადებელი ფაბრიკა, რომელსაც ფოსტის უწყება განაგებდა. ფაბრიკაში 80-იან წლებში წლიურად მზადდებოდა 130 ეტლი 120.000 მან. ღირებულებისა. საშუალოდ აქ მუშაობდა 60 მოზრდილი მამაკაცი; ხელფასს იღებდნენ ნაწილი დღიურად, ხოლო დანარჩენი თვიურად. იყო საცალო ანაზღაურებაც. სულ წლის მანძილზე ხელფასის სახით მუშებს ეძლეოდათ 19.000 მან. სამუშაო დღის ხანგრძლიობა 11 საათს შეადგენდა. დამზადებულ ეტლებს თვით ფოსტის უწყება იყენებდა[77]. ეს უკანასკნელი სახაზინო საწარმოა; მას თვითონ ხაზინა განაგებს და პროდუქციაც ამ უკანასკნელის ინტერესებს ხმარდება.

უფრო მცირე ზომის ეტლების დამამზადებელი საწარმო ჰქონდა თბილისის მოქალაქეს დავით მაიერს. იგი წლის მანძილზე ამზადებდა ორ ეტლს 1500 მან. ღირებულებისა და რამდენიმე საბარგულს. მთელ სამუშაოს სულ ექვსიოდე კაცი ასრულებდა ხელის საშუალებით[78].

* * *

ავეჯის წარმოება ძირითადში უცხოელების ხელში იყო თავმოყრილი. ყველაზე მნიშვნელოვანი თბილისში იყო მეორე გილდიის ვაჭრის ფრიდრიხ ზეიცერის ავეჯის ფაბრიკა, რომელიც 1846 წელს დაარსდა, მაგრამ მას შემდეგ ბევრი ცვლილება განიცადა და აღებული დროისათვის კაპიტალისტურ ფაბრიკად ჩამოყალიბდა. 80-იან წლებში ფაბრიკა ამზადებდა ყოველგვარ ავეჯს და პარკეტს „по образцам и рисункам, принятым лучшими фабрикантами в России и Заграницей"[79]. ფაბრიკის საბრუნავი კაპიტალი ამ დროისა-

---

[76] სცსა, ფ. 204, საქ. 592, ფურც. 169, საქ. 654, ფურც. 57.

[77] სცსა, 204, საქ. 592, ფურც. 71.

[78] იქვე, ფ. 204, საქ. 592, ფურც. 160; საქ. 654, ფურც. 56.

[79] იქვე, ფ. 17, საქ. 486, ფურც. 118.

თვის 50.000 მან. შეადგენდა. წლიურად იგი ჰყიდდა 40.000 მან. ღირებულების პროდუქციას[80]. ფაბრიკაში იდგა ერთი ორთქლის მანქანა 25 ცხენისძალისა და ერთი ასეთივე სიმძლავრის ორთქლის ქვაბი. მოწყობილობიდან აღსანიშნავია: 1 სარანდავი მანქანა, 1 ფანერის სახერხი, 1 მრგვალი ხერხი, 4 სახარატო დაზგა. წარმოებაში ჩაბმული იყო 25 მოზრდილი მამაკაცი და 15 მცირეწლოვანი. მოზრდილები ცხოვრობდნენ კერძო სახლებში, მცირეწლოვანები კი ფაბრიკასთან არსებულ შენობაში. ყველა ერთად თვეში იღებდა 800 მანეთს; სამუშაო დღე 12 საათს შეადგენდა[81]. მუშებიდან 8 კაცი უცხოელი იყო, 11 რუსი, დანარჩენი ადგილობრივი. ყველა მუშა ნებითდაქირავებული იყო. მასალის ნაწილს ამიერკავკასიაში იძენდნენ, ნაწილს რუსეთსა და უცხოეთში. წითელი ხე მხოლოდ უცხოეთიდან შემოჰქონდათ[82].

✓ თბილისში არსებობდა რენცის ავეჯის დამამზადებელი საწარმო, რომელიც 1877 წელს გაიხსნა. იგი სიდიდით ზეიცერის ფაბრიკაზე პატარა იყო. აქ უფრო მეტად მზადდებოდა: კარ-ფანჯრები, მაგიდები, სკამები, კარადები. მუშაობდა მხოლოდ 6 კაცი, რომლებიც თვეში იღებდნენ 20—40 მანეთს. საწარმოს საერთო მიმოქცევა შეადგენდა 7000 მანეთს[83].

✓ თბილისში იყო კიდევ ერთი ავეჯის წარმოება, რომელიც ეკუთვნოდა ფრანგ არშინარს. ამ წარმოებამ 1887 წ. არსებობა შეწყვიტა[84].

* * *

ფანერის დამამზადებელი საწარმოებიდან აღსანიშნავია მეორე გილდიის ვაჭრის ავეტიკ ელიაზაროვის საწარმო; იგი 1886 წელს დაარსდა და პირველივე წელს დაამზადა 100.000

---

[80] სცსა, ფ. 17, საქ. 486, ფურც. 118.

[81] სცსა, ფ. 204, საქ. 592, ფურც. 154, საქ. 654, ფურც. 55.

[82] იქვე. ფ. 17, საქ. 486, ფურც. 118.

[83] Ст. Гулишамбаров, Обзор фабрик и заводов Тифлисской губернии, Тифлис, 1887, გვ. 161.

[84] იქვე.

ცალი ფანერის ფურცელი 26.500 მან. ღირებულებისა[85]. საწარმოში იდგა ერთი ორთქლის მანქანა 10 ცხენისძალისა და 1 წყლის ძრავა. თავდაპირველად მუშაობდა 7 მუშა, რომელთა რიცხვი შემდგომ საგრძნობლად გაიზარდა. ეს ზრდა განსაკუთრებით მაისიდან აგვისტომდე იგრძნობოდა, როცა ფანერის დამზადების სეზონი დგებოდა. თვეში თითოეული მუშა საშუალოდ იღებდა 20 მანეთამდე. ამ საწარმოში დამზადებული პროდუქცია რუსეთსა და კავკასიაში იყიდებოდა[86]. საწარმოს დაარსებიდან სამი წლის შემდეგ იგი ხანძარმა გაანადგურა, დაზღვეული არ იყო და მისმა მეპატრონემ დიდი ზარალი განიცადა. ერთი წლის შემდეგ ელიაზაროვმა ახალი ფაბრიკა ააშენა თბილისში, რომელიც 1889 წლის მაისიდან ამოქმედდა[87]. ეს საწარმოც თავისი ხასიათით კაპიტალისტური ფაბრიკაა.

* * *

80-იან წლებში თბილისში ჩნდება ფორტეპიანოს დამამზადებელი საწარმო (1879 წელს) მოქალაქე ფრიდრიხ რეიერისა, სადაც წლიურად მზადდებოდა 8 ცალი ფორტეპიანო. სამუშაოს ორი მუშა ასრულებდა, რომლებიც თვეში 80 მანეთს იღებდნენ. წარმოება სრულდებოდა ერთი მანქანის (для отшатания струн) და ერთი მბურღავი დაზგის საშუალებით. ფორტეპიანოსათვის საჭირო სიმები საზღვარგარეთიდან შემოჰქონდათ; ასევე შემოტანილი იყო კლავიატურაც გერმანიიდან. ხის მასალას თბილისში იძენდნენ[88].

* * *

80-იან წლებში თბილისში არსებობდა ევგენი ბერნეკისის სადურგლო საწარმო, რომელიც ამზადებდა: ფანჯრებს, კარებს, თითოეულს დაახლოებით 27 მანეთად. წლიურად 15.000 მანეთის ღირებულების პროდუქციას უშვებდა. საწარ-

---

[85] სცსა, ფ. 204, საქ. 654, ფურც. 47.

[86] იქვე.

[87] Ст. Гулишамбаров, Обзор фабрик и заводов Закавказского края, Тиф. 1894, გვ. 381.

[88] სცსა, ფ. 204, საქ. 592, ფურც. 156. საქ. 654, ფურც. 58.

მოში იდგა 15 ცხენისძალიანი ორთქლის მანქანა. ოსტატი იყო დაახლოებით 30 კაცი, ყველა ნებით დაქირავებული მუშა. ზაფხულის თვეებში მუშათა რიცხვი 2-ჯერ და მეტად იზრდებოდა[89]. ესეც კაპიტალისტური ფაბრიკაა, ოღონდ უფრო ვიწრო მასშტაბის.

სამშენებლო საზეინკლო ჰქონდა ამ დროს თბილისში დანიელ ლანგეს, რომელიც 6 მუშის საშუალებით წლიურად დაახლოებით 6.000 მან. ღირებულების პროდუქციას უშვებდა[90].

ასეთია ძირითადად თბილისში არსებული ხე-ტყის დამმუშავებელი საწარმოები 80-იან წლებში. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ამ საწარმოში, მცირე გამონაკლისის გარდა, ხელით შრომას მანქანა ცვლის. ორთქლის ძრავას მასში გაბატონებული მდგომარეობა უჭირავს.

ლუდის, სპირტის და ხელოვნური მინერალური წყლების წარმოება

ლუდის წარმოებიდან თბილისში ძირითადი პროცენტი უცხოელების ხელში იყო თავმოყრილი. ამ საქმეს თავდაპირველად გერმანელი კოლონისტები მისდევდნენ. ჯერ კიდევ 1850 წელს ამ კოლონიაში მცირე ზომის ლუდსახარში დაარსა მადერმა (მის მიერ გამოშვებულ შავ უხარისხო ლუდს ისევ კოლონისტები იძენდნენ). 1865 წ. დაარსდა ვეტცელის ქარხანა, სადაც ბავარულ ლუდს ამზადებდნენ. იმავე კოლონიაში მალე კიდევ ორი ქარხანა გაიხსნა დეტრიხის და გუტბროდისა.

ლუდის წარმოება თბილისში განსაკუთრებით რეფორმისშემდგომ ხანაში, და კერძოდ, 70—80-იან წლებში იზრდება. ჩნდება მთელი რიგი ლუდის ქარხნები, რომლებიც უმაღლესი ხარისხის ლუდს ამზადებენ.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ლუდის ქარხანა 80-იან წლებში თბილისში ჰქონდა მეორე გილდიის ვაჭარს ადოლფ მადერს. ქარხანაში იდგა 1 ორთქლის მანქანა 5 ცხენისძალი-

---

[89] სცსა, ფ. 17, საქ. 486, ფურც. 125.

[90] იქვე, ფურც. 123.

სა და 1 ორთქლის ქვაბი. მუშაობდა 16 კაცი, სამუშაო დროის ხანგრძლიობა 12 საათს შეადგენდა. ქარხანას ჰქონდა ერთი საკვასავი (заторный) კასრი, 2 ლუდსახარში ქვაბი, 3 წყლის რეზერვუარი და 1 წყლის ტუმბო. აქ დამზადებული ლუდი იყიდებოდა თბილისის გუბერნიაში.

1885 წელს ქარხანამ დაამზადა 48.000 ვედრო ლუდი 62400 მან. ღირებულების და 1886 წელს—52.000 ვედრო ლუდი 67.000 მან. ღირებულების. 1885 წელს ნედლეულის სახით ქარხანაში გადამუშავებულ იქნა 10.000 ფუთი რუსული ქერი, ხოლო 1886 წელს—13.000 ფუთი ქერი და 105 ფუთი უცხოური სვია[91].

სანაპიროს ქუჩაზე ლუდსახარში ქარხანა ჰქონდა მეორე გილდიის ვაჭარს ფრიდრიხ ვეტცელს. ქარხანაში იდგა ერთი ორთქლის მანქანა 8 ცხენისძალისა და ასეთივე სიმძლავრის ერთი ქვაბი. მუშაობდა 16 კაცი[92], რომლებსაც ბინები თვით ქარხანასთან ჰქონდათ. სამუშაო დრო 12 საათს შეადგენდა. ეს ქარხანა 1868 წელს დაარსდა და ყოველწლიურად ზრდიდა თავის წარმოებას. უკვე 1880 წელს ქარხანა ამზადებდა ბავარულ, შავ და საექსპორტო ლუდს, რომელიც იყიდებოდა 1 მან. 50 კაპ.-დან—2 მან-მდე ვედრო. საწარმოში იდგა: საკვასავი კასრი (255 ვედროს ტევადობით), ერთი დამხმარე კასრი (240 ვედროს ტევადობით), 2 მაცივარი, რამდენიმე ტუმბო და სხვ.

1885 წელს ქარხანამ დაამზადა 60.000 ვედრო ლუდი 78.000 მან. ღირებულების; ხოლო 1886 წელს—65.000 ვედრო 84.000 მან. ღირებულებისა[93]. ქარხნის პროდუქცია თბილისის გუბერნიაში იყიდებოდა. მუშახელი ვეტცელს ადგილობრივი მოსახლეობიდან ჰყავდა აყვანილი, ხოლო მთავარი ოსტატი, ბუხჰალტერი და მოლარე უცხოელები იყვნენ[94].

---

[91] სცსა, ფ. 204. საქ. 592, ფურც. 163, საქ. 654, ფურც. 20.

[92] მეორე ცნობით მუშათა რიცხვი 30 კაცს შეადგენდა 80-იან წლებში. იხ. სცსა, ფ 17, საქ. 486, ფურც. 119.

[93] სცსა, ფ. 204, საქ. 592, ფურც. 161, საქ. 654, ფურც. 18.

[94] იქვე. ფ. 17, საქ. 486, ფურც. 119.

თბილისში დიდუბის ქუჩაზე ლუდსახარში საწარმო ჰქონდა მეორე გილდიის ეაჟარს ნიკოლოზ ლორთქიფანიძეს. საწარმო უმთავრესად ამზადებდა ბავარულ, შავ და საექსპორტო ლუდს. წლიურად აქ მზადდებოდა 12.500-მდე ვედრო ლუდი 21.000 მან. ღირებულების. წარმოების პროცესი აქ ხელით შრომაზე იყო დამყარებული. მოქმედებდა ერთი საკვასავი ქვაბი 150 ვედროს ტევადობით; 1 დამხმარე კასრი 240-მდე ვედროს ტევადობით; 2 მაცივარი. საწარმოში მუდმივად 10 კაცი მუშაობდა[95]. 1885 წელს ლორთქიფანიძის საწარმომ დაამზადა 36 000 ვედრო ლუდი 46.000 მან. ღირებულებისა, ხოლო 1886 წელს 40.000 ვედრო 56.000 მან. ღირებულების[96]. ეს საწარმო 70-იან წლებში შეიქმნა გერმანელთა კოლონიაში გუტბროდის ყოფილი ბცირე ზომის ლუდსახარში საწარმოს ბაზაზე. 1887 წელს ლორთქიფანიძემ ქალაქის ბაღის გვერდით გახსნა ფარდული, სადაც ჰყიდდა თავის ლუდს[97], რამაც კიდევ უფრო შეუწყო ხელი ლუდის წარმოებით დაინტერესებას.

სტ. გულიშამბაროვი გვაწვდის ერთ საინტერესო ცნობას, რომლის მიხედვითაც ლუდის ქარხნებში მუშახელის ძირითად მასას იმერლები (დას. საქართველოდან ჩამოსულნი) შეადგენდნენ. მისი მონაცემებით[98]:

ვეტცელთან	მუშაობდა	15	იმერელი,	და 2 გერმანელი
მადერთან		1	იმერელი	და 2
დიტრიხთან	„	5	„	და 2
ლორთქიფანიძესთან		16	„	

აქედან ნათელია, რომ თბილისის მრეწველობის სხვადასხვა დარგებში მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან აქტიურად მონაწილეობს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოსული მუშახელი და დაქირავებული შრომის ერთ-ერთ ძირითად წყაროსაც სწორედ ის ქმნის.

---

[95] სცსა, ფ. 17, საქ. 486, ფურც. 120.

[96] იქვე. ფ. 204, საქ. 592, ფურც. 162, საქ. 654, ფურც. 17.

[97] Ст. Гулишамбаров, Обзор фабрик и заводов Тифлисской губернии, Тифлис, 1887, გვ. 36.

[98] იქვე, გვ. 37—38.

V თბილისის ლუდსახარში საწარმოების მიერ დამზადებული ლუდი იყიდებოდა ადგილზე—1 მ. 30 კაპ-დან 1 მ. 60 კაპ-მდე ვედრო. ლუდის მოხმარების სფერო დასავლეთით არ სცილდებოდა თბილისის გუბერნიას, ხოლო აღმოსავლეთით აღწევდა ელიზავეტოპოლამდე. ლუდი თბილისში უცხოეთიდანაც შემოჰქონდათ. მაგრამ იგი იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ ვერაფითარ გავლენას ვერ ახდენდა ადგილობრივი ლუდით ვაჭრობაზე.

* * *

თბილისში ლუდის წარმოებასთან ერთად ფართო გავრცელება ჰპოვა ხელოვნური მინერალური წყლების და ლიმონათის დამამზადებელმა წარმოებამ. შევჩერდეთ ზოგიერთ მათგანზე:

— საამოვის ხელოვნური მინერალური წყლების დამამზადებელ საწარმოში 80-იან წლებში მზადდებოდა: ლიმონათი და სელტერის წყალი 20.000 ბოთლი 800 მან. ღირებულების და 300 სიფონი 300 მანეთის ღირებულებისა. სამუშაოს სულ 3 კაცი ასრულებდა, რომელთა თვიური ხელფასი 8—10 მანეთს შეადგენდა, ხოლო სამუშაო დღე 10 საათს აღწევდა. მოქმედებდა ერთი ლიმონათის დამამზადებელი მანქანა. წარმოებაში წლიურად იყენებდნენ 35 ფუთ გოგირდის სიმჟავეს და 50 ფუთ შაქარს. საწარმოს პროდუქცია ადგილზე იყიდებოდა. საწარმო არსებობდა 1884 წლიდან[99].

— მსგავსი საწარმოები ჰქონდათ ივანე გასპაროვს (პროდუქცია 20.000 ბოთლი და 3000 სიფონი)[100]; იაკობ ოქოევს (აქ საშუალოდ 5 კაცი მუშაობდა. ოსტატები იღებდნენ თვეში 25 მანეთს, მუშები კი 12 მან. საწარმო არსებობდა 1872—73 წლიდან[101]. ოქოევი ლიმონათის ქარხნისათვის ნედლეულს იძენდა: მარილებს მარსელიდან დაახ. 5 ფუთს, ფუთს მანეთად, შაქარს 400 ფუთს, 7 მანეთად ფუთი. ლი-

---

[99] სცსა, ფ. 204, საქ. 592, ფურც. 140, საქ. 654, ფურც. 32.
[100] იქვე, ფურც. 141, იქვე, ფურც. 33.
[101] იქვე, ფურც. 104, იქვე. ფურც. 31.

მონის სიმაღლეს ფუთს 40 მანეთად, სულ 12 ფუთი: გოგირდის სიმაღლეს—500 ფუთს, ფუთი 3 მან.[102]); ქრისტეფორე აბგარიანცს (მინერალური წყლების საწარმოში მზადდებოდა ლიმონათი და სელტერის წყალი, აქაც 5 კაცი მუშაობდა. საწარმოს მიერ დამზადებული წლიური პროდუქციის ღირებულება 80-იან წლებში შეადგენდა 4000 მან. დაარსდა 1883 წელს)[103]; ალექსანდრე აკოფოვს (50.000 ბოთლი და სიფონი 5000 მან. ღირებულების, 6 მუშა. თვიურად შავი მუშები იღებდნენ 15 მანეთამდე, ხოლო ოსტატი — 30 მანეთს, დღიური მუშები კი 60 კაპიკს. პროდუქცია იყიდებოდა თბილისსა და მის მიდამოებში. წარმოება არსებობდა 1883 წლიდან)[104]. ფრიც მადერს (5 მუშა, 138.434 ბოთლი პროდუქცია; შუშხუნა წყლების დამამზადებელი აპარატი დოქტორ სტრუვეს კონსტრუქციისა)[105]; ლუდვიგ შტელცერს და К°-ს (150.000 ბოთლი პროდუქცია; 1 ცხენისძალის წყლის ძრავა, ერთი აპარატი „მონდალოს" სისტემის. არსებობდა 1886 წლიდან)[106]; ჰენრიხ ვენაგელის (50.000 ბოთლი პროდუქცია, 4 მუშა. ერთი ორცილინდრიანი აპარატი, ერთი ტუმბო, ერთი გაზომეტრი. დაარსდა 1882 წელს)[107].

ამ დროისათვის თბილისში ვხვდებით ლიმონათის დამამზადებელ საწარმოებს—თედორე გენადისას და ახვერდოვისას. ისინი თავიანთი ხასიათით ისეთივენი არიან, როგორც ჩვენ მიერ ზემოთ განხილული სხვა მსგავსი საწარმოები. მუშათა რაოდენობა 3 კაცს შეადგენდა. დღიური ხელფასი 70 კაპიკს აღწევდა, საშუშაო დრო ზაფხულობით 9 საათს შეადგენდა, ზამთრობით კი 2—3—5 საათამდე დადიოდა[108].

---

[102] სცსა, ფ. 17, საქ. 486, ფურც. 46.
[103] იქვე, ფ. 204, საქ. 592, ფურც. 103. საქ. 654. ფურც. 25.
[104] იქვე. ფურც. 106.
[105] იქვე, საქ. 654, ფურც. 27.
[106] იქვე, ფურც. 23.
[107] იქვე, ფურც. 24.
[108] იქვე. ფ. 204, საქ. 592, ფურც. 148—149, საქ. 654, ფურც. 28.

*
* *

თბილისში ფართოდ იყო გავრცელებული არყის და სპირტის დამზადებაც. ეს დარგი განსაკუთრებით 80-იანი წლებიდან ჰპოვებს განვითარებას.

წარმოების დონისა და ტექნიკის მხრივ უპირველეს ყოვლისა გამოირჩეოდა დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილის სპირტისა და არყის ნაწარმთა დამამზადებელი ქარხანა. დავით ზაქარიას ძე განათლებული და მცოდნე კაცი იყო, სპეციალობით ქიმიკოსი და მაგარი სასმელების გამოხდა-დამზადების საქმეში მეტად დახელოვნებული.

სარაჯიშვილმა თავის ქარხანა 1885 წლიდან აამუშავა. თავდაპირველად აქ მოქმედებდა 4 ცხენისძალიანი ორთქლის მანქანა და ერთი ორთქლის ქვაბი[109]. მზადდებოდა მრავალგვარი სასმელი ადგილობრივი ხილეულობისგან, მათ შორის მაღალი ხარისხის კონიაკები, რომლებიც დიდი რაოდენობით გადიოდა რუსეთში და აზიაში. წარმოებას გამოცდილი და დახელოვნებული ოსტატები ხელმძღვანელობდნენ, რომელთა უმრავლესობა ევროპიდან იყო გამოწერილი. ქარხანასთან მზადდებოდა აგრეთვე სპეციალური ჭურჭლეულობა სასმელებისათვის. 1886 წელს ქარხანამ დაამზადა 25.000 ვედრო პროდუქცია 200.000 მან. ღირებულებისა[110]. გადასამუშავებელ სპირტს სარაჯიშვილი იღებდა მის მიერ დაარსებული ვლადიკავკაზის ქარხნიდან.

სარაჯიშვილის წარმოება დღითიდღე იზრდებოდა. 1887 წელს მან საფრანგეთიდან გამოიწერა ერთი ოსტატი, რომელიც საუკეთესო ხარისხის ლიქიორის დამზადებას ხელმძღვანელობდა. ქარხნისათვის საჭირო აპარატურა და მანქანები გამოწერილი იყო ევროპიდან—შვეიცარიიდან; ქარხანაში ამ დროისათვის 40 კაცი მუშაობდა; მოქმედებდა 10 ცხენისძალის ორთქლის ქვაბი[111].

---

[109] სცსა, ფ. 204, საქ. 654, ფურც. 22.

[110] იქვე.

[111] სცსა, ფ. 17, საქ. 3160, ფურც. 836.

სარაჯიშვილის მიერ დამზადებული პროდუქცია დიდ მოწონებას იმსახურებდა რუსეთსა და ევროპაში. მას არა ერთი ჯილდო დაუმსახურებია როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო გამოფენებზე. მაგ., 1889 წელს პარიზის გამოფენიდან მიიღო ორი ვერცხლის მედალი; 1893 წელს კოლუმბიის გამოფენიდან—ბრინჯაოს მედალი; 1890 წელს—პარიზიდან ოქროს მედალი კონიაკის უმაღლესი ხარისხისათვის. აქედანვე მან მიიღო ოქროს მედალი ლიქიორის ნაწარმისათვის; 1894 წელს—პეტერბურგიდან ვერცხლის მედალი; 1890 წელს—ყაზანიდან ოქროს მედალი და ა. შ. სარაჯიშვილის ქარხნის პროდუქციას იცნობდნენ ევროპის ქალაქები: ლონდონი, ბერლინი, ვენა, ჟენევა და სხვ. დავით ზაქარიას ძეს გახსნილი ჰქონდა საკუთარი მაღაზიები რუსეთის დიდ ქალაქებში: პეტერბურგს, რიგაში, ნოვგოროდში, მოსკოვში, ვარშავაში, ხარკოვში. თბილისში სამი მაღაზია ჰქონდა[112]. ამ უკანასკნელთ საწყობის სახე უფრო ჰქონდათ, საიდანაც ვაჭრები ყიდულობდნენ სასმელს როგორც ბოთლებით, ისე კასრებითაც და მერე თავიანთ მაღაზიებში ჰყიდნენ. ასეთი საწყობები იყო ბაქოში, ერევანში და საქართველოს მეტად თუნაკლებად ყველა მნიშვნელოვან ქალაქში[113].

გარდა სარაჯიშვილის ქარხნისა, თბილისში კიდევ არსებობდა სპირტისა და არყის წარმოება, რომლებიც გაცილებით ვიწრო მასშტაბის იყო და უფრო მანუფაქტურულ ხასიათს ატარებდა. მათ შორის უნდა მოვიხსენიოთ ივანე სიტკინის წარმოება, სადაც წლიურად 7000 მან. ღირებულების პროდუქცია მზადდებოდა. საწარმოში იდგა ერთი ექვსცხენისძალიანი ორთქლის ქვაბი. მუშათა საშუალო რაოდენობა 8 კაცამდე აღწევდა. აქ დამზადებული პროდუქცია ადგილზე იყიდებოდა[114]. არყის დამამზადებელი საწარმო თბილისში ჰქონდა ნიკოლოზ სტეფანოვს, რომელიც 1880 წლიდან მოქმედებდა. საწარმო ამზადებდა: 120 ვედრო

---

[112] ზ. ჭიჭინაძე, მრეწველობა, ვაჭრობა-ხელოსნობა საქართველოში, თბ., 1911, გვ. 98—99.

[113] იქვე.

[114] სცსა, ფ. 204, საქ. 592, ფურც. 100, საქ. 654, ფურც. 21.

რომს, 40 ვედრო ბალზამს, 40-მდე ვედრო ლიქიორს; ვედრო პროდუქცია იყიდებოდა 3 მან. ვერცხლით. კიდევ მზადდებოდა 9. 200 ვედრო გაწმენდილი სპირტი 40%-იანი[115]. ასეთივე საწარმო ჰქონდა გრიგოლ მელვინოვს, სადაც წლის მანძილზე მზადდებოდა 7.786 ვედრო არაყი 35.900 მან. ღირებულებისა[116]. ყველა ამ საწარმოში მუშაობდა 7—8 კაცი, ოსტატები და მუშები. მათი პროდუქცია ადგილობრივ ბაზარზე მოიხმარებოდა. ეს საწარმოები ვიწრო მასშტაბის კაპიტალისტური მანუფაქტურებია.

ამგვარად, სპირტისა და არყის წარმოებაში 80-იანი წლებიდან ჩნდება მსხვილი კაპიტალისტური ქარხანა, რომელიც იმდროინდელი ტექნიკის საუკეთესო მიღწევებით არის აღჭურვილი და მსოფლიო ბაზარზე გააქვს თავისი პროდუქცია. ეს ქარხანა 90-იანი წლებიდან კიდევ უფრო გაიზარდა და იქცა თითქმის ერთადერთ საწარმოდ, რომლის ხელშიც იყო თავმოყრილი სპირტისა და არყის წარმოება კავკასიაში. დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილის მოღვაწეობა შესანიშნავი ნიმუშია ქართველი მრეწველის საქმიანობისა, რომელმაც თავისი სამრეწველო პროდუქციის ხარისხითა და წარმოების ორგანიზაციით გააბათილა იმდროინდელი ხელისუფლებისა და ბევრი ოფიციალური მკვლევარის მოსაზრება, თითქოს ქართველი კაცი ინერტული ყოფილიყოს წარმოების მიმართ და კიდევ მეტიც—თითქოს ეს საქმე მის ნიჭსა და უნარს აღემატებოდეს.

მექანიკური წარმოება

კაპიტალიზმის განვითარება ჩვენში ქვეყნის კოლონიური მდგომარეობის გამო ცალმხრივად წარიმართა და ამიტომაც მრეწველობის ზოგიერთმა დარგმა ვერ ჰპოვა სათანადო გავრცელება და განვითარება. ეს პირველ რიგში მძიმე მრეწველობას შეეხება. ამ გარემოებამ ნათლად იჩინა თავი მე-19

---

[115] სცსა, ფ. 17, საქ. 486, ფურც. 79.

[116] იქვე, ფურც. 99.

საუკუნის მეორე ნახევრის თბილისში, სადაც მრეწველობის სხვადასხვა დარგებისათვის საჭირო მანქანები და იარაღები უმთავრესად გარეიდან შემოჰქონდათ.

მიუხედავად ამისა, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში თბილისში ვხედავთ მთელ რიგ მექანიკურ და თუჯსასხმელ საწარმოებს, რომლებიც უმეტესად ადგილობრივი მნიშვნელობისაა მაგრამ მაინც დიდ როლს თამაშობს მხარის ცხოვრებაში.

—პირველი მეტ-ნაკლებად დიდი ზომის მექანიკური და საზეინკლო საწარმო შეიქმნა თბილისში ჯერ კიდევ რეფორმამდელ ხანაში, კერძოდ, 1860 წელს მეორე გილდიის ვაჭრის იოსებ სამუელის ძე რუქსის მიერ. ეს საწარმო უკვე 80-იან წლებისათვის ფართო ხასიათს იღებს. ამ დროისათვის აქ მოქმედებდა ერთი 40 ცხენისძალის ორთქლის მანქანა და 10 ცხენისძალის ორთქლის ქვაბი. წარმოებაში ჩაბმული იყო 10 მოზრდილი და 13 მცირეწლოვანი მუშა. სამუშაო დღის ხანგრძლიობა 11 საათს შეადგენდა. საწარმოს ტექნიკურ ბაზას შეადგენდა: 1 ორთქლის მანქანა, 3 სახარატო დაზგა, 2 საჩარხავი, 1 სარანდავი დაზგა და 3 საბერველი.

საწარმოს წლიური პროდუქციულობის ნათლად წარმოდგენისათვის მოვიტანოთ სათანადო მასალები:

1885 წელს საწარმომ დაამზადა:

რკინის რაბი წყალსადენისათვის 3 ცალი 2000 მანეთის ღირებულების; შეაკეთა ორი ლოკომობილი— 600 მანეთად; შეაკეთა 4 სახერხი მანქანა—2000 მანეთად; დაამზადა რკინის ძელი წყალსადენისათვის 28 ცალი 1300 მანეთის ღირებულების; რკინის საფეხურები (კიბე) წყალსადენისათვის—4 ცალი 300 მან. ღირებულების; სხვადასხვა საზეინკლო და მექანიკური ნაწარმი 400 ფუთი 2000 მან. ღირებულების. სულ ამ წლის განმავლობაში საწარმომ დაამზადა 8200 მანეთის ღირებულების პროდუქცია[117]. საწარმოს მიერ დამზადებული პროდუქცია თვით თბილისის გუბერნიაში მოიხმარე-

[117] სცსა, ფ. 204, საქ. 592, ფურც. 150.

ბოდა. წარმოებას ხელმძღვანელობდა თვითონ რუქსი, რომელსაც ტექნიკური განათლება უცხოეთში ჰქონდა მიღებული. ამ საწარმოს შეგვიძლია ვუწოდოთ ქარხანა, მართალია, ჯერ კიდევ მცირე ზომისა, მაგრამ ქარხნული ტიპის საწარმო, სადაც ძირითადი საშუშაოები ორთქლის ძრავით სრულდება. 80-იან წლებში თბილისში, თუჯის ნაწარმზე მოთხოვნილების გაზრდასთან დაკავშირებით (ვინაიდან რენკვისტის ქარხანა ვეღარ ასწრებდა კერძო შეკვეთების შესრულებას), რუქსმა 1887 წელს თავის ქარხანასთან ააშენა თუჯსასხმელი საამქროც.

— 60-იანი წლების ბოლოსათვის თბილისში უკვე არსებობდა პრუსიელი ფრანკენის მიერ გახსნილი მექანიკური სახელოსნო.

— 1866 წლის 12 აპრილს სახელმწიფო ქონებათა დეპარტამენტი აცნობებდა ფინანსთა დეპარტამენტს, რომ პრუსიის ქვეშევრდომმა ფრანკენმა შეიტანა თხოვნა მიეცათ მისთვის ურთიერთდახმარების სახით 6 ათასი მანეთი მექანიკური სახელოსნოს მოსაწყობად[118].

— სოფლის მეურნეობის საზოგადოებამ დაადგინა მიეცა მისთვის თავდაპირველად 3500 მანეთი იმ პირობით, რომ ერთი შეღავათიანი წლის შემდეგ ამ თანხას გადაიხდიდა 10 წლის განმავლობაში, წლიურად 350 მანეთის რაოდენობით[119]. ფრანკენის განცხადებით მისი სახელოსნო იქნებოდა სასოფლო-სამეურნეო იარაღებისა და მანქანების შემკეთებელი „распространяющихся все более и более в эдешнем крае"; საჭირო მოწყობილობა მას ბერლინიდან უნდა გამოეწერა[120]. ერთდროულად ფრანკენი ითხოვდა 495 კვადრატული საჟენი მიწის ფართობს სახელოსნოს მოსაწყობად საარტილერიო სკოლის თავლის მეზობლად სახელმწიფო ფასებში[121].

---

[118] სცსა, ფ. 241, ანაწ. 3, საქ. 40, ფურც. 17.
[119] იქვე.
[120] იქვე ფურც. 9—10.
[121] იქვე, ფურც. 21.

_ ფრანკენი კარგად ერკვეოდა სახელოსნო საქმეებში. იგი ადრე მუშაობდა პრუსიის ერთ-ერთ რკინიგზაზე, სადაც გაიცნო და ძირეულად შეისწავლა მექანიკური საქმე—სამჭედლო, სახარატო და სადურგლო[122].

თავდაპირველად ფრანკენის სახელოსნოში მოქმედებდა: მარტივი სადურგლო დაზგა, სამი საზეინკლო ჭდე და ორი სახარატო დაზგა, ერთი საფეხურით, ხოლო მეორე მოძრაობაში მოჰყავდა მქნევარა ბორბალს; გარდა ამისა იდგა ორი საბურღავი მანქანა. სახარატო დაზგების ხის ნაწილები ფრანკენს ადგილზე ჰქონდა გაკეთებული, ხოლო ლითონისა ჩამოტანილი პრუსიიდან. ამ მცირე ზომის სახელოსნოსა და პატარა სამჭედლოში ფრანკენი ასრულებდა ყოველგვარი წვრილმანი მექანიკური ნაწარმის შეკეთებას მზა ლითონისა და ხისაგან[123]. მისი სახელოსნოს მოწყობილობის საერთო ღირებულება 5000 მანეთამდე აღწევდა[124]. 70-იანი წლების ბოლოსათვის ეს სახელოსნო ფრანკენის ქვრივის ლუიზა ფრანკენის ხელშია, ხოლო უფრო გვიან, 90-იანი წლებიდან ამ სახელოსნოს ბაზაზე შეიქმნა პოპოვიჩის მექანიკური ქარხანა თბილისში, სადაც ხდებოდა შემოტანილი ორთქლის ქვაბების აწყობა და სხვა მექანიკური სამუშაოები (ზოგჯერ იგი თვითონაც ამზადებდა მცირე ზომის ორთქლის ქვაბებს).

V 80-იან წლებში თუჯ-სასხმელი ქარხანა თბილისში ჰქონდა „კოლეჟსკი ასესორს“ ინჟინერ რობერტ რენკვისტს. ეს ქარხანა გაიხსნა 1881 წელს და თავდაპირველად ეკუთვნოდა აგაპოვს.

1881 წელს აგაპოვი თავის მიმართვაში კავკასიის მთავარმართებლისადმი აღნიშნავდა, რომ „. . В последнее время начинает ощущаться потребность в чугунных изделиях в

---

[122] შ. ცაგარეიშვილი, ფაბრიკულ-ქარხნული მრეწველობისა და მუშათა კლასის ისტორიისათვის საქართველოში, „საისტორიო მოამბე“, 1956, № 9 საბუთი № 5, გვ. 33.

[123] იქვე, გვ. 34

[124] სცსა, ფ. 241, ანაწ. 3, საქ. 40 ფურც. 38—39—40.

Тифлисе. Местные заводы и фабрики в особенности нуждаются в местном литейном заводе, потому что замененне испорченных чугунных частей машин сопряжена была всегда с большою потерею времени и значительными денежными затратами"[125]. იგი გამოთქვამდა სურვილს დაეკმაყოფილებინა ეს მოთხოვნილება და ხელი შეეწყო თუჯის წარმოების გაფართოებისათვის თბილისში. აგაპოვი აპირებდა თუჯსასხმელი ქარხნის გახსნას, რომლის პრაქტიკული საქმიანობა იქნებოდა თუჯის და სპილენძის ჯართის გადადნობა[126]. ცხადია, აგაპოვის დაინტერესება აიხსნებოდა არა საერთოდ თბილისში თუჯის წარმოების ბედით და მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებით, არამედ მისი პირადი ინტერესებით. დაინახა რა, ქალაქში თუჯის ნაწარმზე მოთხოვნილების ზრდა, მან გადასწყვიტა გამოეყენებინა ეს პირობები და თუჯსასხმელი ქარხნის გახსნით ამიერიდან თვითონ ყოფილიყო თუჯის ნაწარმის მიმწოდებელი თბილისის ბაზრისათვის. ჩვენთვის საინტერესოა თვით ფაქტი იმისა, რომ (ამ დროისათვის თბილისში სწრაფად იზრდება მოთხოვნილება თუჯის ნაწარმზე, რასაც თავის მხრივ ძირითადში სარკინიგზო მშენებლობა აპირობებს, ხოლო მეორეს მხრივ, როგორც თვითონ აგაპოვიც აღნიშნავს, სხვადასხვა სამრეწველო საწარმოებში მანქანების გამოყენება და მათი ნაწილების შეკეთება, თუ ახლად დამზადება.

აგაპოვის საწარმოში საწვავ მასალად გამოიყენებოდა კოქსი, ხოლო თუჯის ჯართი ჩამოჰქონდა ალექსანდროპოლიდან[127].

აგაპოვი მთავრობისაგან ითხოვდა ერთდროული დახმარების სახით უპროცენტოდ 33 ათას მანეთს მხარეში სა-

---

125 სესა, ფ 241. ანაწ. 3, საქ. 299, ფურც. 6—7.

126 იქვე.

127 ჯარს არტილერიის საოლქო სამმართველო აძლევდა სამხედრო საბჭოს ნებართვით.

ხარგებლო წამოწყებათათვის განკუთვნილი ფონდიდან; ვალს იგი 11 წლის მანძილზე გადაიხდიდა[128].

როგორც ჩანს, ეს თანხა მისთვის არ მიუცია და ამიტომაც იყო, რომ იგი 1882 წლის ივლისში კვლავ თხოულობს 2000 მანეთს მაინც, რათა კერძო პირთა ვალები გაისტუმროს. აგაპოვი თავის თხოვნაში დაბეჯითებით აცხადებს, რომ სესხი ხელს შეუწყობს წარმოების გაუმჯობესებას, გააიაფებს, წყალსადენი მილების დამზადებას; წინალმდეგ შემთხვევაში აღნიშნავს იგი ...„Несмотря на все мои усилия, завод может притти к более печальным результатам, или закроется не выдержав давления ростовщиков, или же перейдет в руки кулаков промышленников, которые из полезного и необходимого для края предприятия сделают завод местом самой варварской эксплоатации—могущей раз навсегда уронить чугунно-литейное дело на Кавказе“ და შემდეგ განაგრძობს: „... все зависящее от меня сделано, чтобы поставить завод наряду с лучшими заграничными заводами и потому, всякая поддержка для обеспечения дальнейшего развития такого учреждения со стороны правительства будет вполне уместна и целесообразна с экономической точки зрения, даст возможность значительно понизить стоимость чугунных изделий... и вместе с тем окажет благотворное влияние на развитие новой промышленности на Кавказе“[129].

აგაპოვის მუქარა სავსებით გასაგებია. იგი ცდილობს როგორმე დააინტერესოს მთავრობა და მიიღოს მისგან სესხი. მაგრამ თავისთავად საინტერესოა ვინ უნდა იყვნენ ის კერძო მევალენი და ე. წ. „кулаки промышленники“, რომლებიც მის წარმოებას ხელში ჩაგდებით ემუქრებიან? აგაპოვის კრედიტორები ის მევახშენი უნდა იყვნენ, რომლებიც 80-იანი წლებიდან თბილისში მრავლად ჩნდებიან და დიდ ოპერაციებსაც აწარმოებენ. ეს კრედიტორები ხშირად ძალიან

---

[128] სცსა, ფ. 241, ანაწ. 3, საქ. 299, ფურც. 6—7.

[129] იქვე.

დიდ გავლენას ახდენენ საწარმოებზე და მისი მეპატრონენიც კი ხდებიან. ამის მაგალითია თბილისში მირზოევის ბამბეულის ძაფსართავი ფაბრიკა, რომელიც 90-იან წლებში მისი კრედიტორის ჩითახოვის საკუთრება გახდა. სწორედ ამ პირებს გულისხმობდა აგაპოვი ზემოთ ხსენებულ მეეახშეებში.

.. ეს საწარმო 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან უკვე რენკვისტის საკუთრებაა (ალბათ მას მიჰყიდა იგი აგაპოვმა). ქარხანაში 80-იანი წლებისათვის იდგა: 8 ცხენისძალის სიმძლავრის ლოკომობილი, 1 ბრძმედი, 3 სახარატო დაზგა, 2 ვენტილატორი, 1 ხრახნმჭრელი, 1 სარანდავი და სხვ. მექანიკური დაზგები[130]. ქარხანაში მუშაობდა 45 მუშა. მუშათა რაოდენობა მაქსიმუმს აღწევდა აპრილიდან ოქტომბრამდე, ხოლო დანარჩენ თვეებში მათი რაოდენობა 25—30 კაცს შეადგენდა. სამუშაო დღის ხანგრძლიობა 10,5 საათს აღწევდა[131].

თავდაპირველად ქარხანა ამუშავებდა უცხოეთიდან შემოტანილ თუჯს, ხოლო შემდგომში—რუსეთიდან შემოტანილს. ქარხანა აღებულ პერიოდში საშუალოდ ამუშავებდა 8000 ფუთამდე თუჯს, 2000 ფუთამდე რკინას. წარმოება სწრაფად ფართოვდებოდა და სულ უფრო და უფრო ზრდიდა პროდუქციის ოდენობას. თუ 1885 წელს დამზადებულ იქნა სულ 36.000 მანეთის ღირებულების პროდუქცია (აქედან—წყალსადენი არმატურის თუჯის მოწყობილობა 6000 ცალი; წვრილი ნაწარმი—4000 ცალი; სულ 11.000 ერთეული)[132]. 1886 წელს იგი 64.000 მანეთამდე გაიზარდა. ასევე იმატა მუშათა რიცხვმაც. მოზრდილები უკვე 80 მამაკაცს შეადგენენ, მცირეწლოვანები კი 38[133]. 90-იან წლებში კი გულიშამბაროვის ცნობით ქარხანაში 120-მდე კაცი მუშაობდა[134].

---

130 პ. გ ო გ ო ბ ე ლ ი, საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის ისტორიისათვის საქართველოში, თსუ შრომები, ტ. XVI, 1940, გვ. 126.

131 სცსა, ფ. 204, საქ. 592, ფურც. 153.

132 იქვე.

133 იქვე, საქ. 654, ფურც. 53.

134 Ст. Г у л и ш а м б а р о в, Обзор фабрик и заводов Тифлисской губернии, Тифлис, 1887, გვ. 183.

- რენკვისტის ქარხნის პროდუქცია კავკასიაში საღდებოდა. ძირითად სამუშაოს კი იგი ამიერკავკასიის რკინიგზის ხაზისათვის აწარმოებდა. ჰქონდა კერძო შეკვეთებიც, რომელთა შესრულებას ძლივს ასწრებდა. ამიტომ იყო, რომ მეორე მექანიკური ქარხნის პატრონმა რუქსმა თავის ქარხანაში დადგა მცირე ზომის ბრძმედი და იწყო თუჯის დნობა.

რენკვისტის ქარხნის წარმოების დონე სისტემატურად იზრდებოდა და 90-იან წლებში უკვე მის მიერ გამოშვებული პროდუქციის ღირებულება 70.000-იდან 150.000 მანეთამდე[135] ავიდა.

✓ მიხეილ თამამშევის თუჯსასხმელ და საზეინკლო-მექანიკურ ქარხანაში 80-იანი წლებისათვის მოქმედებდა ერთი ორთქლის ქვაბი და ერთი ორთქლის მანქანა 35 ცხენისძალის სიმძლავრისა; ქარხანაში აგრეთვე იყო ერთი წყლის ძრავა 25 ცხენისძალისა. იდგა 3 სახარატო დაზგა, 8 საბერველი და ერთი მდნობელი ღუმელი. მუშათა საშუალო რაოდენობა იყო მოზრდილი 20 და 4 მცირეწლოვანი მამაკაცი. დღიური ხელფასი შეადგენდა 1 მანეთიდან 1 მან. და 50 კაპიკამდე; მეგირდებს კი ეძლეოდათ 30—35 კაპიკი დღეში. თვიური ხელფასის ოდენობა მოზრდილი მუშისათვის 15-დან 40 მანეთამდე ადიოდა. სამუშაო დღის ხანგრძლიობა განისაზღვრებოდა 8—10 საათით[136]. ქარხანაში მზადდებოდა ლითონის სხვადასხვაგვარი სამჭედლო, საზეინკლო და ხეზე ნაწარმი, რომლის შეკვეთებსაც იღებდნენ ამიერკავკასიის რკინიგზის და კერძო პირებისაგან. მაგ. 1885 წ. ქარხანამ დაამზადა 5000 მან. ღირებულების პროდუქცია, ხოლო 1886 წ. უკვე 17.000 მან. ღირებულებისა[137].

---

[135] პ. გ უ ბ ე ს ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 126.

[136] სცსა, ფ. 204, საქ. 592; ფურც. 136. საქ. 654, ფურც. 52.

[137] იქვე; ამ საწარმოს განხილვისას გ. ბაქრაძე მიუთითებს, რომ იგი თავდაპირველად დააარსა მექანიკოსმა შტიუსემ, მერე გადავიდა შმიდტის ხელში და 1873 წელს შეიძინა თამამშევმა. იგი იქვე დასძენს, რომ ამ საწარმოში არ მოქმედებდა ორთქლის ძრავა, არ იყო სათანადო რაოდენობით მუშახელი და ამიტომ დარჩა ხელოსნურ-მანუფაქტურული

— მსხვილი მექანიკური და თუჯსასხმელი ქარხნების გვერდით თბილისში არსებობდა უფრო ვიწრო მასშტაბის საწარმოებიც. მექანიკური სახელოსნო ჰქონდა თბილისში 80-იან წლებში ლუიზა ფრანკენს. საწარმოში სულ იდგა 3 სახარატო დაზგა; მუშაობდა 8 კაცი. 1885—1886 წელს იგი ამზადებდა 300 ცალ ბოქლომს—900 მან. ღირებულებისას; სპილენძის სხვადასხვა ნივთებს—120 მანეთისას; კარისა და ფანჯრის ჩამოსაკიდებელ მარყუჟებს 1500 ცალს—600 მან. ღირებულებისას და სხვ.[138]. 1887 წელს საწარმოს მიერ გამოშვებული პროდუქციის ღირებულება 4000 მანეთამდე გაიზარდა[139]; მაგრამ ეს მონაცემებიც მეტყველებს თუ რაოდენ მცირე ზომის საწარმო იყო იგი.

— საზეინკლო მექანიკური საწარმო ჰქონდა თბილისში 80-იან წლებში მეორე გილდიის ვაჭარს ემანუილ შვარცს. ამ საწარმოში ორთქლის ძრავას არ იყენებდნენ. იდგა 3 სახარატო დაზგა, 1 სარანდავი მანქანა, 1 მბურღავი, 2 წნეხი და ერთი სამჭედლო საბერველი. მუშაობდა სულ 11 კაცი, 8 მცირეწლოვანი და 3 მოზარდი, ყველა ნებითდაქირავებული, რომელთა ხელფასი ერთად შეადგენდა თვეში 8 მანეთს[140]. მისი პროდუქცია ადგილზე მოიხმარებოდა.

თავად თუმანოვისა და მიხ. თამამშევის მემკვიდრეების მექანიკური საწარმო შედგებოდა ფქვილსაფქვავი წისქვილის,

---

ტიპის საწარმოდო. (იხილეთ—Г. Бакрадзе — „Возникновение капиталистической промышленности в Грузии XIX веке". გვ. 185. ავტორი ეყრდნობა საარქივო დოკუმენტს). ამ მტკიცებაში ავტორს ვერ დაეთანხმებით. შტიუსეს საწარმო, რომელიც ჯერ კიდევ 60-იან წლებში გაჩნდა თბილისში, მართლაც და, სახელოსნოს სახით არსებობდა და წარმოებაც ვიწრო მასშტაბის ჰქონდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც იგი თამამშევის ხელში გადავიდა, მდგომარეობა შეიცვალა. საწარმოში დადგეს ორთქლის ძრავა, იმატა მუშათა რიცხვმა და იგი უკვე ქარხნად იქცა. ასე რომ, თამამშევის საწარმო 80-იან წლებში უკვე ქარხნების რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ.

[138] სცსა, ფ. 204, საქ. 592, ფურც. 152, საქ. 654, ფურც. 50.

[139] Ст. Гулишамбаров, Обзор фабрик и заводов Тифлисской губернии, Тифлис, 1887, გვ. 184—185.

[140] სცსა, ფ. 204, საქ. 592, ფურც. 151, საქ. 654, ფურც. 48.

სახერხი, საზეინკლო, სამჭედლო, ჩამომსხმელი და სადნობი ნაწილებისაგან. 80-იანი წლებისათვის სახერხი უმოქმედოდ იყო, ხოლო დანარჩენი ნაწილები იჯარით ჰქონდა გადაცემული სამოქალაქო ინჟინერს შნარს 1000 მანეთად წელიწადში[141]. წისქვილი ფქვავდა ხორბალს და ქერს. წისქვილში 8 კაცი მუშაობდა. იგი მოძრაობაში მოჰყავდა წყლის ენერგიას. წისქვილი თავდაპირველად აუშენებია მექანიკოს შტიუსეს, მისგან გადავიდა „კოლეჯსკი ასესორის" კარლოს ეგორის ძე შმიდტის ხელში, ხოლო 1873 წ. იგი იყიდა მისმა გვიანდელმა მფლობელმა თუმანოვმა. თუმანოვის მექანიკურ სახელოსნოში, რომელიც იჯარით ჰქონდა აღებული შნარს, იდგა შემდეგი მოწყობილობა: 2 სახარატო დაზგა, 1 სარანდავი მანქანა, 1 მბურღავი მანქანა. ამ სახელოსნოში 9 კაცი მუშაობდა[142]. 1887 წლისათვის საწარმოს მიერ დამზადებული პროდუქციის ღირებულება დაახლოებით 10.000 მან. შეადგენდა[143].

მექანიკური და საზეინკლო საწარმო ჰქონდა თბილისში 80-იან წლებში ფრიდრიხ როლოვს. აქ წლიურად მუშავდებოდა სულ 420 ფუთი რკინა. მოქმედებდა ორი სახარატო დაზგა და ორი მბურღავი მანქანა. სამუშაოს 14 კაცი ასრულებდა, 11 მოზრდილი და 3 მცირეწლოვანი[144].

გარდა ზემოთ განხილული საწარმოებისა, თბილისში 80-იან წლებში არსებობდა კიდევ მთელი რიგი მექანიკური საწარმოები. მათ შორის ძმები პერონების (12 კაცით და 12.000 მან. ღირებულების პროდუქციით); კოტრინის (5 კაცი, 500 მან. ღირებულების პროდუქცია); იასნიცკის (10 კაცი, 10.000 მან. ღირებულების პროდუქცია); კალანტაროვის (9 კაცი, 10.000 მან. ღირებულების პროდუქცია)[145] და სხვ.

---

[141] სცსა, ფ. 17, საქ. 486, ფურც. 87—88.

[142] იქვე.

[143] Ст. Гулишамбаров, Обзор фабрик и заводов Тифлисской губернии, Тифлис, 1887, გვ. 184—185.

[144] სცსა, ფ. 17, საქ. 486, ფურც. 111.

[145] გულიშამბაროვის დასახ. ნაშრომი, გვ. 184—185.

80-იანი წლებიდან მექანიკური წარმოების ძირითად კერას ამიერკავკასიაში ბაქო წარმოადგენდა, სადაც ამ დროისათვის სპეციალიზებური ქარხნები არსებობდა. სწორედ ბაქო იყო ის ძირითადი ბაზა, საიდანაც მასიურად შემოჰქონდათ თბილისში ორთქლის ქვაბები, რომლებსაც შემდეგ ადგილზე აწყობდნენ პოპოვიჩის ქარხანაში.

როგორი იყო თბილისში არსებული მექანიკური და თუჯსასხმელი მრეწველობა? ზემოთ მოტანილი მასალების საფუძველზე გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ 80-იანი წლებისათვის თბილისში უკვე არსებობდა მსხვილი მექანიკური და თუჯსასხმელი ქარხნები, სადაც მექანიკური და ორთქლის ძრავა არის შრომის პროცესის ტექნიკური ბაზა. ასეთი საწარმოები (რუქსის, აგაპოვის—შემდგომ რენკვისტის) წამყვან როლს ასრულებდა. არსებობს კაპიტალისტური მანუფაქტურებიც, რომელთა წარმოების დონე შედარებით დაბალია. საერთოდ კი უნდა აღინიშნოს, რომ მთელი მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ამ დარგის მრეწველობა თბილისში შედარებით სუსტადაა განვითარებული. აქ ჩვენ ვერ ვხვდებით მაგ. ორთქლის ქვაბების თუ სხვა მანქანების წარმოებას. ეს გარემოება გაპირობებული იყო საქართველოს ეკონომიური განვითარების სპეციფიურობით, მისი კოლონიური მდგომარეობით. ცარიზმის ანგარიშში არ შედიოდა მის განაპირა კოლონიაში შექმნილიყო მანქანების მწარმოებელი მრეწველობა. იგი ყოველმხრივ აფერხებდა ამ უკანასკნელს. სწორედ ამით აიხსნება მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის თბილისის მრეწველობის მეტ-ნაკლები ჩამორჩენილობა; მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა, ქალაქი მაინც მტკიცედ ადგა კაპიტალისტური განვითარების გზას.

აბურის წარმოება

70—80-იან წლებში თბილისში განსაკუთრებით ფართო გაქანება ჰპოვა აგურის წარმოებამ, რაც ქალაქის სწრაფი ზრდით და მასთან დაკავშირებული სამშენებლო საქმიანობის შემდგომი გაშლა-გაფართოებით იყო გაპირობებული.

სამი სხვადასხვა წლის მონაცემების შედარება ასეთ სურათს იძლევა: 1880 წელს თბილისში ოფიციალური მონაცემებით იყო 95 ე. წ. აგურის „ქარხანა", სადაც მუშაობდა 300-მდე კაცი და მზადდებოდა 63.000 მან. ღირებულების პროდუქცია. 1885 წელს მოქმედებდა 52 „ქარხანა"—98.600 მან. ღირებულების პროდუქციით. ხოლო 1890 წ. 38 აგურის „ქარხანაში" 188.000 მანეთის პროდუქცია მზადდებოდა. როგორც ჩანს, 10-ოდე წლის მანძილზე აგურის მწარმოებელი „ქარხნების" რიცხვი თითქმის სამჯერ შემცირდა, ხოლო მათ ნიერ დამზადებული პროდუქციის ოდენობა სამჯერ გაიზარდა. აქ, ერთის მხრივ, ადგილი ჰქონდა წვრილი აგურის საწარმოების გამსხვილებას, მათ გაერთიანებას, ხოლო მეორეს მხრივ, წარმოების მასშტაბის გაფართოებას. მიუხედავად ამისა, 80-იან წლებში თბილისში არსებული აგურის საწარმოები ჯერ კიდევ ხშირად ძალიან პატარები იყო (ისინი უმეტესად მხოლოდ ერთი მშენებლობისათვის ჩნდება და არტელურ საწყისებზე ეწყობა), მაგრამ მათ გვერდით არსებობდა მსხვილი სარეწაებიც, რომლებიც აგურს მექანიზებული წესით ამზადებდა და დიდძალ პროდუქციასაც აწვდიდა მომხმარებლებს.

ჰუსეინ ალი—ჰუსეინ-ოღლის აგურის საწარმოში 80-იან წლებში მზადდებოდა ადგილობრივი ფორმის ავური 180.000 ცალი 1.440 მან. ღირებულების. აგურს 3 მუშა ხელით ამზადებდა. მუშაობა მიმდინარეობდა მაისიდან ნოემბრამდე. 1000 ცალი აგურის დამზადებაში მუშა იღებდა 3 მანეთს. აქ დამზადებული აგური თბილისშივე იყიდებოდა[146]. ანალოგიური წვრილი საწარმოები ჰქონდათ სეილ ფატა-ოღლის (135.000 ცალი აგური, 1.080 მან. ღირებულებისა წლიურად); მაშადი ალი—ალიასკარ ოღლის (180.000 ცალი 1.440 მან. ღირებულებისა); აჯი-ბაგირ ქიარიმ-ოღლის (150.000 ცალი); ალიყული ასკარბეგოვს (300.000 ცალი); არუთინ აბრამოვს (135.000 ცალი); სტეფანე მასლოვს (280.000 ცალი)[147] და

---

[146] სცსა, ფ. 204, საქ. 592, ფურც. 85.

[147] სცსა, ფ. 204, საქ. 592, ფურც. 86, 97, 96. საქ. 654, ფურც. 90, 106, 92, 89, 116.

სხვ. ეს წვრილი მწარმოებლები ძირითადში ყველანი სპარსელები იყვნენ, რომლებიც ამზადებდნენ აგურს ღია ცის ქვეშ, სადაც ხელსაყრელი პირობები—მიწა და წყალი ექნებოდათ.

80-იან წლებში თბილისში აგურის მსხვილი წარმოება ჰქონდა არტილერიის პოლკოვნიკს გიორგი სპირიდონის ძე ხიმშიაშვილს (ხიმშიეევს). ხიმშიაშვილის აგურის ქარხანაში იდგა ერთი 8 ცხენისძალის სიმძლავრის ორთქლის მანქანა[148]. წარმოება აქ მექანიზებული იყო. ქარხანას ჰქონდა ჰოფმანის სისტემის აგურის გამოსაწვავი ღუმელი, რომლითაც საწვავი მასალის დიდი ეკონომია ხდებოდა. ხიმშიაშვილი იყო პირველი აგურის მწარმოებელი, რომელმაც თბილისში სათბობ მასალად შეშის ნაცვლად მაზუთი გამოიყენა. ქარხანაში 22 მოზრდილი მამაკაცი მუშაობდა. მუშათა რაოდენობა მატულობდა მაისიდან ნოემბრამდე. 3 მუშა ქარხანაში ცხოვრობდა, დანარჩენები კი ცალკე ბინებში. სამუშაო დღე ხიმშიაშვილის საწარმოში 10 საათს გრძელდებოდა; დღიურად მუშა იღებდა 50 კაპიკს. ქარხანაში გარდა ორთქლის მანქანისა იდგა ორი თუჯის დაზგა—ერთი სამტვრევი, ხოლო მეორე უშუალოდ აგურის დამამზადებელი. ქარხანა ქვის შენობაში იყო მოთავსებული. წლის მანძილზე მოიხმარებოდა: 70 საჟენი შეშა (2.800 მან. ღირებულების), 2000 ფუთამდე ნახშირი. ლოკომობილისთვის იხარჯებოდა წლიურად 5.616 ფუთი მაზუთი.

ქარხანა წლიურად 8.400 მან. ღირებულების 600.000 ცალ რუსული ფორმის აგურს ამზადებდა; პროდუქცია თბილისში იყიდებოდა. საწარმო 1882 წელს გაიხსნა[149]. მოტანილი მონაცემები 1885 წელს ეხება; ამ დროს წარმოება ახალი გამართული იყო და ჯერ კიდევ არ იყო სრულყოფილი; ცხადია, იგი შემდეგში უფრო გააფართოებდა თავის მასშტაბს.

ამ დროის თბილისში არსებობდა რიგი წვრილი აგურის საწარმოები. ყველა ისინი ამზადებდნენ პროდუქციას 100-დან 300 ათას ცალამდე; ჰყავდათ ორი-სამი მუშა, აგურის

---

[148] სცსა, ფ. 204, საქ. 592, ფურც. 107, საქ. 654, ფურც. 71.

[149] იქვე.

დამზადება ხდებოდა პრიმიტიულად—ხელით, ყოველგვარი სპეციალური მოწყობილობის გარეშე. აგურის საწარმო ღია ცის ქვეშ იყო (მხოლოდ ქურა იყო გადახურული)[150]. ქალაქში მშენებლობის სწრაფ აღმავლობასთან ერთად, რაც დაკავშირებული იყო ახალი რაიონებისა და ევროპულად მოწყობილი სახლების გაჩენასთან, ჩნდება მსხვილი აგურის სარეწაევებიც. მათ მიერ დამზადებული პროდუქცია უფრო მაღალხარისხოვანია. ასეთ საწარმოებს, გარდა ხიმშიაშვილის ქარხნისა, 80-იან წლებში მიეკუთვნება ავერიანოვის აგურის ქარხანა, სადაც 20 მუშა წლიურად ამზადებდა 400.000 ცალ აგურს[151]. 90-იანი წლებიდან კი ასეთი საწარმოების რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა. მათ რიგში მოხსენებული არიან ბაბლუმოვის, ელჩიევის და სხვათა აგურის მსხვილი საწარმოები[152]. ეს უკანასკნელნი უკვე აგურის ქარხნებია.

უნდა აღინიშნოს, რომ 80-იანი წლებიდან მასიურად ჩნდება აგურის წარმოებაში ორთქლის ძრავა. ორთქლის ქვაბებს თავიანთ საწარმოებში დგამენ წვრილი მწარმოებლებიც კი.

მრეწველობის სხვა დარგები

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის თბილისში არსებული მრეწველობის სხვა დარგებიდან უნდა მოვიხსენიოთ ბამბის წარმოება. 80-იან წლებში ბამბის საწარმო თბილისში ჰქონდა მეორე გილდიის ვაჭარს არტემ ვარძეგულოვს. აქ წლიურად მზადდებოდა სასაბნე ბამბა 1200 ფუთი.. მუშაობდა სულ 2 მოზრდილი და 1 მცირეწლოვანი, რომელთა დღიური ხელფასი 50 კაპიკამდე აღწევდა. საწარმოში იდგა ორი ხელის მანქანა. პროდუქცია თბილისში იყიდებოდა[153].

---

[150] სცსა. ფ. 204, საქ. 592, ფურც. 109, 110, 112, 126, 125, 131, 117, 88, 87, 98 129, 127, 130, 128.

[151] Ст. Гулишамбаров, Обзор фабрик и заводов Тифлисской губернии, Тифлис, 1887, გვ. 214.

[152] Ст. Гулишамбаров, Обзор фабрік и заводов Закавказского края, Тифлис, 1894, გვ 122.

[153] სცსა, ფ. 204. საქ. 654, ფურც. 13.

ასეთივე იყო მეორე გილდიის ვაჭრის გრიგოლ მიკირტუმოვის ბამბის საწარმო, სადაც 5-მდე კაცი მუშაობდა[154]. მეორე გილდიის ვაჭრის კუზმა პოპკოვის საწარმოში მზადდებოდა წლიურად 400 ფუთი ბამბა. წარმოება ერთი წყლის ძრავის მეშვეობით ხდებოდა[155]. ასეთივე ბამბის საწარმო ჰქონდა დავით კაზაროვს (წლიურად 360 ფუთ ბამბას ამზადებდა)[156]. ბამბის წარმოება თბილისში ნედლეულის ადგილზე უქონლობის გამო უპერსპექტივო იყო, შორიდან მისი შემოტანა კი მომგებიანი არ იქნებოდა. ამიტომაცაა, რომ ეს წარმოება არ გაზრდილა.

— —

1871 წლიდან თბილისში არსებობდა მეორე გილდიის ვაჭრის არტემ თეიმურაზოვის მაკარონის ფაბრიკა, რომელიც ამზადებდა წლიურად 400 ფუთ მაკარონს. საწარმოში იდგა 1 ცხენისძალიანი წყლის ძრავა. მუშაობდა 2 კაცი. ძრავას მოქმედებაში მოჰყავდა ერთი მაკარონის დამამზადებელი მანქანა და ერთი ქვის დაზგა ცომის დასაზელად. პროდუქცია თბილისში იყიდებოდა[157].

მაკარონის მეორე საწარმო აქ დაარსა იტალიელმა ფარიზიმ, რომელმაც ცოტა ხანს იარსება. მისი გაუქმების შემდეგ მთელი ინვენტარი შეიძინა ფარუმბეგოვმა, რომელმაც თბილისში გახსნა მაკარონის დიდი წარმოება. მან, ამ მიზნით, საფრანგეთის ქვეშევრმდომ ვაშესაგან შეიძინა წისქვილი და წყლის ძრავა შესცვალა ორთქლის ძრავით. ეს ფაბრიკა 1887 წელს გაიხსნა.

ფარუმბეგოვის ფაბრიკაში იდგა: ერთი მარცვლის გამწმენდი მანქანა, რომელიც საათში 50 ფუთ მარცვალს წმენდდა; ხუთი სავალცავი დაზგა თავისი ცილინდრებით; ორი ფრანგული დოლაბი; ერთი მანქანა უჩენჩო ქერის დასამზადებლად (для перловой крупы) თავისი ცილინდრებით, ას-

---

[154] სცსა, ფ. 204, საქ. 654, ფურც. 14. საქ. 592, ფურც. 70.
[155] იქვე, საქ. 592, ფურც. 101.
[156] იქვე, საქ. 654 ფურც. 15.
[157] სცსა, ფ. 204. საქ. 592. ფურც 103. საქ. 654, ფურც. 2.

პირატორით და მწმენდავით; დამხარისხებელი მანქანები; დამხარისხებელ განყოფილებაში მოთავსებული იყო ორი ცენტროფუგული საცერი; 2 დამხარისხებელი თავნაფქვი ბურღულისათვის. მაკარონის განყოფილებაში მოქმედებდა ცომის საზელი ორი დაზგა, მაკარონის ფორმის გამომყვანი 2 წნეხი, 14 ელევატორი ფქვილისა და ბურღულისათვის და ა. შ. ფაბრიკა წლიურად ამზადებდა 1000 ფუთ პროდუქციას[158].

— —

თბილისში არსებობდა გაზის განათების საწარმო თეატრისათვის, რომელიც მოთავსებული იყო ინჟინერთა უწყების შენობაში და ეკუთვნოდა თბილისის თეატრის ანტრეპრენიორს ივანე პიტოევს. წელიწადში გამომუშავდებოდა 2500 კუბ. არშინი გაზი. მოზრდილი მამაკაცი მუშების საშუალო რაოდენობა შეადგენდა 4 კაცს. იდგა ერთი წერტი ორი წყვილი რეტორტით გაზის დასამზადებლად; ორი გაზგამტარი, რომლებშიც მზა გაზი ინახებოდა. გაზი ხმარდებოდა მხოლოდ თეატრის განათებას. გაზის მისაღებად წლიურად 2000 ფუთ მაზუთს ხმარობდნენ. უშუალოდ წარმოებას განაგებდა ნიკოლოზ კურეგოვი, რომლის საკუთრებაშიც გადავიდა ეს საწარმო 1886 წლიდან[159].

— —

80-იანი წლებიდან თბილისში ჩნდება ორთქლის წისქვილები. ერთი ასეთი წისქვილი ჰქონდა შვეიცარიის მოქალაქეს ფრიდრიხ მეიერს. წელიწადში ადგილობრივი კავკასიური ხორბლისაგან იფქვებოდა სხვადასხვა ხარისხის 50.000 ფუთი ფქვილი 59.000 შან. ღირებულებისა. წისქვილში იდგა ერთი ორთქლის ქვაბი, აგრეთვე ორი წყლის ძრავა. მუშაობდა 16 მოზრდილი და 1 მცირეწლოვანი მუშა. სამუშაო დღის ხანგრძლივობა 14 საათს შეადგენდა. პროდუქცია

---

158 Ст. Гулишамбаров, Обзор фабрик и заводов Тифлисской губернии, Тифлис, 1887, გვ. 133—134.

159 სცსა, ფ. 204, საქ. 654, ფურც. 73.

თბილისის გუბერნიაში იყიდებოდა. წარმოებას თვითონ მეიერი ხელმძღვანელობდა, რომელმაც სპეციალური განათლება შეეიცარიაში მიიღო. საწარმო მოქმედებდა 1886 წლიდან[160].

ორთქლის წისქვილი თბილისში ჰქონდა პრუსიის ქვეშევრმდომს თეოდორე ფედოროვიჩს. ის უფრო ვიწრო მასშტაბის წარმოება იყო. აქ წლიურად მზადდებოდა 1.000 მანეთის ღირებულების პროდუქცია[161].

ორთქლის წისქვილების გაჩენის მომენტი თავისთავად ძალიან საინტერესოა. ვ. ი. ლენინი პირდაპირ უთითებს ამ უკანასკნელთა მნიშვნელობაზე სამრეწველო გადატრიალების ხანაში. „ორთქლის წისქვილები მსხვილი მანქანური ინდუსტრიის ეპოქის დამახასიათებელი თანამგზავრია“[162]—წერს იგი.

— —

70—80-იანი წლების თბილისის მრეწველობაში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა „კოლეჯსკი ასესორის“ გაბრიელ მირზოევის ბამბეულის ძაფსართავ და საქსოვ ფაბრიკას. ამ ფაბრიკის გახსნამდე მირზოევმა 1868 წელს მტკვრის სანაპიროზე მოაწყო მატყლის სარეცხი საწარმო, რომელიც ფართო მასშტაბისა იყო და როგორც წყაროები მიუთითებენ: „...Не преминет оказать громадную пользу не только внутреннему производству но и вывозной торговле всего Закавказского края“. მანამდე ადგილობრივი ვაჭრები მატყლს უცხოეთის ბაზრებზე გაუწმენდავად აგზავნიდნენ და ზარალს ნახულობდნენ. ასეთ პირობებში მირზოევის ინიციატივა განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. ამ საწარმოში გარდა ოსტატებისა და მუშებისა, აყვანილი იყო 300-მდე გოგო-ბიჭი; იდგა წყალსაქაჩი მანქანა (მტკვრიდან წყლის ამოსაქაჩად) „Которая простотою своею и удобством обращает на себя внимание всех посетителей“[163]. 1870 წელს კი მირზოევმა

---

160 სცსა, ფ. 204, საქ. 654, ფურც. 45.
161 იქვე, საქ. 592, ფურც. 68.
162 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, გვ. 567.
163 სცსა, 17, საქ. 8977-ბ, ფურც. 4—5.

გახსნა ბამბეულის ძაფსართავი და საქსოვი ფაბრიკა[164]. ფაბრიკა 1870 წელს ამოქმედდა[165]. საჭირო ინსტრუმენტები და მანქანები მან ინგლისიდან გამოიწერა; აქედანვე ჩამოიყვანა ოსტატები და ტექნიკური პერსონალი. 1870 წლის პირველსავე თვეებში ფაბრიკაში მუშაობდა უკვე 400-მდე მუშა, ხოლო 1871 წელს მათი რიცხვი 500-მდე გაიზარდა[166]. 1874 წელს მირზოევის ფაბრიკაში მომუშავეთა ნახევარს – 200 კაცამდე 12—17 წლის ასაკის გოგო-ბიჭები შეადგენდნენ. მუშათა ძირითადი მასა სომხები იყვნენ. აგრეთვე მუშაობდნენ ქართველები, სპარსელები, რამდენიმე რუსი და ორი ინგლისელი. თავდაპირველად მირზოევის ფაბრიკაში ათზე მეტი ინგლისელი ოსტატი მუშაობდა... ბოლო ხანებში კი, აღნიშნავს გაზ. „Кавказ“: „на фабрике господствует исключительно туземный элемент рабочих“[167].

ქართველი საზოგადოებრიობა კმაყოფილებით შეხვდა მირზოევის ფაბრიკის გახსნას. გაზ. „ივერია“ 1877 წლის მაისის ნომერში აღნიშნავდა: „აგერ ხუთი-ექვსი წელიწადია, რაც ქალაქში გაბრიელ მირზოევმა ქარხანა გამართა ხამის (ამერიკას რომ ვეძახით) საკეთებლად. მაშინები ინგლისიდან დაიბარა და თვით ოსტატებიცა; მუშა ხალხი კი თვით ქალაქისა უნდა ყოფილიყო. იმედი იყო, რომ ეს ქარხანა იხეირებდა... ქარხანა რომ გაიმართა, მაშინათვე კარგა ძალი ხალხი მიაწყდა. გამგებელი, ოსტატები და მაშინისტი ინგლისელები იყვნენ. წესი დაიდგა და მუშაობა რიგზე წავიდა. მამაკაც ფეიქრებს თოფზე დანიშნული ჰქონდათ ორი აბაზიდან სამამდე. ქსელი კარგი გამოდი-

---

[164] ზუსტად აღრევასა აქვს ხოლმე ადგილი და ამ უკანასკნელის გახსნის თარიღად 1868 წელს ასახელებენ; ამ წელს მან მატყლის სარეცხი საწარმო დაარსა, ხოლო ძაფსართავი ფაბრიკა 1870 წელს ამოქმედდა.

[165] სცსა, ფ. 204, საქ. 654, ფურც. 12.

[166] იქვე, ფ. 17, საქ. 8990ბ, ფურც. 47—47ა.

[167] გაზ. „Кавказ“, 1874, № 46, 49 (ამოღებულია—„საისტორიო მოამბე“, 1956, № 9).

ოდა, ასე რომ კარგა იყიდებოდა"[168]. საწარმოს გახსნისთანავე მისი პროდუქცია გაჩნდა ადგილობრივ ბაზარზე და კონკურენციას უწევდა შემოტანილ საქონელს. ბამბეულის საფეიქრო მრეწველობის გაჩენა თბილისში, რომელიც ერთადერთი იყო მთელ ამიერკავკასიაში, ძალზე პერსპექტიული ჩანდა; როგორც საარქივო მასალები მიუთითებენ: „...Фабрика эта особенно замечательна в том отношении, что она не только в губернии, но и во всем Закавказском крае, первая и единственная, при чем если производство пойдет успешно и изделия ее выдержат на первое время упомянутую выше конкуренцию, то современем, успех этот может приохотить к подобному, столь полезному и даже необходимому предприятию и других капиталистов, и, таким образом, наши Закавказские рынки, переполненные ныне бумажными тканями внесенного производства, получат возможность запасаться товаром из фабрик местных, по цене далеко ниже платимых ими за получаемую из заграницы бумажную ткань"[169]. ეს შიშიუსაფუძვლო გამოდგა; მირზოევმა შესანიშნავად გაართვა თავი საქმეს და აბიტომაცაა, რომ ფაბრიკის შესახებ არსებულ მონაცემებში მთელი 7—8 წლის მანძილზე, ყველგან წარმოების ზრდაზეა მითითებული.

წლები	პროდუქციის ოდენობა	მუშათა რიცხვი
1871	—	500 [170]
1872	400.000 მან.	500 [171]
1873	500.000 მან.	600 [172]

[168] გან. „ივერია", 1877, № 13 (ამოღებულია იქიდანვე, გვ. 65—66—67).

[169] სცსა, ფ. 5, საქ. 2174, ფურც. 26—27.

[170] იქვე, ფ. 17, საქ. 8990 ბ, ფურც. 47—47-ა, ფ. 5, საქ. 2174, ფურც. 26.

[171] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 18 д. 182, фурц. 313—314.

[172] სცსა, ფ. 5, საქ. 3474, ფურც. 81—82.

წლები	პროდუქციის ოდენობა	მუშათა რიცხვი
1875	1.000.000 მან.	500[173]
1876	508.000 მან.	680[174]
1877	„	„[175]

ჯერ კიდევ 1871 წელს თბილისის გუბერნატორი მირზოევის ფაბრიკის შესახებ შემდეგს აღნიშნავდა: „Эти промышленные заведения[176] замечательны по совершенству устройства"[177].

ფაბრიკაში იდგა სამი 120 ცხენისძალიანი ორთქლის მანქანა და 4 ორთქლის ქვაბი[178]; მოქმედებდა სართავი და საქსოვი განყოფილება. მზადდებოდა ძირითადში მიტკალი, რიფსი, ფანელი და ტილო.

ჩამოყვანილი ინგლისელი მუშები მირზოევმა მალე დაითხოვა. აი რას წერს ამის შესახებ გაზეთ „ივერიის" მიმომხილველი „... ჩვენს ვაჭრებსა და ფულის პატრონებს ერთი ცუდი ჭირი სჭირთ: ხელქვეითის ნათქვამი ღვთის წყალობა ღვთის რისხვად მიაჩნიათ და როცა კაი კაცს იშოვნიან საქმეს გულახდილად არ მიანდობენ და მეტიჩარობით ხელს უშლიან. უცოდინარი კაცი მაშინის მომართვაში რას გაარიგებს. ამ ქარხნის პატრონი ყველაფერში ერეოდა ისე, რომ ქარხნის გამგებელი და სხვა ოსტატები მობეზრდნენ თურმე ამის დავიდარაბისა და მეტიჩრობისაგან. მაგრამ, დიდხანს ითმინეს, რადგან ხელმოწერილით შეკრულნი იყვნენ და გასელასთანავე უარაოდ უნდა დარჩენილიყვნენ ყარიბად უცხო ქვეყანაში. რადგან თვითონ არ გადიოდნენ, ქარხნის პატრონმა ჰკრა პანღური და თითო-თითოდ გაისტუმრა"[179]. ინგლისე-

---

[173] სცსა, ფ. 17, საქ 8995ბ, ფურც. 78—79.

[174] იქვე, ფ. 5. საქ. 4815, ფურც. 37—38.

[175] იქვე. ფ. 17, საქ. 9000ბ, ფურც. 64—65.

[176] მირზოევის ფაბრიკასთან ერთად ლაპარაკია გენერალ ფელდმარშალ ბარიატინსკის მეუღლის სპირტის ქარხანაზე თბილისის მახრაში.

[177] ЦГИАЛ, ф. 1268 сп. 16, д. 121, лл. 9.

[178] სცსა, ფ. 204, საქ. 592, ფურც. 72. საქ. 654, ფურც. 12.

[179] გაზ. „ივერია", 1877, № 13 (ამოღებულია—„საისტორიო მოამბე", 1956, № 9).

ლი მუშების წასვლა სწრაფად დაეტყო ფაბრიკას. ისინი არაკვალიფიციურმა მუშახელმა შესცვალა, რასაც შედეგად მოჰყვა მანქანების გაფუჭება და უბედური შემთხვევები. იგივე „ივერია“ შემდგომ განაგრძობს: „... ამის შემდეგ გამგებელი და ოსტატი ქარხანას აღარ ჰყოლია, რაც ისწავლეს ქალაქის უსწავლელმა მუშა-კაცებმა, იმითი იოლად მიდიოდა და აბა რა მუშაობა უნდა ყოფილიყო. მაშინას ვთქვათ ორმოცი ცხენის ძალა ჰქონდა — ქარხნის პატრონს სურდა 50 ცხენის ძალის საქმე გაეკეთებინა. ამის გამო ჩარხებს კბილები სცვივოდა, ღერძები ემტვრეოდა და მუშაობა თითო კვირაობითა და თვეობით ჩერდებოდა, ვიდრე აქაური მჭედლები რასმე მიაკერ-მოაკერებდნენ, ან ინგლისიდან ჩარხი თუ ღერძი მოვიდოდა“[180]. ყველაფერმა ამან მირზოევის ფაბრიკის საქმიანობა ჩაშალა და დაცემის გზით წაიყვანა. საქმე იქამდე მივიდა, რომ მირზოევი იძულებული მეიქნა 1880 წელს წარმოება იჯარით გადაეცა 6 წლის ვადით ფრანგი რიშარისათვის, რომელმაც საფრანგეთიდან ჩამოიტანა ახალი მანქანა-იარაღები, მოიყვანა გამოცდილი მუშები და ფაბრიკა წარმატებითაც აამუშავა. „Фабрика эта снабженная улучшенными машинами и вообще поставленная в лучшие условия, чем прежде, быстро развила свою деятельность; в особенности в виду громадного спроса бумажной ткани (бязи), при отсутствии в крае как домашнего, так и фабричного холста и в полтора года довела свою производительность до 3 миллионов руб. сер.[181]“ — აღნიშნულია საარქივო დოკუმენტში. რიშარმა უზრუნველჰყო თავისი ფაბრიკისათვის მომხმარებელიც; კავკასიის არმიისათვის საჭირო ტილო ადრე შიდა რუსეთის საფეიქრო ფაბრიკებიდან შემოჰქონდათ; ახალი ხელშეკრულებით საჭირო პროდუქციას მას რიშარი მიაწვდიდა[182].

---

[180] გაზ. „ივერია“, 1877, № 13 (ამოღებულია — „საისტორიო მოაზბე“, 1956, № 9).

[181] სცსა, ფ. 17, საქ. 670, ფურც. 6.

[182] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის განვითარება ამიერკავკასიაში, თსუ შრომები, 1940, ტ. XVI, გვ 140—141.

ასეთ პირობებში 1880 წელს ფაბრიკამ დაამზადა სხვადასხვა ხარისხის მიტკალი 2500 ფუთი; სულ 590.000 მანღირებულების პროდუქცია. ფაბრიკაში ამ დროისათვის მუშაობდა:

ოსტატი და ქვეოსტატი—250 კაცი

შეგირდი	—162 კაცი
შავი მუშა	— 30 კაცი
	სულ: 442 კაცი;

აქედან 26 ფრანგი[183]. ნედლეული ჩამოჰქონდათ ერევნის გუბერნიიდან, სადაც ჯერ კიდევ ფაბრიკის დაარსების დროისათვის მირზოევმა მოსახლეობას დაურიგა დიდი რაოდენობით ამერიკული გრძელბოჭკოიანი ბამბის თესლი და ამით ხელი შეუწყო ბამბის კულტურის განვითარებას[184]. ფაბრიკის პროდუქცია იყიდებოდა თბილისში, ერევანში, ელიზავეტოპოლში, ქუთაისში, ხოლო ნაწილი სპარსეთშიც გადიოდა.

1885 წლისათვის ფაბრიკაში მუშათა რიცხვი 570-მდე გაიზარდა (მოზრდილი მამაკაცი—450, ქალი—30, მცირეწლოვანი კაცი—50, ქალი—20), ხოლო პროდუქციის რაოდენობა 30.000 ფუთამდე ავიდა[185]. ყველა მუშის საერთო ხელფასი თვიურად შეადგენდა 6.000 მანეთს; სამუშაო დღის ხანგრძლიობა—10,5 საათს.

ამასობაში რიშარს იჯარის ვადა გაუვიდა. მირზოევმა ვადის გაგრძელება არ ისურვა და კვლავ აიღო წარმოება ხელში, მაგრამ საქმე ვერც ამჯერად წაუვიდა კარგად. მან ლოძიდან ჩამოიყვანა გერმანელ ფეიქართა 30 ოჯახი (94 კაცი), რომლებიც მალე უკმაყოფილონი აღმოჩნდნენ ხელფასით[186] და უკან დაბრუნდნენ. ამის შემდეგ მირზოევს წარმოების ფეხზე წამოყენება აღარ შეეძლო და იძულებული გახდა ფაბრიკა მიეყიდა მისი კრედიტორის, თბილისის საბანკო კან-

---

[183] სცსა, ფ. 17, საქ. 486, ფურც. 73, 77.

[184] იქვე, ფ. 17, საქ. 8990 ბ, ფურც. 19.

[185] სცსა, ფ. 204, საქ. 592, ფურც. 72, საქ. 654, ფურც. 12.

[186] დღიურად იღებდნენ 10—12 კაპიკს.

ტორის მეპატრონის ჩითახოვისათვის, სულ რაღაც 210.000 მანეთად.

თავისთავად საინტერესოა ეს უკანასკნელი მომენტიც. 60-იანი წლების ბოლოს და განსაკუთრებით 90-იან წლებში იმდენად მძლავრდება სავახშო კაპიტალი, რომ იგი უკვე მხოლოდ შემნახველ-გამსესხებელი ფუნქციებით აღარ კმაყოფილდება და იპყრობს მრეწველობას. ასე თანდათან მევახშე კაპიტალისტი იქცევა მრეწველ კაპიტალისტად.

ქართველი საზოგადოებრიობა ძალიან შეაწუხა ნირზოევის ფაბრიკის საქმიანობის ჩაშლამ, იგი სინანულს გამოთქვამდა ასეთი კარგი წამოწყების შეფერხების გამო. სწორედ ამ საზოგადოების განწყობილებას გამოხატავდა გაზ. „ივერია" როდესაც წერდა: „ამისთანა უთავბოლო, უდირექტოროდ, უმეხანიკოდ, მუშის ფასის დაკლებით, რასაკვირველია ქარხანა დაეცემა (ლაპარაკია კვალიფიციური ოსტატების და მუშების დათხოვნაზე, ხელფასის შემცირებაზე—ნ. რ.). ბერე ვიძახით: ჩვენში ვერაფერი ვერა ხეირობსო. ჩვენში ერთი ახირებული სურვილი აქვს ზეტადრე ფულიან ხალხსა, რა საქმესაც ხელს მოჰკიდებენ ერთბაშად და უეცრად გამდიდრება სურთ. ამ ქარხნის უხეიროდ ყოფნაც ამ ახირებული სურვილის ბრალი უნდა იყოს. პირველ გამართვას და რიგში ჩაგდებას, რასაკვირველია, დიდძალი ფული მოუნდებოდა. ვიდრე კარგა ფეხს არ გაიმაგრებდა ეს ქარხანა იმ დრომდე დიდი ბოგების იმედი კაცს არ უნდა ჰქონოდა. სარგებელი და კარგი ბოგება მერე შეუდგებოდა. ქარხნის პატრონს უეჭველად სხვა რიგათა ჰგონებია: თავნი და სარგებელი რაც შეიძლება მალე უნდა ადგესო. თუ ესე არ იყოს მაშ რას უნდა ნივაწეროთ ქარხნის ხელის-მცოდნეთა განდევნა, მუშების ხელფასის დაკლება, რომლის გამო ჩვენი ერთადერთი ქარხანა დღეს იღუპება"[187].

— —

80-იან წლებში თბილისში პროვიზორ არტემ ცურინოვს ჰქონდა ქიმიური ლაბორატორია. ლაბორატორიაში მოქმე-

[187] გაზ. „ივერია", 1877, № 13 (ამოღებულია—„საისტორიო მოამბე", 1956, № 9).

დებდა ერთი, 1 ცხენისძალის სიმძლავრის ორთქლის ქვაბი. მუშაობდა 3 კაცი. გადასამუშავებლად მოიხმარებოდა ადგილობრივი წარმოების 35 ვედრო სპირტი, დანარჩენი მასალა ჩამოჰქონდათ საზღვარგარეთიდან (გერმანიიდან, საფრანგეთიდან). ლაბორატორია ამზადებდა ოდეკოლონს, ნელსაცხებელს, სადეზინფექციო სითხეებს და ფხვნილებს, სურნელოვან ზეთებს, კბილის ფხვნილს, პუდრს და სხვ. აქაური პროდუქცია ხშირად იგზავნებოდა რუსეთის ქალაქებში, დიდი ნაწილი კი იყიდებოდა თბილისსა და მის მეზობელ გუბერნიებში; წარმოებას უშუალოდ ხელმძღვანელობდა პროვიზორი ნიკოლოზ ბიალუსკი, რომელმაც კურსი ყაზანის საიმპერატორო უნივერსიტეტში დაამთავრა. ლაბორატორია 1883 წელს დაარსდა[188].

— —

პურსაცხობი საწარმო თბილისში გაიხსნა 1883 წელს. იგი დღე-ღამეში აცხობდა 400 ფუთ 9 გირვანქიან პურს, რისთვისაც საჭირო იყო 15—20 ფუთი ნავთობის ნარჩენი და 5 მუშა. პურის უხარისხობის გამო მას წარმატება არ ჰქონდა[189].

1882 წელს სტოცკიმ და მელქუმოვმა დადგეს დიდი პურსაცხობი ღუმელი. სამხედრო ადმინისტრაციასა და პურსაცხობის მეპატრონეთა შორის შეთანხმება არ მოხდა და, ამიტომ, მათ სცადეს საწარმო იჯარით გაეცათ. მაგრამ ცდამ შედეგი არ გამოიღო და 1888 წელს ეს ერთადერთი პურსაცხობი საწარმოც თბილისში დაიხურა[190].

ეს საწარმოები მცირე ზომისა იყო, არ ჰქონდა საჭირო კაპიტალი და წარმოებას ვერ ინარჩუნებდა.

---

188 სცსა, ფ. 204, საქ. 592, ფურც. 102, საქ. 654, ფურც. 1.

189 Ст. Гулишамбаров, Обзор фабрик и заводов Тифлисской губернии, 1887, გვ. 120.

190 Ст. Гулишамбаров, Обзор фабрик и заводов Закавказского края, Тиф., 1894, გვ. 376.

აბრეშუმის წარმოება თბილისში ძალიან არ განვითარებულა; წვრილი საწარმოები კი არსებობდა. მაგ., მეორე გილდიის ვაჭარს ლევან ჭავჭავაძეს სიონის ქუჩაზე ჰქონდა, აბრეშუმის ძაფსახვევი საწარმო, რომელიც 1860 წელს ამუშავდა. 1880 წლისათვის საწარმოში მზადდებოდა 12 ფუთი ხამი აბრეშუმი, ფუთი 120 მანეთად. წარმოების პროცესში მონაწილეობდა 13 ძაფის ამოსაღები და 1 ძაფსახვევი დაზგა. ნედლეულს თბილისის გუბერნიაში იძენდნენ, მზა პროდუქციაც ადგილზე იყიდებოდა. სულ საწარმოში მუშაობდა 5 ოსტატი და 8 მუშა[191].

ეგორ კონდახსაზოვის აბრეშუმსახვევ საწარმოში მზადდებოდა 1.470 მან. ღირებულების პროდუქცია; მუშაობდა 6 მუშა, რომელთა თვიური ხელფასი 4—16 მანეთს შეადგენდა[192]. ანალოგიური საწარმოები ჰქონდათ თბილისში მეორე გილდიის ვაჭარს ეგორ ძამოევს, გიორგი ჩიტაძეს, არტემ გორდიშევს[193], სარქის ყარიბოვს, მიხეილ ვართანოვს[194]. მე-19 საუკუნის 50-იან წლებში დასავლეთ ევროპაში აბრეშუმის ჭიის ავადმყოფობამ დაღი დააჩნია აბრეშუმის წარმოების შემდგომ განვითარებას. ამიერკავკასიაში მან თავი იჩინა 60-იან წლებში. თუმცა იმ დროიდან კვლავ იწყება აქ მეაბრეშუმეობის გამოცოცხლება. 1869 წელს თბილისელ მსხვილ ვაჭარ-მრეწველს ი. მირზოევს შეუძენია 45.000 მანეთად ქალაქში ადრევე არსებული ალექსეევის ფაბრიკა, რომელიც ამ უკანასკნელს თავის დროზე ნახევარი მილიონი მანეთი დაუჯდა. მირზოევმა ეს ფაბრიკა რამდენიმე თვე ამუშავა და ისიც არასრული დატვირთვით; შემდეგ იგი „ისვენებდა", სანამ 1874 წელს 5 წლის ვადით იჯარით არ გადაეცა მ. განჯუნცოვს. მის შემდეგ 1884 წელს იგი იჯარით აიღო

---

[191] სცსა, ფ. 17, საქ. 486, ფურც. 36.
[192] იქვე, ფურც. 52.
[193] იქვე, ფურც. 54, 56, 58.
[194] იქვე. ფურც. 48, 50.

ნეორე განჯუნცოვმა. მას იტალიიდან და საფრანგეთიდან გამოუწერია ოსტატები; ფაბრიკა წელიწადში 7—8 თვეს თუ ნუშაობდა და ისიც ნაწილობრივი დატვირთვით. მოიჯარადრე დარწმუნდა რომ წარმოების შემდგომი გაგრძელება უსარფო იყო და მასზე ხელი აიღო[195].

საერთოდ ამიერკავკასიაში აბრეშუმის მწარმოებელ ფაბრიკათა უმრავლესობა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში თავმოყრილი იყო ქ. ნუხაში და შემახის მაზრებში. ამიერკავკასიაში ძირითადად ნახევრადფაბრიკატები მზადდებოდა, რაც გაჰქონდათ ნართის სახით მოსკოვისა და უცხოეთის ფაბრიკებშიც (შემსყიდველებს). აბრეშუმის ქსოვილის ადგილობრივად დაბზადება შედარებით ნაკლები მნიშვნელობის მქონე იყო. იგი უფრო შინამრეწველურ ხასიათს ატარებდა, მაგრამ მას შემდეგ რაც გაჩნდა ორთქლისძრავიანი ფაბრიკები, აბრეშუმის წარმოება მათ ხელში გადავიდა.

თავი მეორე

თბილისის მრეწველობის ზრდა 70—80-იან წლებში

ნრეწველობის ცალკეული დარგების მიმოხილვისას ნაჩვენები იყო მათი განვითარება, ხასიათი და ზრდა 70—80-იანი წლების მანძილზე. გადავხედოთ ნრეწველობის საერთო ზრდას აღებულ პერიოდში[1].

---

[195] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობა ამიერკავკასიაში, თბილისი, თსუ შრომები, ტ. XVI, 1940, გვ. 133.

[1] ამ შემთხვევაში ჩვენთვის ძირითად წყაროს შეადგენს ის ანგარიშები და აღწერილობანი, რომლებიც შედგენილია გუბერნატორებისა და პოლიციმეისტერების მიერ. მათში ბევრი რამ დაუზუსტებელი და დამახინჯებულია. ფაბრიკისა და ქარხნის კატეგორიას აკუთვნებენ ძალზე მცირე ზომის საწარმოებსაც, რომელთა პროდუქციულობა 1000 მან. თუ შეადგენს; მაგრამ ამ უკანასკნელთ მაინც გამოჰყოფდენ სახელოსნოებისაგან.

1870 წლისათვის თბილისში მოხსენებულია შემდეგი საწარმოები: საწახნაგო 8000 მან. ღირებულების პროდუქციით და 15. მუშით; პურსაცხობი და მაკარონის მანქანური წარმოება—2, 4.000 მანეთის ღირებულების პროდუქციით და 15 მუშით; თამბაქოსა და პაპიროსის—25. 5000 მან. ღირებულების პროდუქციით და 250 მუშით. ბამბეულის ქსოვილების—1, 450 მუშით; აგურის—46, 17.0000 მან. ღირებულების პროდუქციით და 350 მუშით; კრამიტის—22, 37.000 მან. ღირებულების პროდუქციით, 90 მუშით. სახერხი—41, 23.000 მან. პროდუქციით, 256 მუშით; საპნის სახარში—11, 9700 მან. ღირებულების პროდუქციით და 43 მუშით; თუჯსასხმელი სახერხით (ყოფილი შტიუსესი) 1, 2800 მან. პროდუქციით და 27 მუშით; თიხის ჭურჭლის 5, 2000 მან. ღირებულების პროდუქციით, 15 მუშით; ლუდსახარში—8, 80.000 მან. ღირებულების პროდუქციით და 70 მუშით; სანთლის—6, 1.500 მან. ღირებულების პროდუქციით, 27 მუშით; ტყავის—18, 9.000 მან. ღირებულების პროდუქციით, 55 მუშით[2]. მათგან ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო აგურის—46, კრამიტის—22, თამბაქოს—25. თუ ავიღებთ თითოეულ მათგანზე პროდუქციის ოდენობასა და მუშახელს საშუალოდ ასეთი სურათი წარმოგვიდგება: პაპიროსისა და თამბაქოს საწარმოებიდან თითოზე პროდუქციის რაოდენობა შეადგენდა წლიურად 200 მანეთს 10 მუშით; აგურის თითოეულ „ქარხანაზე" საშუალოდ მოდიოდა 3.700 მან. ღირებულების პროდუქცია, დაახლ. 7 მუშით; სახერხი „ქარხნებიდან" თითოზე საშუალოდ მოდის 510 მან. პროდუქცია, 6 მუშით.

ზემოთ დასახელებულ საწარმოთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მირზოევის ფაბრიკას, სადაც ამ დროისათვის 450 კაცი მუშაობდა. იგი თავისი მასშტაბითა და მოწყობილობით პირველი იყო ამ დროისათვის არა მარტო თბილისში, არამედ ამიერკავკასიაში.

მიუხედავად ამ ნაკლისა, ეს მასალები სხვა მონაცემებთან და ერთმანეთთან შეჯერების შემდეგ შესაძლებელს ხდის ვიმსჯელოთ მრეწველობის საერთო მდგომარეობის შესახებ ამ დროის თბილისში.

[2] სცსა, ფ. 17, საქ. 79, ფურც. 43, 44, 45, 46.

უკვე 1873 წლისათვის თბილისში იგრძნობა საწარმოთა ურთიერთკონკურენციის ფაქტები, რასაც თან ერთვის შემოსული ნაწარმის დაწოლაც. ასე მაგ., ამ წელს თბილისში დაიხურა ერთი ტყავის, 4 სანთლის, 9 საპნის სახარში, 1 კირის, 1 მაკარონის, 12 აგურის, 1 სახერხი და 1 ეტლების დამამზადებელი საწარმო. მათ დახურვას საბუთები პროდუქციაზე მოთხოვნილების შემცირებით ხსნიან, „К недостатку сбыта при существовании других подобных им заводов и к дурному устройству управлявшихся заводов"[3].—აღნიშნულია საარქივო დოკუმენტში. მათ პროდუქციაზე მოთხოვნილების შემცირებას კი ბაზარზე უკეთესი და იაფი ნაწარმის გაჩენა აპირობებდა, რომლებიც ან გარედან შემოჰქონდათ, ან ადგილზე მზადდებოდა მსხვილ საწარმოებში.

დახურული საწარმოები რომ მცირე მასშტაბისა იყო, ამაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ მაგ. ერთი წლის მანძილზე, 1872—1873 წლებში თბილისში დაიხურა 12 აგურის საწარმო, რომელთა პროდუქციულობა შეადგენდა მხოლოდ 18.000 მან. წელიწადში, ე. ი. თითოეულ მათგანზე მოდიოდა 1.500 მან. ღირებულების პროდუქცია. ეს ისეთი საწარმოები იყო, რომლებშიც 3 კაცი თუ მუშაობდა. ცხადია, ისინი ველარ გაუძლებდნენ უფრო მსხვილი აგურის საწარმოების კონკურენციას და გაკრეოდნენ. ავიღოთ თუნდაც საპნის წარმოება. აქაც აღებულ პერიოდში 7 საწარმო დაიხურა. 1872 წელს არსებულ 11 საპნის სახარშ საწარმოში მზადდებოდა 21.100 მან. ღირებულების პროდუქცია და მუშაობდა 46 კაცი[4]. 1873 წელს კი დარჩა 4 საწარმო 10.200 მან. ღირებულების პროდუქციით და 38 მუშით[5], ე. ი. 7 შემცირებულ საწარმოში 8 მუშის შრომის პირობებში იქმნებოდა მხოლოდ 1.900 მან. ღირებულების პროდუქცია; ერთ საპნის სახარშზე დაახლოებით მოდიოდა 1 მუშა და 270 მან. ღირებულების პროდუქცია წლიურად.

---

[3] სცსა, ფ. 5, საქ. 3474, ფურც. 34.

[4] სცსა, ფ. 5, საქ. 2931, ფურც. 53—54.

[5] იქვე, საქ. 3474, ფურც. 81—82.

ყველა ეს საწარმო მცირე ზომის იყო, სადაც მეპატრონე თვითონვე ასრულებდა მუშის როლს, ხშირად დანახარეც კი არა ჰყავდა და მისი არსებობა ნსხვილი საწარმოების გაჩენის დროისათვის უკვე ჰკარგავდა მნიშვნელობას. ასეთი „ფაბრიკა ქარხნების“ რიცხვის შემცირება სულაც არ ნიშნავს ამ დროის თბილისში მრეწველობის დაცემის ფაქტს; პირიქით, აქედან სწორედ ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების პირობებში მსხვილ კაპიტალისტური საწარმოების გვერდით წარმოდგენილი საწარმოები ჰკარგავენ მნიშვნელობას და ხშირად ქრებიან კიდეც.

1875 წელს თბილისში გაიხსნა სახამებლის დამამზადებელი საწარმო, რომელმაც ერთი წლის მანძილზე, ზაფხულის თვეებში გაუიდა 50 ფუთი თეთრი საუკეთესო ხარისხის სახამებელი, 2 მან. და 40 კაპიკად ფუთი[6]. კვლავ სწრაფად იზრდებოდა აგურის წარმოება. 1875 წელს გამოშვებული აგურის პროდუქციამ 750.000 მან. ღირებულებას მიაღწია 41 აგურის „ქარხანაში“, სადაც 467 მუშა მუშაობდა[7]. 1876 წელს თბილისის „ფაბრიკა-ქარხნების“ რიცხვი 153-მდეა აღრიცხული 1.219.370 მან. ღირებულების პროდუქციით და 1916 მუშით[8].

სწრაფად იზრდებოდა თამბაქოს ფაბრიკების რიცხვი, რომელთა რაოდენობა 1877 წელს თბილისის გუბერნიაში 35-მდე ავიდა. „Открытие вновь 24 табачных фабрик обусловливается увеличением числа войск в крае, так и от уменьшения ввоза табаку из заграницы и внутренних губерний России в обработанном виде“[9]. 1887 წელს თბილისში და მთლიანად გუბერნიაშიც ადგილი ჰქონდა მთელ რიგ „ფაბრიკა-ქარხნების“ დახურვას. მაგ., 1877 წელს გუბერნიაში არსებული 581 „ფაბრიკა-ქარხნიდან“ 1878 წელს მუშაობას განაგრძობდა 564, 2.318.917 მან. ღირებულების პროდუქციით. 195.669 მან. მეტი ვიდრე წინა წელს იყო[10]. ოფი-

---

6 სცსა, ფ. 17. საქ. 8995 ბ. ფურც. 26.
7 იქვე. საქ. 8995 ბ. ფურც. 26, 73—74; 78—79.
8 იქვე. ფ. 5. საქ 4815. ფურც. 37—38.
9 იქვე. ფ. 17, საქ. 9000 ბ. ფურც. 24.
10 იქვე. საქ. 9001 ბ, ფურც. 9.

ციალური ცნობების მიხედვით საწარმოთა რიცხვის ეს შემცირება გამოწვეული იყო იმით, რომ მათი მეპატრონეები „Вследствие дороговизны на все жизненные потребности и повышения цен на рабочие руки были вынуждены прекратить производство, но вероятно временно— и по уменьшении цен как на продукты, так и на рабочие руки они опять возобновят свою деятельность“[11]. ეს სიძვირე და საწარმოთა დახურვა, 1877—78 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის შედეგი იყო, რომელმაც გააძნელა და გააძვირა ნედლეულის შემოტანა და მუშახელიც. მაგრამ მიუხედავად „ფაბრიკა-ქარხნების“ რაოდენობრივი შემცირებისა, ერთი რამ ფაქტია, წარმოების მასშტაბი იზრდებოდა და მან 1878 წლის მძიმე პირობებშიც კი წინა წლის პროდუქციის ღირებულებას 195.669 მან. გადააჭარბა. ეს ზრდა კვლავ თამბაქოს ფაბრიკების ზრდის ხარჯზე ხდებოდა, რომელთა წლიურმა ბრუნვამ აღებულ წელს მილიონ მანეთს მიაღწია. მარტო თბილისში 1878 წელს არსებობდა 24 თამბაქოს ფაბრიკა, სადაც მუშაობდა 334 მუშა და მზადდებოდა 1.046.283 მან. ღირებულების პროდუქცია[12].

1879 წელს თბილისში არსებული 4 ტყავის ქარხნიდან თითოეულზე საშუალოდ მოდიოდა 34.500 მან. ღირებულების პროდუქცია 17—18 მუშით. ასანთის ფაბრიკაში კი 30 კაცი მუშაობდა და მზადდებოდა 20.000 მან. ღირებულების პროდუქცია. თამბაქოს ფაბრიკებიდან თითოეულზე საშუალოდ მოდიოდა 54.600 მან. ღირებულების პროდუქცია და 38 მუშა.

1880 წლიდან თბილისში მრეწველობაში საგრძნობ აღმავლობას აქვს ადგილი. ეს გამოიწვია მირზოევის ფაბრიკაში მუშაობის განახლებამ, რომელიც ამ დროისათვის უკვე იჯარით ჰქონდა რიშარს.

1880 წლის ანგარიშში თბილისის გუბერნატორი იუწყებოდა: „Население Тифлисской губернии не отличается

---

[11] სცსა, ფ. 17, საქ. 9001 ბ, ფურც. 10.

[12] იქვე, ფურც. 62—63, 67,

промышленною деятельностью и не может занять первенствующее значение в крае, но тем не менее, эта деятельность не только не уступает соседним губерниям, но быть может, превосходит их, так как г. Тифлис, где сосредоточиваются все производительные силы края, не может не иметь в этом отношении влияния"[13].

1880 წლისათვის თბილისში უკვე ჩნდება ორთქლის საბერხი ქარხნები, რომელთა რიცხვი თავდაპირველად შეადგენდა 4-ს, 340.000 მან. ღირებულების პროდუქციით და 110 მუშით[14].

1881 წელს თბილისის გუბერნიაში მთლიანად აღრიცხული იყო 710 „ფაბრიკა-ქარხანა", სადაც მუშაობდა 4072 მუშა და მზადდებოდა 4.129.383 მან. ღირებულების პროდუქცია. წინა წელთან შედარებით ეს რაოდენობა მცირეა და აიხსნება იმ გარემოებით, რომ რიშარის ფაბრიკა აღებულ წელს რეკონსტრუქციის გამო თითქმის უმოქმედოდ იყო. ზემოთ დასახელებულ საწარმოთა ძირითადი ნაწილი თბილისშია თავმოყრილი, სადაც ამ დროისთვის იყო 207 „ფაბრიკა-ქარხანა", ე. ი. მთელი გუბერნიის საწარმოთა 30%, 3.480.750 მან. ღირებულების პროდუქციით[15], რაც მთელი გუბერნიის მრეწველობის თითქმის 80%-ს შეადგენს. მთელი ფაბრიკა-ქარხნების 30% აწარმოებს მთლიანი პროდუქციის 80%-ს. აქედან ნათელია, რომ მსხვილი წარმოება სწორედ თბილისში იყო თავმოყრილი ამ დროისათვის.

1882 წელს მთლიანად თბილისის გუბერნიაში არსებული 843 „ფაბრიკა-ქარხნიდან" თბილისზე მოდიოდა 219[16], ე, ი. 26%, 3.657.282 მან. ღირებულების პროდუქციით; რაც შეადგენს მთელი გუბერნიის მიერ დამზადებული პროდუქციის 83%. სულ ამ საწარმოებში მუშაობდა 2654[17].

---

[13] სცსა, ფ. 17, საქ. 670, ფურც. 18.
[14] იქვე, ფურც. 40—41, საქ. 9004 ბ, ფურც. 8.
[15] იქვე, საქ. 9009 ბ, ფურც. 23, 59.
[16] იქვე, საქ. 9013 ბ, ფურც. 24—25.
[17] იქვე, ფურც. 62, 63, 64, 65.

1883 წლისათვის მირზოევის ფაბრიკის წარმოება შემცირდა 258.000 მანეთით[18]. ამ წელს თბილისის „ფაბრიკა-ქარხნების“ წარმოების ოდენობა 3.449.900 მან. შეადგენდა. მათგან მნიშვნელოვანი იყო, ბამბეულის ძაფსართავი ფაბრიკა 432.000 მან. ღირებულების პროდუქციით; საპნის და სანთლის ქარხანა (ტოლესი) — 10.000 მან. წლიური პროდუქციით; ტყავის 9000 მან. პროდუქციით; ზეთსახდელი—58.000 მან. ღირებულების; თუჯსასხმელი — 40.000 მან. ღირებულების პროდუქციით[19].

ადგილობრივი მრეწველობის განვითარება აისახა ვაჭრობის სფეროშიც. 1885 წელს თბილისში ვაჭრობის პროდუქტებიდან დიდი ნაწილი ადგილობრივ ნაწარმს ეკავა. მაგ. მირზოევის ფაბრიკაში დამზადებული მიტკალი იყიდებოდა დაახლ. 200.000 მან. ღირებულებისა, ხოლო მისი ნაწილი კავკასიის გარეთაც გადიოდა. ადგილობრივი მიტკლის ფასი იყო 10 კაპ. არშინზე. ფართო გავრცელება ჰქონდა აგრეთვე თბილისის წარმოების საპონს, სტეარინის სანთლებს.

თბილისის გუბერნიის 1006 „ფაბრიკა-ქარხნიდან“ 1885 წელს თბილისზე მოდიოდა 263, ანუ 23%. 3.324.280 მან.[20] ღირებულების პროდუქციით, რაც მთელი გუბერნიის პროდუქციის 84%-ს შეადგენს. აქედან კიდევ ერთხელ მტკიცდება თუ რა მნიშვნელობისა იყო თბილისის მრეწველობა მთელი გუბერნიისა და საქართველოსათვის. მარტო თბილისის 6 თამბაქოს ფაბრიკა ამზადებდა წელიწადში 520.400 მან. ღირებულების პროდუქციას; 11 ტყავის ქარხანა 957.000 მან. ღირებულების პროდუქციას[21].

დასახელებული „ფაბრიკა-ქარხნებიდან“ 80-იან წლებში მხოლოდ თბილისის საწარმოები შეიძლება ჩაითვალოს ნამდვილ ფაბრიკა-ქარხნებად (მათში უკვე გაბოყენებულია ორთქლის ძრავა, დიდია მუშათა რაოდენობა). დანარჩენები კი მცირე მასშტაბის საწარმოებია.

---

[18] ЦГИАЛ. ф. 1263, д. 4406, л. 253.

[19] იქვე, ფურც. 273.

[20] სცსა, 17, საქ. 8743, ფურც. 4, 21.

[21] სცსა, ფ. 17, საქ. 8743, ფურც. 74.

. თბილისში მთელი 80-იანი წლების მანძილზე მიმდინარეობდა წარმოების კონცენტრაციის პროცესი. 1887 წელს ტყავის 7 ქარხანაა (1885 წ. 11 იყო), რომლებიც ამზადებენ 1.232.000 მან. პროდუქციას[22]. აქ სულ 515 კაცი მუშაობდა, ე. ი. 2 წლის მანძილზე ქარხნების რიცხვმა 4-ით დაიკლო, ხოლო წარმოების დონემ 265.000 მან. იმატა. სწორედ ამაში ვლინდება წარმოების კონცენტრაცია, რასაც აპირობებს მანქანების გამოყენება და მუშახელის რაოდენობის ზრდა. ამ ქარხნებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ადელხანოვის ტყავის ქარხანა, რომლის პროდუქცია მთელ ამიერკავკასიაში იყიდებოდა. ქარხანა ამზადებდა აგრეთვე მზა ფეხსაცმელს, რომელიც ცალკე მაღაზიაში იყიდებოდა გაცილებით უფრო იაფად, ვიდრე უცხოური (კერძოდ ვარშავისა) საქონელი.

წარმოების სიდიდით გამოირჩეოდნენ 80-იანი წლების ბოლოსათვის: 6 თამბაქოს ფაბრიკა, რომელთა პროდუქცია 1885—1887 წლებში გაიზარდა 520.400 მანეთიდან 728.000 მანეთამდე, 453 მუშით[23]. აქ სწორედ ტექნიკურმა გაუმჯობესებამ ითამაშა გადამწყვეტი როლი. ორთქლის ძრავიანი ლუდის ქარხანა იყო 4, 231.300 მან. პროდუქციით და 72 მუშით. საქარხნო მრეწველობის განვითარების საქმეში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა სარაჯიშვილის სარექტიფიკაციო ქარხანა, რომელიც 1886 წელს გაიხსნა და 1887 წელს დაამზადა 200.000 მან. ღირებულების პროდუქცია. აქ მზადდებოდა უმაღლესი ხარისხის პურის არაყი და სპეციალური არაყი, რექტიფირებული სუფრის ღვინო, ყურძნის არაყი, კონიაკი, რომი, ტკბილი და მწარე არაყი, ე. წ. კიევის „ნალივკები" და სხვადასხვა ხარისხის ლიქიორი. ამ ქარხნის პროდუქცია იყიდებოდა როგორც თბილისში, ისე მთელ ამიერკავკასიაში.

1887 წელს თბილისში გაიხსნა ვაჭარ ტერ-ასატუროვის ასანთის ფაბრიკა, რომლის ბრუნვა 1887 წლის აგვისტოდან 1888 წლის იანვრამდე შეადგენდა 3.800 მანეთს. ფაბრიკაში 51 მუშა მუშაობდა. ქარხანა ყიდდა ასანთის 1.000 ყუთს 8—9

---

[22] ЦГИАЛ, ф. 1284, д, 194, л. 19; სცსა, ფ. 414, ანაწ. 1, საქ. 34, ფურც, 46—47.

[23] სცსა, ფ. 414, ანაწ. 1, საქ. 34, ფურც. 16—17—18.

მანეთად; იგი ამ დროისათვის ამიერკავკასიაში ერთადერთი იყო და წარმატება მოელოდა[24].

1888—1889 წლებში თბილისში არსებობდა 7 დიდი ქარხანა, რომელთა პროდუქცია გადიოდა არა მარტო ადგილობრივ ბაზარზე, არამედ იმპერიის ქალაქებშიც[25].

მრეწველობის ზრდის ნათელსაყოფად მოვიტანოთ ცხრილი[26].

წლები	პროდუქციის რაოდენობა მანეთობით	მუშათა რაოდენობა	% წილი მთელი გუბერნიის მრეწველობაში
1870	414.400 მან.	1714	
1871	456.000 მან.	1546	
	(მირზოევის ფაბრიკის მონაცემები არ შედის)		
1872	754 827 მან.	1700-დე	
1873	1.127.2000 მან.	2279	
1874	მონაცემი არა გვაქვს		
1875	2.130.200 მან.	2150	
1876	1.219.470 მან.	1916	
1877	1.194.795 მან.	1952	
1878	1.442 443 მან	1118	
1879	2.320.700 მან.	2289	
1880	5.708.500 მან.	2780	
1881	3.480.750 მან.	2641	
	(რიშარის ფაბრიკის რეკონსტრუქციის გამო შემცირდა)		თითქმის 80%
1882	3.657.282 მან.	2554	თითქმის 83%
1883	3.449 900 მან.	2577	
1884	3.994.500 მან.	2.295	
1885	3.324.280 მან.	2166	თითქმის 84%
1886	4.620.650 მან.	3334	თითქმის 86%
1887	3.314.400 მან.	3546	
1888	3.532.486 მან.	3103	
1889	არ არის მონაცემი		
1890	3.500.000-მდე	2600[27]	

[24] სცსა, ფ. 414, ანაწ. 1, საქ. 34, ფურც. 16—17—18.

[25] სცსა, ფ. 17, საქ. 2748, ფურც. 10; ЦГИАЛ, ф. 1284, д. 172 ფურც. 5.

[26] ფაბრიკა-ქარხნების რაოდენობას არ ვიღებთ, რადგან იგი ზრდის ნიშნად არ გამოდგება.

[27] ცხრილი შედგენილია სათანადო საარქივო მასალის საფუძველზე. ცხრილში შეტანილი არ არის რკინიგზის სახელოსნო.

ცხრილიდან ჩანს, რომ 70—80-იან წლებში თბილისის მრეწველობა საერთოდ აღმავალი ხაზით მიდიოდა (მცირე სხვაობები, რომლებიც ცალკეული წლების მონაცემებშია, საერთო სურათს არ ცვლის, რადგან გამოწვეულია ამა თუ იმ საწარმოს დროებითი დახურვით თუ ახალი საწარმოს გაჩენით, ანდა თვითონ წყაროს უზუსტობით). 1890 წლისათვის თბილისის მრეწველობა (ფაბრიკულ-ქარხნული) 1870 წელთან შედარებით დაახ. 8,4-ჯერ გაიზარდა, რაც შეადგენს დაახ. 844, 6%-ს.

თავი მესამე

ორთქლის ძრავის გაჩენა თბილისის მრეწველობაში, მანქანურ წარმოებაზე გადასვლის დასაწყისი

თბილისის კაპიტალისტურ განვითარებაზე, მის მრეწველობაზე ლაპარაკისას, მხედველობაში უნდა გვქონდეს განვითარების ტენდენცია, მისი ხასიათი და ძირითადი მომენტები. კაპიტალიზმის განვითარების უმაღლესი საფეხური არის მსხვილი მანქანური ინდუსტრიის განვითარების ეტაპი, რომელსაც მარქსი უწოდებდა „უმაღლეს საფეხურს მრეწველობაში. „ამ სტადიის ძირითადი და ყველაზე არსებითი ნიშანი მდგომარეობს წარმოებისათვის მანქანების სისტემის გამოყენებაში. მანუფაქტურიდან ფაბრიკაზე გადასვლა მოასწავებს სრულ ტექნიკურ გადატრიალებას, რომელიც აქარწყლებს ხელით მუშაობის ოსტატობას".[1] ვ. ი. ლენინი იქვე დასძენს: „ცხადია, მსხვილი მანქანური ინდუსტრიის ზრდის შესახებ რომ ვიმსჯელოთ, საჭიროა თავდაპირველად დავადგინოთ განსაზღვრული ნიშანი „ფაბრიკის" ცნებისათვის. ასეთ ნიშნად ვიღებთ ორთქლის ძრავის არსებობას"[2]. და კიდევ, „წარმოებაში ორთქლის ძრავის გამოყენება მსხვილი მანქანური ინდუსტრიის ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი

---

[1] ვ. ი. ლენინი, ტ. 3, გვ. 535.
[2] იქვე გვ. 567.

ნიშანია"[3]. თბილისის საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის შესწავლისას სწორედ ეს მომენტი უნდა იქნეს გათვალისწინებული.

1878 წლის 16 იანვარს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული სტატისტიკური საბჭოს თავმჯდომარე სემიონოვი კავკასიის სტატისტიკური კომიტეტის თავმჯდომარის ზეიდლიცისადმი გაგზავნილ მიმართვაში აღნიშნავდა, რომ მთელი რუსეთის მასშტაბით შეგროვილია ცნობები ყოველგვარი ორთქლის ძრავების შესახებ და იგი ითხოვს, რომ სასწრაფოდ მიაწოდონ ასეთივე ცნობები კავკასიიდან[4]. ზეიდლიცი თავის პასუხში მიუთითებდა მათი შეგროვების სიძნელეების შესახებ „...Поскольку на Кавказе пока еще нет, как во всех внутренних губерниях империи, губернских механиков, вообще здесь фабрики не подлежат почти никакому контролю и надзору. Сведений о числе паровых машин не имеется никаких"[5].

ორთქლის ძრავის გამოყენების ცალკეულ ფაქტებს თბილისის მრეწველობაში ვხვდებით უკვე 60-იან წლებშიც, კერძოდ, ყორღანოვის წყალსაქაჩზე და მილების წარმოებაზე. ყორღანოვის წყალსაქაჩი მტკვრის წყლით (სასმელი წყლით) ამარაგებდა ქალაქს, ხოლო ალექსანდრეს ბაღს სარწყავი წყლით. ყორღანოვის წყალსაქაჩი მანქანა, რომელიც 1860 წ. შეამოწმეს მექანიკოსმა შტიუსემ და ინჟინერ-პოდპოლკოვნიკმა მასლოკოვეცმა, იყო ორმაგი მოქმედების და საშუალო წნევის. ორთქლის ცილინდრის შიდა დიამეტრი 20 დუიმს შეადგენდა. ცილინდრული ფორმის ქვაბები და სადუღარი 1/4 დუიმის სისქის ფურცლოვანი რკინისაგან იყო დამზადებული. მოწყობილი იყო ვულფის სისტემით, ანუ ჰორიზონტალური ცილინდრების სახით, რომელიც ორი ნახევარსფეროთი მთავრდებოდა. ქვაბის შიდა დიამეტრი იყო 2 ფუტი და 8 დუიმი. თითოეული სადუღარის შიდა დიამეტრი—21 დუიმი, ქვაბების სიგრძე—25 ფუტი; თითოეული სადუღარის სიგრძე—24 ფუტი. ტუმბოები ქვაბს ამარა-

---

[3] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, ტ. 3, გვ. 600.
[4] სცსა, ფ. 415, საქ. 10, ფურც. 1—2.
[5] იქვე, ფურც. 15.

ებდა 40—50°-იანი ცხელი წყლით. წყალსაქაჩი ტუმბოს დიამეტრი 10 დუიმს შეადგენდა. მანქანიდან გაყვანილი იყო წყალგამტარი თუჯის მილები, რომლებიც წყალს ქაჩავდნენ 30 საჟენის სიმაღლემდე. ამ მილების სიგრძე 180 ფუტი იყო, ხოლო დიამეტრი—5 დუიმი[6]. მანქანას საათში შეეძლო 50 ვედრო გასუფთავებული წყლის ამოქაჩვა 20 ფუტის სიმაღლეზე[7]. ყორღანოვს თავდაპირველად წყალსადენი თუჯის მილები რუსეთიდან შემოჰქონდა და ძალზე ძვირი უჯდებოდა. ამიტომაც მან გადაწყვიტა თვითონ ჩამოესხა ისინი, რისთვისაც მთავრობისაგან ითხოვდა ხელოსნებს სახელმწიფო ქარხნებიდან მანამ, სანამ ამ საქმეს თავის მუშებს არ შეასწავლიდა. ითხოვდა ორ ჩამოსხმელს და ორ მეყალიბეს, რომლებიც გამოწერილი იქნენ ლუგანსკიდან[8].

ორთქლის ძრავის გაჩენა და მისი შნიშვნელობის ზრდა მოითხოვდა სათანადო კვალიფიციურ კადრებს, რომლებიც სისტემატურ კონტროლს გაუწევდნენ მანქანებს. შეაკეთებდნენ მათ დამტვრევის თუ გაფუჭების შემთხვევაში. ეს მოვალეობა ამ დროისათვის დაეკისრა სწორედ ინჟინერ-ტექნოლოგს, რომლის თანამდებობა ამიერკავკასიაში არსებობდა მე-19 საუკუნის შეორე ნახევრის დამდეგიდან. ჯერ კიდევ 1850 წელს ვორონცოვი აცნობებდა იმპერატორს, რომ მან ამიერკავკასიაში ჩამოსვლის დღიდანვე შეამჩნია მექანიკოსების არ არსებობა, რომლებზეც მოთხოვნილება დიდი იყო და ითხოვდა 2—3 საქმის მცოდნე მექანიკოსის გამოგზავნას[9].

ᲐᲛ სწორედ ამ დროიდან ვხედებით ამიერკავკასიაში მექანიკოსებს და ინჟინერ-ტექნოლოგებს. 1850 წელს ინჟინერ-ტექნოლოგად თბილისის გუბერნიაში ბიხოლდიაა მოხსენებული, ხოლო 1853 წელს—ლემკული[10].

---

[6] სცსა, ფ. 241, ანაწ. 3, საქ. 7, ფურც. 12—13.
[7] იქვე.
[8] იქვე, ფურც. 34.
[9] სცსა, ფ. 10, საქ. 14, ფურც. 10.
[10] იქვე, ფურც. 37, 62.

ამ თანამდებობის პირთა ფუნქციები თანდათანობით იცვლებოდა[11]. ჩვენ ხელთ არის ინჟინერ-ტექნოლოგ ლემკულის 1853 წლის ანგარიში მისი საქმიანობის შესახებ. მას შეუდგენია პროექტი გაზის აპარატისათვის (სანათი გაზისათვის). ამ პროექტის მიხედვით გაკეთებული აპარატურით 1852 წლის ორ ნოემბერს ჩაუტარებიათ პირველი წარმატებითი გამოცდა გაზის ფარნებისა; 6 ნოემბერს უკვე 20 ლამპა ენთო გოლოვინის პროსპექტზე სამი საათის განმავლობაში. ქუჩის განათება სამ საათზე მეტ ხანს შეუძლებელი იყო, რადგან 450 საჟენის გავლის შემდეგ გაზის მარაგი გაზომეტრში ნაჩევრდებოდა, ხოლო გაზის მიღება და გაშვება ერთდროულად ცალიან სახიფათო იყო, ვინაიდან მაღალი წნევის გამო მოსალოდნელი იყო რეტორტის გახეთქვა. მეორე რეტორტის აპარატის შეკვეთა მიუციათ შტიუსეს საწარმოში.

1852 წელს მან პოლკოვნიკ ყორღანოვისათვის დაამზადა ახალი სახერხი, რომელიც დღეში ხერხავდა 20—25 ცალ 4 საჟენის სიგრძის მორს, ხოლო საბოლოოდ დასრულების შემდეგ კი შეძლებდა 30 ასეთი მორის დახერხვას. ეს სახერხი დღეში ცვლიდა 30—36 მუშას და შეეძლო 50 კაცის სამუშაოს შესრულებაც[12].

ლემკული განაგებდა საწახნაგო ფაბრიკას, სადაც მან 1857 წელს ორი ორთქლის მანქანა დადგა[13]. 1859 წელს ინჟინერ-ტექნოლოგ ბიხოლდს მეფისნაცვლის ფონდიდან 12 წლის ვადით მიეცა 5 ათასი მანეთი უპროცენტოდ თბილისში სოფლის მეურნეობის მანქანათა დამამზადებელი სახელოსნოს მოსაწყობად[14]. ასეთი იყო თავდაპირველად ინჟინერ-ტექნოლოგის მოვალეობანი. იგი ძირითადში წარმოებას ხელმძღვანელობდა, ან პროექტებს და გეგმებს ადგენდა ამა თუ იმ საწარმოსათვის.

---

[11] მხარის ეკონომიური განვითარებისა და მოთხოვნილებების დონის შესაბამისად.

[12] სცსა, ფ. 10, საქ. 14, ფურც. 62—67.

[13] იქვე, ფურც. 95—100, 191.

[14] სესხი 10 წლის განმავლობაში უნდა გადაეხადა, 1860 წლიდან დაწყებული (იქვე, საქ. 220, ფურც. 5)

უკვე 80-იანი წლებისათვის ინჟინერ-ტექნოლოგს ვხედავთ სულ სხვა ფუნქციებით. ამ დროს მის მთავარ საქმიანობას ორთქლის ქვაბის შემოწმება და შეკეთება შეადგენს. ეს ფაქტი ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ თბილისის ეკონომიურ ცხოვრებაში უკვე მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ორთქლის ძრავამ და საჭირო შეიქნა სპეციალური კვალიფიციური პირის გამოყოფა, რომელიც მას მოემსახურებოდა. „В последние годы эта деятельность (ლაპარაკია ინჟინერ-ტექნოლოგის საქმიანობაზე—ნ. რ.) сосредоточивается почти исключительно на освидетельствование паровых котлов. Число паровых котлов в Тифлисе возросло в настоящее время до того, что служебная деятельнос находящегося при Управлении инжинера-технолога посвящается преимущественно требуемому законом свидетельствованию сих котлов“[15] აღნიშნულია 80-იანი წლების დამდეგის ერთ საარქივო ცნობაში. 1885 წ. ამ თანამდებობაზე დანიშნა სტეფანე გულიშამბაროვი. გულიშამბაროვის დანიშვნის შესახებ ცნობაში ხაზგასმულია, რომ თბილისის სახაზინო პალატასთან ინიშნება ინჟინერ-ტექნოლოგად „გუბერნსკი. სეკრეტარი“ გულიშამბაროვი „... с возложением на него исполнения обязанностей по освидетельствованию паровых котлов, в губерниях Тифлисской, Елиссаветопольской и Кутаисской.[16]

თითოეული ორთქლის ქვაბის შემოწმებისათვის ქვაბის მეპატრონე ინჟინერ-ტექნოლოგს უხდიდა 25 მანეთს[17].

ინჟინერ-ტექნოლოგმა გულიშამბაროვმა 1885 წლის პირველი ოქტომბრიდან 1886 წლის პირველ იანვრამდე ჩატარებული მუშაობის მიხედვით შეადგინა სპეციალური ანგარიში, რომელიც საინტერესოა ამ დროის თბილისში ორთქლის ქვაბების დადგმისა და გამოყენების თვალსაზრისით. მას შეუმოწმებია სულ 34 ორთქლის ქვაბი, რომელ-

---

[15] სცსა, ფ. 241, ანაწ. 1, საქ. 1287, ფურც. 70—71.

[16] სცსა, ფ. 204, საქ. 563, ფურც. 1.

[17] იქვე, ფურც. 61.

თაგან 33 თბილისში იყო. ეს ქვაბები მოქმედებდა შემდეგ საწარმოებში:

ადელხანოვის ტყავის ქარხანაში —1
სანთლის და საპნის სახარშ ქარხანაში —1
ფედოროვიჩის წისქვილში —1
ჩოლოყაშვილის და კომპ. პურსაცხობში —1
მექანიკურ სახელოსნოებში (რუქსის, გენინგის და თბილისის საქალაქო სახელოსნო სასწავლებელში) —3
ბურღულ-მაკარონის ფაბრიკაზე —1
წყალსაქაჩზე —1
ხილისა და მინერალური წყლების დამამზადებელ საწარმოში —1
სახერხებში (ანანოვის, ცოვიანოვის, ტერ-ასატუროვის, ელიაზაროვის) —6
ბამბეულის ძაფსართავ ფაბრიკაში —4
აბანოებში (იზმაილოვის, ცოვიანოვის და ვებერისა) —3
ლუდის ქარხანაში —1
სიტოვისა და სარაჯიშვილის არყის ქარხნებში—2
საავადმყოფოში (მიხეილის) —1

ორთქლის წნევის ძალის მიხედვით:

კვადრატულ დუიმზე	15	გირვანქა ძალისა	—1
„ „	30	„	—3
„ „	35	„	—1
„	40	„	—4
„	45	„	—1
„	50	„	—3
„	60	„	—10
„	70	„	—2
„	75	„	—7
„	125	„	—1
„	135	„	—1

სულ—34 ქვაბი[18]

[18] სცსა, ფ. 204, საქ. 563, ფურც. 34—35.

ეს ცნობები სრული არ არის, რადგან სამი თვის განმავლობაში იგი ვერ შესძლებდა უკლებლივ ყველა საწარმოს დათვალიერებას და ორთქლის ქვაბების აღრიცხვას.

1886 წლის ნოემბრისათვის თბილისის პირველ უბანში არსებულ ფაბრიკებსა და ქარხნებში იყო შემდეგი ორთქლის ქვაბები: ყორღანოვის ორთქლის წყალსაქაჩზე სამი ქვაბი. ერთი მათგანი იდგა 1885 წლიდან, დანარჩენი ორი 1886 წლის დამდეგიდან.

დავით სარაჯიშვილის არყის ქარხანაში ერთი ორთქლის ქვაბი. ვებერის აბანოში—ერთი.

არტილერიის პოლკოვნიკის თავად გიორგი სპირიდონის ძე ხიმშიაშვილის აგურის ქარხანაში ლოკომობილი მოქმედებდა 1879 წლიდან[19].

იმავე წელს მეორე უბნის ტერიტორიაზე ივანე სიტოვის არყის ქარხანაში მოქმედებდა ერთი ორთქლის ქვაბი 1885 წლის 3 დეკემბრიდან[20].

მესამე უბანში—ერთი ციციანოვის აბანოში და ერთიც ცურინოვის ლაბორატორიასა და აფთიაქში. პირველი მოქმედებდა 1878 წლიდან, მეორე—1879 წლიდან[21].

მეოთხე უბანში—ერთი მცირე ზომის ქვაბი ექიმ კოჩარიანცის ბინაზე[22].

მეხუთე უბანში—მიხეილის სახ. სახელოსნო სასწავლებელში[23].

მეშვიდე უბანში—ერთი პრუსიის ქვეშევრდომ თეოდორე ივანეს ძე ფედოროვიჩის წისქვილში; მეორე—გიორგი მიხეილის ძე თამამშევის წისქვილში[24].

მერვე უბანში—ერთი ორთქლის ქვაბი იზმაილოვის ორთქლის აბანოში, 1886 წლის 16 თებერვლიდან[25].

---

[19] სცსა, ფ. 204, საქ. 563, ფურც. 94.
[20] იქვე, ფურც. 95.
[21] იქვე, ფურც. 96.
[22] იქვე, ფურც. 97.
[23] იქვე, ფურც. 98.
[24] იქვე, ფურც. 101.
[25] იქვე.

მეათე უბანში—ერთი ქვაბი ვეტცელის ლუდის ქარხანაში 1881 წლიდან.

ერთი ქვაბი	ფრიდრიხ ზეიცერის ავეჯის ფაბრიკაში—1867 წლიდან;
„	ტიგრან ცოვიანოვის სახერხ ქარხანაში—1875 წლიდან;
	იოსებ რუქსის საზეინკლო საწარმოში—1885 წლიდან;
„ „	რობერტ რენკვისტის მექანიკურ თუჯსასხმელ ქარხანაში 1885 წლის ივნისიდან;
„ „	ადოლფ მადერის ლუდის ქარხანაში 1885 წლიდან;
„ „	ქრისტიან მეიერის ორთქლის წისქვილში—1886 წლიდან;
„ „	ანდრია კოტრინის საზეინკლო სახელოსნოში—1881 წლიდან;
„	ავეტიკ ელიაზაროვის ფანერის ქარხანაში—1886 წლიდან[26];

მეექვსე უბანში—მირზოევის ბამბეულის ძაფსართავ ფაბრიკაში—4; ერთი მოქმედებდა 1870 წლიდან, მეორე—1878 წლიდან, ხოლო დანარჩენი ორი—1881 წლიდან;

ადელხანოვის და კომპ. ტყავის ქარხანაში—3; ერთი მოქმედებდა 1885 წლის 1 ოქტომბრიდან, მეორე—1886 წ. 15 თებერვლიდან; მესამე—1886 წლის 27 სექტემბრიდან.

ტოლეს საპნის და სანთლის ქარხანაში—3. ორი მოქმედებდა 1873 წლის პირველი ნოემბრიდან, მესამე—1885 წლის 5 ოქტომბრიდან.

---

[26] სცსა, ფ. 204, საქ. 563, ფურც. 106, 108.

ივანე მირზოევის მეშკვიდრის წყალსაქაჩი მანქანა —1, მოქმედებდა 1880 წლიდან.

იოსებ მღებროვის კარაქის ქარხანაში—1, 1880 წლიდან[27].

მეცხრე უბანში (სახერხ ქარხნებში):

თბილისის მეორე გილდიის ვაჭრების სერგო ელიაზაროვის და აღასი ტერ-ასატუროვის—1885 წლის პირველი ოქტომბრიდან ერთი ქვაბი; „ნადვორნი სოვეტნიკის" ივანე ეჯუბოვის სახერხში—1, 1885 წლის 11 მარტიდან;

მეორე გილდიის ვაჭრის იოსებ სტეფანეს ძე ანანოვის—1879 წლიდან;

ივანე დავითის ძე როტინოვის—1880 წლიდან ორი ქვაბი;

არუთინ ასრიევის—1880 წლიდან;

თბილისის მიხეილის საავადმყოფოში—1886 წლიდან ორი ქვაბი[28].

როგორც ამ მონაცემებიდან ირკვევა, ორთქლის ქვაბების გამოყენება თბილისის მრეწველობაში უკვე 70-იან წლებიდან იწყება, ხოლო 80-იანი წლებიდან ეს პროცესი მასობრივ ხასიათს იღებს. მექანიკოსი იოსებ რუქსი დგამს ორთქლის ძრავას თავის ქარხანაში[29]. მეორე გილდიის ვაჭრის ტერ-ასატუროვის ასანთის ფაბრიკაში ორი ორთქლის ქვაბი დგას 1887 წელს[30]. იმავე წელს ორთქლის ქვაბების დადგმის ნებართვას ითხოვენ: ფრიდრიხ ზეიცერი—ავეჯის ფაბრიკაში[31], ფრიდრიხ ვეტცელი ყინულის დამამზადებელ ქარხანაში დგამს 16 ცხენისძალიან ორთქლის მანქანას[32]. 1887 წელს ნიკოლოზ სიტოვი ითხოვს ნებართვას დადგას ორთქლის ქვაბი სპირტის სარეკტიფიკაციოდ[33].

1889 წლის მანძილზე არა ერთი თხოვნა შედის გუბერნატორის სახელზე, თბილისის საწარმოებში ორთქლის ძრა-

---

[27] სცსა, ფ. 204, საქ. 563, ფურც. 100.
[28] იქვე, ფურც. 104.
[29] იქვე, ფურც. 122.
[30] იქვე, ფურც. 146.
[31] იქვე, ფურც. 154.
[32] იქვე, ფურც. 174.
[33] იქვე, ფურც. 6.

ვების დადგმის თაობაზე[34]. ასეთივე თხოვნები მრავლად არის 1891—94 წლებში[35]. 1893 წელს საფრანგეთის მოქალაქე ერნსტ ტიერო ხსნის აგურ-კრამიტის ქარხანას ვერტიკალური ორთქლის ქვაბით[36]. აივაზ ოსიპოვის აგურის ქარხანაში იდგა ჰორიზონტალური მდებარეობის ორთქლის ქვაბი, დამზადებული ბაქოში 1895 წელს ლევენსონის და კომპ. მექანიკურ ქარხანაში[37].

1896 წელს ტუტურიანცის და К° მატყლის სარეცხ ქარხანაში იდგა ორი ორთქლის ქვაბი, რომელიც მაზუთის საშუალებით ხურდებოდა. ქვაბი დამზადებული იყო 1896 წ. ბაქოში გუსტავ ლისტის ქარხანაში და ჰქონდა ერთი საცეცხლე მილით ჰორიზონტალური ორთქლის ქვაბი[38]. ორი ორთქლის ქვაბი დადგა 1896 წელს ვეტცელმა ყინულის დამამზადებელ ქარხანაში (დამზადებული ბაქოში აიზენშმიდტის ქარხანაში)[39]. ორთქლის ქვაბის დადგმის ნებას ითხოვენ 1896 წელს თბილისში სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე კავკასიის ამხანაგობის შმართველი კონსტანტინე მიხეილის ძე ალიხანოვი[40], საწვავად ნავთობის ნარჩენები იქნებოდა გამოყენებული. აზნაური გრიგოლ დავითის ძე ყაზბეგი (აგურის ქარხანაში მაზუთის საწვავით). ეს ორთქლის ქვაბი დამზადებული იყო თბილისში პოპოვიჩის ქარხანაში 1896 წელს[41]; შელიქოვი (აგურის ქარხანაში)[42], მაშადი ხალილ-იმამ-ოღლი და აჯი-მამედ-ტაში ზულფაგრ-ოღლი[43]. 1897 წ. ბაგირ მამედ-ალი-ოღლი ნებართვას ითხოვდა თავის აგურის ქარხანაში შეშით გათბობა

---

[34] სცსა, ფ. 204, საქ. 754, 767 მთლიანად ამაზეა.
[35] იქვე, საქ, 894, მთლიანად.
[36] იქვე, ფ. 204, საქ. 923, ფურც. 55.
[37] იქვე, ფ. 204, საქ. 998, ფურც. 10.
[38] იქვე, ფ. 204, საქ. 999, ფურც. 4, 10.
[39] იქვე, ფ. 204, საქ. 1003, ფურც. 1,2.
[40] იქვე, ფ. 204, საქ. 1006, ფურც. 1.
[41] იქვე, ფ. 204, საქ. 1007, ფურც. 1,7.
[42] იქვე, ფ. 204, საქ. 1010, ფურც. 1.
[43] იქვე, საქ. 1012, ფურც. 8.

ორთქლით შეეცვალა და დაედგა ორთქლის ქვაბი. მისი ქვაბიც დამზადებული იყო თბილისში პოპოვიჩის ქარხანაში[44].

1897 წელს თბილისის მოქალაქე ვილჰელმ ვასილის ძე გილბერტი ითხოვდა ნებართვას გაეხსნა თუჯსასხმელი ქარხანა ორთქლის ქვაბით[45]. ქვაბი იყო ამერიკული, დამზადებული 1893 წელს ჩამოსხმული ფოლადისაგან და 1897 წელს ხელახლა განახლებული[46].

1898 წელს ორთქლის ქვაბი დადგეს თავიანთ ტყავის ქარხანაში ფილიპე ვართაზარიანცმა და ავეტიქ ზარგარიანცმა[47]. ქვაბი დამზადებული იყო შედუღებული რკინისაგან ერთი ორთქლის მილით; დამზადდა ბაქოში ლევენსონის და კომპ. ქარხანაში და აეწყო თბილისში ზარგარიანცის ქარხანაში 1898 წელს[48].

როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, ადელხანოვის ტყავისა და ქეჩის წარმოების სააქციო საზოგადოების ქარხანაში სამი ორთქლის ქვაბი იდგა. აქედან ერთი ინჟინერ შუხოვის სისტემისა, მეორე ლანკაშირის სისტემისა[49]. ლანკაშირის სისტემის ორთქლის ქვაბი სრულიად ახალი იყო; დამზადებული ბაქოში ინჟინერ ხატისოვის საქვაბე ქარხანაში. ქეჩის ფაბრიკაში, რომელიც 1889 წელს ამოქმედდა, ადელხანოვმა 1895 წელს დადგა მეორე ორთქლის ქვაბი[50].

1881 წ. 4 ივნისს ეეგენი ზემელიბ დგამს მცირე ზომის ორთქლის ქვაბს ვაჭარ სალინოვის სახლში გამართულ შაქარეინულის დამამზადებელ საწარმოში[51].

1890 წელს ორთქლის ქვაბები დადგეს: ვაჭარმა სერგო მელვინოვმა არყის ქარხანაში[52]; სტამბის მეპატრონემ იაკობ

---

[44] სცსა, ფ. 204, საქ. 1012, ფურც. 9, აგურის ქარხნებში ორთქლის ქვაბების დადგმას ეხება ფ. 204, საქ. 1029.

[45] იქვე, ფ. 204, საქ. 1032, ფურც. 4.

[46] იქვე, ფურც. 10.

[47] იქვე, ფ. 204, საქ. 1098, ფურც. 8.

[48] იქვე, ფურც. 14.

[49] იქვე, ფ. 204, საქ. 1110, ფურც. 9.

[50] იქვე, საქ. 2234, ფურც. 49.

[51] იქვე, საქ. 2058, ფურც. 157.

[52] იქვე, საქ. 2198, ფურც. 1.

ილიას ძე ლიბერმანმა—ლიმენუალის სისტემის ორთქლის ძრავა[53].

ორთქლის ქვაბებს 1895 წელს აგურის ქარხნებში დგამენ: თბილისის მოქალაქეები ზაქარია მიხეილის ძე გაბრიელოვი და ილარიონ გრიგოლის ძე ტალახაძე (მაზუთის სათბობით)[54]; მეორე გილდიის ვაჭარი პეტროს მინას ძე მაკაროვი[55], ლაზარე ბაბოვი[56] და სხვ.

საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში მრავლად არის მასალები 90-იან წლებში თბილისში ორთქლის ქვაბების დადგმისა და გამოყენების შესახებ.

90-იანი წლების ბოლოს თბილისის საწარმოებში დადგმულ ორთქლის ქვაბებზეც გავრცელდა სახელმწიფო საბჭოს 1898 წლის დადგენილება ორთქლის ქვაბებზე გადასახადის განაწილების შესახებ. დროებით სამი წლის ვადით დაწესდა შემდეგი პირობები:

1. ყველა მოქმედი ორთქლის ქვაბი იხდიდა ხაზინის სასარგებლოდ სპეციალურ გადასახადს.

2. გადასახადისაგან თავისუფლდებოდნენ: ა) სახელმწიფო დაწესებულებათა განკარგულებაში მყოფი ქვაბები; ბ) ქვაბები, რომლებიც სოფლის მეურნეობაში გამოიყენებოდნენ და გ) ქვაბები, რომლებიც არ შედიოდნენ მთავრობის ტექნიკოსთა უშუალო კონტროლის სფეროში.

3. გადასახადი განისაზღვრებოდა თითოეული ქვაბისათვის გახურების ზედაპირის ფართობის მიხედვით.

4. გადასახადი აიკრიფებოდა ზემოთ დასახელებულ ზომებში მიუხედავად იმისა, ქვაბი მოქმედებდა თუ არა მთელი წლის განმავლობაში.

---

[53] სცსა, ფ. 204, საქ. 2198, ფურც. 25.

[54] იქვე, საქ. 2234, ფურც. 78.

[55] იქვე, ფურც. 146.

[56] იქვე, ფურც. 205.

5. გადასახადი უნდა შეეტანათ ერთი წლით ადრე, არა უგვიანეს 31 დეკემბრისა და ა. შ[57].

შემდგომში, 1902 წელს, სახელმწიფო საბჭომ დაადგინა თბილისში დაეარსებინა „О распространении правил о надзоре за заведениями фабрично-заводской промышленности и о взаимных отношениях фабрикантов и рабочих на Тифлисскую губернию по фабричным и горнозаводским делам присутствие“[58].

თბილისში არსებობდა ერთი უფროსი საფაბრიკო ინსპექტორის და ერთი საფაბრიკო ინსპექტორის თანამდებობა. ამასთან ერთად უქმდებოდა გუბერნიის მექანიკოსის თანამდებობა[59].

1902 წლის ცნობით, თუ ორთქლის ქვაბი იდგმებოდა ფაბრიკებსა და ქარხნებში, მისთვის ნებართვის ასაღებად უნდა გადაეხადათ 1 მანეთი (საღერბო გადასახადი). ხოლო დანარჩენი—გემებზე, აბანოებში, სამზარეულოებში და სხვ.—ქვაბების დასადგმელად 60 კაპ[60].

როგორც ვხედავთ, მე-19 საუკუნის 80-იან წლებში თბილისის მრეწველობაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ორთქლის ძრავას. 70-იან წლებში თუ ერთეული შემთხვევები გვხვდება მისი გამოყენებისა, ახლა იგი მასობრივ ხასიათს იღებს. ეს პროცესი შემდგომ უფრო დაჩქარდა და გაძლიერდა. სულ თბილისის გუბერნიაში გნედიჩის გამოანგარიშებით იყო 182 ორთქლის ქვაბი; აქედან საფაბრიკო-საქარხნო 176 და სოფლის მეურნეობის ექვსი[61], რომელთაგან ძირითადი ნაწილი თბილისზე მოდიოდა. 1875—95 წლებში ორთქლის მანქანების რაოდენობა საქართველოს დამმუშავებით მრეწვე-

---

[57] სცსა, ფ. 12, ანაწ. 5, საქ. 513, ფურც. 1.

[58] იქვე, ფ. 38, საქ. 3, ფურც. 1.

[59] იქვე, ფურც. 2.

[60] იქვე, საქ. 38, ფურც. 28.

[61] საისტორიო მოამბე, ტ. 1, 1945, გვ. 258. გ. ბაქრაძის ბიერ მოტანილი საარქივო დოკუმენტის მიხედვით 1900 წ. საქართველოში სულ იყო 300 ორთქლის ქვაბი (გ. ბაქრაძე, დასახ. ნაშრომი. გვ. 70).

ლობაში 6-ჯერ გაიზარდა, ხოლო ორთქლის ქვაბების რაოდენობა 17-ჯერ[62].

თბილისის მრეწველობაში 90-იანი წლების ბოლოს ადგილი აქვს ელექტროენერგიის გამოყენების ცდებს. 1899 წლის 3 მარტს თბილისის ტყავისა და ქეჩის სააქციო საზოგადოება ითხოვს გუბერნატორისაგან ნებართვას აამოქმედოს ქარხანაში მოწყობილი ელექტროსადგური[63]. სადგურში იდგა: ერთი ორთქლის წყალსადენი მილის ქვაბი ბარნ-ის ქარხნის, რომლის გახურების ზედაპირი შეადგენდა 540 კვად. ფუტს.

1897 წლის მარტში თავადი გიორგი ილიას ძე ჯამბაკურ-ორბელიანი ცდილობს აამუშაოს მის სახლში ელექტროგანათებისათვის მოწყობილი მანქანა.

სპეციალურმა კომისიამ ორბელიანის თხოვნის შესრულება შეუძლებლად მიიჩნია. ჯამბაკურ-ორბელიანს ელსადგურის ამუშავების ნება მიეცა 1902 წელს 17 დეკემბერს[64].

1900 წლისათვის ელექტროგანათების მოწყობის ცდას ადგილი აქვს არტისტული კლუბის შენობაში.

ზემოთ მოტანილი მასალებიდან გასაგები ხდება, რომ თბილისის მრეწველობაში ორთქლის ძრავის მასობრივად შეჭრის პროცესი 80-იანი წლებიდან იწყება. ისე კი, როგორც გვქონდა აღნიშნული, ცალკეული შემთხვევები და ცდები ორთქლის ძრავის გამოყენებისა ჯერ კიდევ 60-იანი წლების მეორე ნახევარშიც გვხვდება; იგი უფრო ხშირდება 70-იანი წლებიდან (ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებული საწარმოების დიდ ნაწილში სწორედ ამ ხანის მეორე ნახევარში დაიდგა ორთქლის ქვაბები). მაგრამ წარმოების პროცესის აუცილებელ კომპონენტად იგი 80-იანი წლებიდან იქცევა. ამ დროიდან ერთეული შემთხვევა უკვე ისეთი საწარმოა (რა თქმა უნდა, ჩვენ აქ არ ვგულისხმობთ ხელოსნური ტიპის საწარმოებს), სადაც არ დგას ორთქლის ძრავა. სწორედ ამიტომ,

---

[62] Г. Бакрадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 70.

[63] სცსა, ფ. 204, საქ. 4132, ფურც. 1.

[64] სცსა, ფ. 204, საქ. 1033, ფურც. 12—13.

80-იანი წლები უნდა მივიჩნიოთ იმ ეტაპად, როდესაც თბილისის მრეწველობაში იწყება კაპიტალისტური მრეწველობის შემდგომი ზრდა-ჩამოყალიბება, რაც მანქანურ წარმოებაზე მასობრივად გადასვლაში ვლინდება. ამ პროცესისათვის ნიადაგი ჩვენ სინამდვილეში მზადდებოდა 60-იანი წლების მეორე ნახევრიდან, ვიდრე 70-იანი წლების დასასრულამდე; 80-იანი წლებში ეს პროცესი ფართო გაქანებას იღებს და იგი შემდგომ გრძელდება. საქართველოს კოლონიური მდგომარეობის პირობებში კაპიტალიზმის განვითარებას ჰქონდა მთელი რიგი თავისებურებები, რამაც გამოხატულება ჰპოვა მრეწველობის ფორმების განვითარებაშიც. თბილისის მრეწველობისათვის თვალის გადევნებისას ნათელი ხდება, რომ აქ ხშირად ერთდროულად არსებობდა კაპიტალისტური მრეწველობის სამივე ფორმა, ხოლო ზოგიერთი დარგი პირდაპირ ფაბრიკული ტიპის სახით შეიქმნა.

თავი მეოთხე

თბილისის მრეწველობის ზრდა 90-იან წლებში. მანქანური წარმოების შემდგომი განვითარება

მე-19 საუკუნის 90-იანი წლებიდან მთლიანად ამიერკავკასიაში იგრძნობა მრეწველობის აღმავლობა. ეს პროცესი განსაკუთრებით შეიმჩნევა თბილისში, სადაც თავმოყრილი იყო საქართველოს დამმუშავებითი მრეწველობის მთელი რიგი დარგები.

1890 წლისათვის თბილისში უკვე არსებობდა ამიერკავკასიაშა ერთადერთი ფანერის ქარხანა (ზემოთ განხილული), რომელმაც საგრძნობლად შეამცირა სხვა ჯიშის კაკლის ხეების ფანერის შემოტანა უცხოეთიდან. კიდევ მეტიც, აკმაყოფილებდა რა ადგილობრივ მოთხოვნილებებს, თბილისის

ქარხანა ამარაგებდა თავისი ნაწარმით ოდესას, ვარშავას, მოსკოვსა და შიდა რუსეთის სხვა ქალაქებს[1].

1889 წელს მოწყობილ კავკასიის სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის გამოფენაზე კიდევ ერთხელ დადასტურდა დამმუშავებელი მრეწველობის შემდგომი ზრდა თბილისში. ჩნდება ტექნიკურად სრულყოფილი ზეთსახდელი ქარხნები, ორთქლის წისქვილები, ტყავის ქარხნები. ერთხმად აღიარებდნენ „что начинает в крае возникать машиностроение"[2].

1891 წლისათვის მთლიანად ტყავის ქარხნების საერთო ბრუნვა შეადგენდა 871.550 მან. 361 მუშით. აქედან ადელხანოვისა და კომპანიის ტყავის ქარხნის საერთო ბრუნვა — 741.900 მანეთი. ამ ქარხანაში იდგა სამი ორთქლის მანქანა და ქვაბი; მუშაობდა 240 კაცი. ამ წელს დამზადებულ იქნა 88.000 ცალი ტყავეული. 1892 წელს ადელხანოვისა და კომპ. ტყავის ქარხანამ დაამზადა სალანჩე (подошвенные) ტყავი 17.400 ცალი, სქელი ტყავი (полувалленные)—13.700, იუფტის 5000. სულ 88.000 ცალი[3]. თბილისის ტყავის ქარხნების პროდუქცია გამოიყენებოდა ფეხსაცმელებისათვის და თავისი ხარისხით კონკურენციას უწევდა ვარშავის ფეხსაცმელს (ადგილობრივ ბაზარზე).

6 თამბაქოს ფაბრიკის ბრუნვა 1891 წ. შეადგენდა 698.366 მან. 814 მუშით. წინა წელთან შედარებით პროდუქცია ნაკლები იყო 40.593 მანეთით, რაც გამოიწვია რუსეთიდან დიდი რაოდენობით თამბაქოს ნაწარმის შემოტანამ.

თბილისში წარმოების სიდიდის მხრივ მესამე ადგილი ეკავა ჩითახოვის ბამბეულის ძაფსართავ ფაბრიკას, რომლის წლიური ბრუნვა ამ დროისათვის 350.000 მანეთამდე აღწევდა (404 მუშა მუშაობდა). მისი პროდუქცია გადიოდა მთელ ამიერკავკასიაში და ნაწილობრივ შიდა რუსეთშიც. ლუდის ქარხნებმა ამ წელს დაამზადეს 300.400 მან. ღირებულების ნაწარმი (ლუდის წარმოებაში 96 მუშა იყო ჩაბმული).

---

[1] სცსა, ფ. 12, ანაწ. 1, საქ. 970, ფურც. 24.
[2] სცსა, ფ. 12, ანაწ. 1, საქ. 970, ფურც. 28.
[3] სცსა, ფ. 17, საქ. 3332, ფურც. 415.

კვლავ აფართოებდა წარმოებას სარაჯიშვილის არყის სარექტიფიკაციო ქარხანა, რომელიც მთელი ამიერკავკასიის მრეწველობაში დიდ როლს თამაშობდა. 1891 წ. ქარხანამ დაამზადა 55.000 მან. ღირებულების სასმელი, 9.400 მან. მეტი ვიდრე წინა წელს. „Увеличение это произошло вследствие большого требования водочных изделии не только для Кавказского и Закавказского края, но и других мест России, благодаря их доброкачественности"— მიუთითებენ წყაროები. ამ ქარხნის მუშათა რიცხვი აღებული დროისათვის შეადგენდა 40 კაცს. იდგა 3 ორთქლის ქვაბი 10 ცხენისძალის სიმძლავრისა თითოეული. 1892 წ. მაისის თვიდან თბილისში ავაქ სოგომონოვმა გახსნა სპირტის სარექტიფიკაციო ქარხანა, სადაც იდგა 12 ცხენისძალიანი ერთი ორთქლის ქვაბი და მუშაობდა 12 კაცი. მან გახსნის დღიდან 1893 წლის პირველ იანვრამდე დაამზადა 300.000 მან. ღირებულების პროდუქცია[4].

ტოლეს სტეარინის სანთლისა და საპნის ქარხანამ, რომლის წლიური ბრუნვა 1891 წ. შეადგენდა 111.500 მან. დაამზადა სტეარინის სანთელი 3000 ფუთი 24.000 მან. ღირებულებისა; საპონი 3500 ფუთი 87.500 მან. ღირებულებისა. ქარხანაში მოქმედებდა 10 ორთქლის მანქანა 10 ცხენისძალისა თითოეული და მათთან ორი ორთქლის ქვაბი 40—40 ცხენისძალისა. მუშაობდა 40 კაცი. წარმოებისათვის გამოყენებულ იქნა ნედლეული შემდეგი რაოდენობით: ქონი— 27.000 ფუთი (ადგილზე შეძენილი), მარილი—2000 ფუთი, კაუსტიკური სოდა—3600 ფუთი (უცხოეთიდან გამოწერილი), გოგირდის სიმჟავე—500 ფუთი და სხვ[5]. 1896 წელს კი ტოლეს ქარხნის მიერ დამზადებული პროდუქციის რაოდენობა 289.666 მანეთამდე გაიზარდა[6].

1891 წლიდან შემცირდა ზოგიერთი ტყავის ქარხნის წარმოება (ონანოვის, პოპოვის და სხვ. ქარხნებში). ეს გარე-

---

[4] სცსა, ფ. 17, საქ. 3332, ფურც. 415.

[5] სცსა, ფ. 17, საქ. 3160, ფურც. 834—837.

[6] Обзор Тифлисской губернии за 1896 г. Тифлис, 1897, сс. 19.

შოება აიხსნება იმით, რომ ამ წელს თბილისში გაიხსნა ვართაზარიანცისა და ზარგარიანცის ახალი ტყავის ქარხანა, რომლის მფლობელებმა გახსნის დღიდანვე იწყეს ნედლი მასალის შესყიდვა და ამით ძირი გამოუთხარეს წვრილ მწარმოებლებს.

წარმოება გაფართოვდა ტაიროვისა და ალიხანოვის ზეთსახდელ ქარხანაში მის პროდუქციაზე მოთხოვნილების ზრდის გამო, როგორც ადგილზე ისე რუსეთში. ამიერკავკასიის რკინიგზა შესაღებ ზეთს ადრე იღებდა უცხოეთიდან, მოცემულ წელს კი მას ზეთით ამარაგებდა უკვე აღნიშნული ქარხანა[7].

მიუხედავად წარმოების ზოგიერთი დარგის მცირეოდენი შემცირებისა აღებულ წელს თბილისის მრეწველობა აღშავალი ხაზით მიდიოდა და თანდათან უფრო ჩამოყალიბებული მრეწველობის ხასიათს იღებდა. ამ დროისათვის განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ჩითახოვის ბამბეულის ძაფსართავი და საქსოვი ფაბრიკა, ავეჯის ფაბრიკა 50 მუშით და 217.150 მან. ღირებულების წლიური პროდუქციით; 5 ტყავის ქარხანა და სხვ[8]. ეს ქარხნები მოწყობილი იყო ტექნიკურად სრულყოფილი მანქანა-იარაღებით. ძირითად ბაზას ორთქლის მანქანები შეადგენდა და წარმოება ხდებოდა დაქირავებული მუშახელის მკაცრი ექსპლოატაციის პირობებში.

ამ დროიდან მასიურად ხდება წვრილი მასშტაბის ხელის შრომაზე დამყარებული საწარმოების დახურვა და მათ ადგილს მსხვილი მანქანური საწარმოები იკავებენ. ასე მაგ., 1891 წელს თბილისის გუბერნიაში სულ იყო 763 ფაბრიკა-ქარხანა[9], ნაცვლად 1890 წელს არსებული 1484-ისა[10]. ეს შემცირება მოხდა სწორედ ზემოთ აღნიშნული საწარმოების ხარჯზე. 1891 წელს თბილისის გუბერნატორის ანგარიშში ვკითხულობთ: „В отчетном году число фабрик и

---

[7] სცსა, ფ. 17, საქ. 3160, ფურც. 834—837.
[8] იქვე, ფურც. 868.
[9] სცსა, ფ. 17, საქ. 8766ა, ფურც. 58.
[10] ЦГИАЛ, ф. 1263 д. 4921 ფურც. 400.

заводов вследствие закрытия худших из них, действовавших ручным трудом и не могущих соперничать с возрастающим количеством таковых, действующих силой пара, понизилось на 721"[11]. რიცხობრივად ფაბრიკა-ქარხნების რაოდენობა თითქმის განახევრდა, მაგრამ ამით მათი საერთო პროდუქციულობა არ შემცირებულა, 1891 წელს მონაცემების მიხედვით ამ 763 ფაბრიკა-ქარხნის საერთო პროდუქციულობა შეადგენდა 4.677.975 მან[12]. მაშინ, როცა 1890 წელს 1484 ე. წ. ფაბრიკა-ქარხნის საერთო პროდუქციულობა 4.406.927 მან[13]. შეადგენდა, ე. ი. ფაბრიკა-ქარხნების რიცხვის შემცირების მიუხედავად წარმოება უფრო სწრაფად წარიმართა და გაცილებით მეტი ღირებულების პროდუქცია შეჰქმნა ვიდრე 1890 წელს. აქ ადგილი ჰქონდა საწარმოთა გამსხვილების პროცესს, რაც ტიპიური მოვლენაა კაპიტალისტური მრეწველობისათვის.

თბილისს განსაკუთრებული მდგომარეობა ეკავა საქართველოსა და ამიერკავკასიის ქალაქებს შორის (ბაქოსთან ერთად) მთელ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში. 1892 წელს თბილისის გუბერნიის ქალაქებში იყო ფაბრიკა-ქარხნები ასეთი რაოდენობით:

ახალციხეში	—12
ახალქალაქში	—12
სიღნაღში	—17
გორში	—24
თელავში	—34
თბილისში	—174[14]

ყველა მათი საერთო პროდუქციულობა შეადგენდა 3.644.896 მანეთს, აქედან თბილისზე მოდიოდა 3. 557.369 მან.[15], ე. ი. 174 საწარმო ამზადებდა 3.557.369 მან. ღირებულების პროდუქციას, ხოლო 99—87.527 მანეთისას. აქედან

---

[11] სცსა, ფ. 17, საქ. 8769 ა, ფურც. 58.

[12] იქვე.

[13] ЦГИАЛ, ф. 1263, д. 4921, л. 400.

[14] სცსა, ფ. 17, საქ. 8772 ა, ფურც. 30.

[15] იქვე, ფურც. 31.

კიდევ ერთხელ ცხადია, რომ მრეწველობაში წამყვანი იყო თბილისი.

1894 წელს თბილისის ფაბრიკა-ქარხნების რიცხვმა 280-ს მიაღწია. აქ მუშაობდა 3512 მუშა და იწარმოებოდა სულ 4.608.057 მანეთის ღირებულების პროდუქცია[16]. მათგან წარმოების მასშტაბით გამოირჩეოდნენ 4 თამბაქოს ფაბრიკა 753 მუშით და 717.320 მან. ღირებულების პროდუქციით; ბამბეულის ძაფსართავი და საქსოვი ფაბრიკა—370 მუშით და 500.000 მან. პროდუქციით; 8 ტყავის ქარხანა 258 მუშით და 908.664 მან. პროდუქციით[17].

ამ დროისათვის თბილისში მასიურად ჩნდება ორთქლის წისქვილები და ორთქლის სახერხი ქარხნები, თუმცა ხელის სახერხი ჯერ კიდევ ძალაშია. ხელის სახერხი ქარხნების პროდუქციულობა გაცილებით ჩამორჩებოდა ორთქლის სახერხი ქარხნების პროდუქციულობას. ასე მაგ., 1894 წელს თბილისში მოქმედებდა 62 ხელის სახერხი „ქარხანა", მათში სულ მუშაობდა 235 მუშა და მზადდებოდა წლიურად 192.300 მან. ღირებულების პროდუქცია[18], ე. ი. დაახლოებით ერთ სახერხზე მოდის 3.100 მან. პროდუქცია და თითოეულზე საშუალოდ 3—4 მუშა. აღებული დროისათვის სულ თბილისში იყო 6 ორთქლის სახერხი ქარხანა 45 მუშით და 143.000 მან. პროდუქციით წელიწადში[19]. თითო ორთქლის სახერხ ქარხანაზე მოდის დაახლოებით 22.850 მან. ღირებულების პროდუქცია და საშუალოდ 6—7 მუშა.

თბილისის მრეწველობის აღმავლობის მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ 1896 წელს მისი ფაბრიკა-ქარხნების რიცხვი შეადგენდა 258, მუშაობდა 4978 კაცი, ხოლო წარმოების პროდუქციულობა 6.524.374 მან. განისაზღვრებოდა; 1895 წელთან შედარებით იგი გაიზარდა 1.350.680 მან.[20]. ეს ზრდა

---

[16] სცსა, ფ. 17, საქ. 3621, ფურც. 253 (მუშათა რიცხვში არ შედის რკინიგზის სახელოსნოთა მუშების რაოდენობა).

[17] იქვე, საქ. 9028-ა, ფურც. 48—49.

[18] იქვე.

[19] იქვე.

[20] სცსა, ფ. 17, საქ. 3846, ფურც. 368.

გამოწვეული იყო ზოგიერთი ახალი ქარხნის გახსნით და განსაკუთრებით კი აგურისა და სახერხი ქარხნების რაოდენობის მატებით.

1897 წელს თბილისში არსებობდა 291 ფაბრიკა-ქარხანა, სადაც მუშაობდა 4.700-მდე მუშა და მზადდებოდა წლიურად 5.973.296 მან. ღირებულების პროდუქცია. ერთ საწარმოზე საშუალოდ მოდიოდა პროდუქცია 20.527 მან. ღირებულებისა და 16—17 მუშა. მთლიანად თბილისის გუბერნიაში ამ დროისათვის აღრიცხულია 3798 „ფაბრიკა და ქარხანა", წარმოების საერთო ღირებულება—7.266.819 მან. 10.554 მუშით[21]. ერთ საწარმოზე მოდიოდა 1.913 მან. ღირებულების პროდუქცია საშუალოდ და 2—3 მუშა. აქედანაც ნათელია, რომ მხოლოდ თბილისში იყო თავმოყრილი დიდი საწარმოები. „Заводская и фабричная деятельность населения (города Тифлиса—ნ. რ.) отличалась промышленным характером, в уездных же городах и селениях она носила характер кустарный; здесь за весьма немногим исключением хозяин того или другого завода был в то же время единственным его рабочим"[22]—აღნიშნავენ წყაროები.

1897 წელს თბილისში ახლად გაიხსნა 33 საწარმო. მათ შორის: მატყლის სარეცხი, საზეინკლო-მექანიკური, წებოსა და საპნის სახარში 2—2; ხელოვნური მინერალური წყლების—4; სახერხი და აგურის 5—5; საფქვავი—10. აღებულ წელს მთლიანად თბილისში ფაბრიკა-ქარხნების რიცხვმა ექვსარებით წინა წელთან იმატა 26-ით, ანუ დაახ. 10%. წარმოების პროდუქციულობის მატება მანეთებში შეადგენს 833.097 მანეთს. აქედან: ქეჩის ქარხანაში—8900 მან., ზეთსახდელებში—23.300 მან., საფქვავში—76.618 მან. ლუდსახდელებზე—32.411 მან., თამბაქოს—278.868; აგურის—65.000 მანეთით; საზეინკლო-მექანიკურზე 229.400 მან., კრამიტის—1.000 მან. ხელოვნური მინერალური წყლების—145.000 მან., სანთლის—18.000 მან., კონფეტის—28.000 მან.. სტეა-

---

[21] სცსა, ფ. 12, ანაწ. 1, საქ. 1870, ფურც. 16.

[22] იქვე.

.რინის—1.100 მან., ფანერის—1.700 მან. 47.000 მან. შემ-
ცირდა სარაჯიშვილის არყის ქარხნის პროდუქციულობა,
ვინაიდან ხანძრის გამო ქარხანა თითქმის მთელი წელი უმო-
ქმედოდ იყო[23].

მუშათა ყველაზე დიდი რაოდენობა თავმოყრილი იყო
5 თამბაქოს ფაბრიკაში—1060 კაცი[24], ბამბეულის ძაფსარ-
თავ ფაბრიკაში—440[25] კაცი და ა. შ.

ამ პერიოდის თბილისის მრეწველობის სურათის უფრო
ნათელ წარმოდგენას გვაძლევს თბილისის I საპოლიციო უბ-
ნის პოლიცმეისტერის 1897 წლის ანგარიში, სადაც აღნიშ-
ნულია, რომ „Промыслом и ремеслом занимаются кроме ко-
ренного населения—русских, грузин и армян, турецко и
персидско подданные...“ სულ სახელოსნო დაწესებულება
უბანში იყო 99, სადაც მუშაობდა: 149 ოსტატი, 98 ქარგ-
ალი (подмастерье), 102 მოწაფე და 107 მუშა—სულ 456
კაცი[26]. უბანში სულ იყო 71 ფაბრიკა-ქარხანა, რომელთა-
გან სიდიდით გამოირჩეოდნენ სარაჯიშვილის ქარხანა, სლი-
ვიცკის ეტლების დამამზადებელი ფაბრიკა (80 მუშა და
50.000 მან. პროდუქცია), აგურის ქარხნები (66—132.000
მან. პროდუქციით)[27]. ანგარიშში აღნიშნულია, რომ „Вообще
при развивающейся в городе паровой заводской деятель-
ности. существование ручных заводов отживает своё
время“, ე. ი. ხელის შრომას არსებითად უკვე მანქანა
ცვლის.

სხვა უბნების შესახებ ჩვენ ცნობები არ მოგვეპოვება,
მაგრამ ამ ერთის საშუალებითაც შეიძლება წარმოდგენა
ვიქონიოთ მათზე. ამ დროის თბილისი უკვე ნამდვილი კაპი-
ტალისტური ქალაქია, სადაც გაბატონებული მდგომარეობა
მანქანურ წარმოებას უკავია. რა თქმა უნდა, საქართვე-
ლოს ეკონომიური დამოკიდებულება რუსეთის იმპერიისაგან

---

[23] სცსა, ფ. 12, ანაწ. 1, საქ. 1870, ფურც. 16.
[24] იქვე, ფურც. 31.
[25] იქვე.
[26] იქვე, ფ. 84, საქ. 68, ფურც. 2.
[27] იქვე.

განაპირობებდა მეტ-ნაკლებად თბილისის მრეწველობის ჩამორჩენილობას და შეზღუდულობას, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ თითქოს თბილისის მრეწველობას თვითმყოფადი სახე არ ჰქონოდეს.

— —

თბილისის მრეწველობის განვითარებაში, დაწყებული 80-იანი წლებიდან ადგილი აქვს მრეწველობის კონცენტრაციის ფაქტებს, რაც მუდამ იჩენს თავს კაპიტალიზმის განვითარების გარკვეულ სტადიაზე. ასე მაგ., 1896 წელს მთლიანად თბილისის გუბერნიაში ფაბრიკა-ქარხნების რაოდენობა შემცირდა 62-ით, ხოლო მუშახელის რაოდენობამ იმატა 722-ით; პროდუქციის ღირებულება კი წინა წელთან შედარებით გაიზარდა 1.305.954 მანეთით და მიაღწია 7.055.251 მანეთს[28]. საწარმოების რაოდენობის შემცირება მათი გამსხვილების უშუალო შედეგი იყო. მსხვილი კაპიტალისტური ფაბრიკა-ქარხნები შთანთქავდნენ წვრილ საწარმოებს, ან ეს უკანასკნელნი თვითონ უერთდებოდნენ პირველს, რადგან მის გვერდით არსებობა აღარ შეეძლოთ; საწარმოების გამსხვილება ზრდიდა მუშახელის რაოდენობას და მასთან ერთად იზრდებოდა მათი წარმოების დონეც. მთლიანად გუბერნიის ფაბრიკა-ქარხნების მიერ 1896 წელს დამზადებული პროდუქციიდან თბილისზე მოდის 6.486.517 მან. ღირებულების პროდუქცია და 4914 მუშა[29]. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ მთლიანად თბილისის გუბერნიის 948 ფაბრიკა-ქარხანა აწარმოებდა 7.055.251 მან. პროდუქციას 7148 მუშით, მაშინ თბილისზე მოდის (პროცენტებით რომ ავიღოთ) საწარმოთა მხოლოდ დაახლოებით 26,3%, მუშათა რაოდენობის 68,6% და პროდუქციის 91,9%. საშუალოდ თბილისის თითოეულ საწარმოზე მოდიოდა 19—20 მუშა და დაახლოებით 26.000 მან. წლიური პროდუქცია. სინამდვილეში კი თბილისის ბევრ ფაბრიკასა და ქარხანაში არა თუ 19—20 კაცი, არამედ ასო-

---

[28] Обзор Тифлисской губернии за 1896, Тифлис, 1897, გვ. 18.
[29] იქვე, უწყისი № 2.

ბით მუშა მუშაობდა. მაგ. ბამბეულის ძაფსართავ და საქსოვ ფაბრიკაში 395 კაცი მუშაობდა. 7 ტყავის ქარხანაში 552 კაცი, 5 თამბაქოს ფაბრიკაში 1010 კაცი, 4 თუჯსასხმელ ქარხანაში 1025 კაცი და ა. შ[30].

90-იანი წლების თბილისის მრეწველობის ზრდის ნათელსაყოფად შევადაროთ ორი წლის მონაცემები.

წლები	ფაბრიკა-ქარხნების რიცხვი	მუშათა რიცხვი	პროდუქციის ოდენობა მანეთებში
1897	291	4669	5.973.296[31]
1899	278	4768	8.606.308[32]

ამ მონაცემებიდან ნათელია, რომ საწარმოთა რაოდენობის შემცირების და მუშათა რიცხვის მცირედი ზრდის პირობებში ორი წლის მანძილზე თბილისის მრეწველობის პროდუქციის დონე გაიზარდა 2.633.012 მანეთით. ცალკეულ საწარმოთა მიხედვით ეს თანხა მოდის: ქეჩის ფაბრიკაზე—440.000 მან. და 160 მუშა; მანუფაქტურის ნაწარმის ფაბრიკაზე—550.000 მან. პროდუქცია და 460 მუშა; 5 თამბაქოს ფაბრიკაზე—1.423.437 მან. ღირებულების პროდუქცია და 1102 მუშა; 6 ტყავის ქარხანაზე—1.645.600 მან. ღირებულების პროდუქცია და 480 მუშა და ა. შ[33]. ყველა ეს საწარმო მსხვილი კაპიტალისტური ფაბრიკა-ქარხნებია, სადაც ნათელია წარმოების და მუშახელის კონცენტრაციის ფაქტი. წარმოების ზრდის ძირითადი ფაქტორი ამ დროისათვის უკვე ტექნიკაა, რომელიც ნაკლები დროის და მუშახელის საშუალებით იძლევა მეტი პროდუქციის შექმნის შესაძლებლობას.

მ. ჩხეტიას მიერ გამოქვეყნებული ხარკოვის ოლქის საფაბრიკო-ინსპექტორის გნედიჩის მოხსენებაში მე-19 საუკუნის დასასრულის კავკასიაში ფაბრიკულ-ქარხნული, სამთა-

[30] იქვე, უწყისი № 2.
[31] სცსა, ფ. 12, ანაწ. 1, საქ. 1870, ფურც. 31.
[32] იქვე, ფ. 414, ანაწ. 2, საქ. 3, ფურც. 515.
[33] იქვე.

მადნო და კუსტარული მრეწველობის შესახებ[34], აღნიშნულია, რომ თბილისში იმ დროისათვის იყო 262 ფაბრიკა-ქარხანა, მუშაობდა 6220 მუშა და წლიური პროდუქციულობა შეადგენდა 10.766.000 მან[35]. ამ საწარმოთა რიცხვში შეტანილი არ არის წისქვილები, კირის საწარმოები, სახერხი ქარხნები და სხვ. (ისინი, სადაც ძრავა არ იყო). ავტორს მოტანილი აქვს მუშახელის განაწილების ცხრილი ცალკეულ საწარმოებში რაოდენობის მიხედვით, საიდანაც ასეთი სურათი წარმოგვიდგება[36]:

ქ. თბილისი	5 კაცამდე		5—15		16—20		21—50		51-100		101-500		ს უ ლ	
	ქარხ. რიცხ.	მუშ. რიც.	ქარხ. რიც.	მუშ. რიც.	ქარხ. რიც.	მუშ. რიც.	ქარხ. რიც.	მუშ. რიც.	ქარხ. რიც.	მუშ. რიც.	ქარხ. რიც.	მუშ. რიც.	ქარხ. რიც.	მუშ. რიც.
	26	90	161	382	19	331	39	1164	8	583	9	2670	262	6220

როგორც ამ ცხრილიდან ვხედავთ, 15-მდე მუშის მყოლი ქარხანა თბილისში ამ დროისათვის იყო 187, სადაც სულ მუშაობდა 1427 მუშა. 15 და ზევით მუშის მყოლი საწარმოკი სულ იყო 75, სადაც თავმოყრილი იყო მუშათა რაოდენობიდან 4748 კაცი, ე. ი. 187 საწარმოში თავმოყრილი იყო მთელი მუშათა რაოდენობის 1/4 ანუ 22,9% (დაახ.), ხოლო 75-ში 3/4 ანუ 77% (დაახ.) ეს ფაქტი მუშათა კონცენტრაციის მაჩვენებელია მსხვილ საწარმოებში.

ამ დროისათვის თბილისის გუბერნიაში სულ იყო 3932 „ფაბრიკა-ქარხანა" 13.315 მუშით და 14.031.000 მან. ღირებულების პროდუქციით[37]. აქედან თბილისზე მოდიოდა საწარმოთა მხოლოდ 7%-მდე, მუშათა რაოდენობის 50%-ზე

---

[34] საისტორიო მოამბე, ტ. 1, 1945, გვ. 210 (საბუთი ეხება 1900 წელს).

[35] იქვე, გვ. 257, ცხრილი № 1.

[36] საისტორიო მოამბე, ტ. 1, 1945, გვ. 259 (მუშათა ამ რაოდენობაში არ შედის რკინიგზის სახელოსნოთა მუშები).

[37] იქვე, გვ. 272.

ᲔᲢᲘ, ᲮᲝᲚᲝ ᲡᲐᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲐᲮ. 80%. ᲐᲥᲔᲓᲐᲜ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲒᲐᲡᲐᲒᲔᲑᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲘᲛᲓᲠᲝᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘ ᲛᲡᲮᲕᲘᲚᲘ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲐ-ᲥᲐᲠᲮᲜᲔᲑᲘᲐ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲗᲐᲕᲛᲝᲧᲠᲘᲚᲘᲐ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐ.

ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝᲓ ᲨᲔᲕᲐᲓᲐᲠᲝᲗ 1890 ᲓᲐ 1900 ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲣᲠᲐᲗᲘ.

ᲬᲚᲔᲑᲘ	ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲐ-ᲥᲐᲠᲮᲜᲔᲑᲘᲡ ᲠᲘᲪᲮᲕᲘ	ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐ	ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐ ᲛᲐᲜᲔᲗᲔᲑᲨᲘ
1890	111	2.511	3.473.698 ᲛᲐᲜ.[38]
1900	262	6.220	10. 766.000 ᲛᲐᲜ.[39]

10 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘ ᲒᲐᲖᲠᲓᲘᲚᲘᲐ 7.292.302 ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲗ, ᲠᲐᲪ ᲨᲔᲐᲓᲒᲔᲜᲡ ᲓᲐᲐᲮ. 307,6%. ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐ ᲙᲘ ᲒᲐᲖᲠᲓᲘᲚᲘᲐ ᲓᲐᲐᲮ. 247,4%. ᲗᲣ ᲛᲘᲕᲘᲦᲔᲑᲗ ᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲘᲛ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲔᲑᲐᲐᲡ ᲠᲝᲛ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲐ-ᲥᲐᲠᲮᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲐᲨᲘ ᲓᲘᲓ ᲐᲠᲔᲔ-ᲓᲐᲠᲔᲔᲕᲐᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ, ᲠᲝᲛ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲛᲐᲗ ᲠᲘᲪᲮᲕᲨᲘ ᲨᲔᲢᲐᲜᲘᲚᲘᲐ ᲫᲐᲚᲖᲔ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲖᲝᲛᲘᲡ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐ ᲖᲝᲒᲯᲔᲠ 1.000 ᲛᲐᲜᲔᲗᲡᲐᲪ ᲙᲘ ᲐᲠ ᲨᲔᲐᲓᲒᲔᲜᲡ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲐ-ᲥᲐᲠᲮᲜᲔᲑᲘᲡ ᲠᲘᲪᲮᲕᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲪᲘᲠᲔᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲕᲘᲩᲜᲘᲝᲗ. ᲐᲡᲔᲗ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲙᲘ ᲛᲐᲗᲘ ᲛᲣᲨᲐᲮᲔᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘ ᲓᲐ % ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲬᲕᲠᲘᲚᲘ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲐ.

ᲐᲛᲒᲕᲐᲠᲐᲓ, ᲛᲔ-19 ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲜᲐᲮᲔᲕᲠᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲡᲗᲕᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲛᲢᲙᲘᲪᲔᲓ ᲐᲥᲕᲡ ᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲔᲮᲘ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲐᲡ. ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲨᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲣᲠ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲡᲕᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ; ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐᲨᲘ ᲮᲔᲚᲘᲗ ᲨᲠᲝᲛᲐᲡ ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝᲓ ᲪᲕᲚᲘᲡ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲓᲔᲕᲜᲘᲡ ᲬᲕᲠᲘᲚ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲑᲐᲢᲝᲜᲔᲑᲣᲚ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲡ ᲘᲙᲐᲕᲔᲑᲡ.

---

[38] ᲪᲒᲘᲐᲚ, Ფ. 1263, Დ. 4921, ᲤᲣᲠᲪ. 520.

[39] ᲘᲮ. ᲬᲘᲜᲐ ᲒᲕᲔᲠᲓᲔᲑᲘ.

ხელოსნური წარმოება

1867 წლის სახელოსნო დებულება და სახელოსნო საგმართველოს შექმნა

ამქრული ხელოსნობა, რომელიც საქართველოში საუკუნეებით იყო დაკანონებული, XIX საუკუნის შუა ხანებში ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდა. დღის წესრიგში დადგა მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი. ეს გარემოება, უპირველეს ყოვლისა, იმით იყო გამოწვეული, რომ ხელოსანთა ამქრული გაერთიანება ფეოდალური საზოგადოების წიაღში შეიქმნა და მისი ღვიძლი შვილი იყო. იგი ნატურალური მეურნეობის ბატონობის პირობებში შესანიშნავად ასრულებდა თავის მოვალეობას; აკანონებდა ხელოსანთა საქმიანობას, ეწეოდა ამქრებში გაერთიანებული ხელოსნების დარგობრივ ნორმირებას, ადგენდა ფასებს, მონოპოლიზაციის გზით უზრუნველყოფდა ამა თუ იმ დარგის ხელობის არსებობას და განვითარებას. ამქრობა სავსებით უპასუხებდა ფეოდალური საქართველოს, ფეოდალური თბილისის მეურნეობის, მისი ეკონომიკის მოთხოვნილებებს. მაგრამ მას შემდეგ, რაც ჩვენში პირველი ნაბიჯები გადადგა ახალმა საზოგადოებრივ-ეკონომიურმა ურთიერთობამ კაპიტალიზმის სახით, იგი დაეჯახა ამ პატრიარქალურ, ძველი წყობის ძლიერ ბურჯს და თავისი შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელი გახადა მისი დამსხვრევა.

ამქრული ორგანიზაციის გაუქმებისა თუ დატოვების შესახებ დიდ ხანს იყო დავა და აზრთა სხვადასხვაობა. და არა იმიტომ, რომ ყველა მისი დამცველი დიდად იყო დაინტერესებული ამ ინსტიტუტის ბედით; ბევრ მათგანს მხოლოდ ის აზრი ამოძრავებდა, რომ ამ დიდი ტრადიციის მქონე ორგანიზაციის გაუქმებით უკმაყოფილება არ გამოეწვიათ ადგილობრივ მოსახლეობაში, ხელოსანთა ფენებში, რომლებსაც მძლავრად ჰქონდათ მოკიდებული ფეხი ჩვენს სინამდვილეში.

ამიტომ იყო, რომ ამქრობის გაუქმებისათვის 50-იან წლებში დაწყებული ბრძოლა მხოლოდ 1867 წლისათვის დასრულდა.

ამქრობის ხელისშემშლელი საქმიანობა ნათელი გახდა მას შემდეგ, რაც ჩვენში გაჩნდნენ ამქარგარეშე ხელოსნები, რომელთაც არ სურდათ ამქრებში გაერთიანებით შეეზღუდათ თავი, დამორჩილებოდნენ მას და თავისუფალი საქმიანობის უფლება დაეკარგათ. თავის მხრივ არც მეფის რუსეთის მოხელეები და, საერთოდ, ხელისუფლება ზრუნავდა მათ ამქრებში გაერთიანებაზე. ამქარგარეშე ხელოსნები მუდამ უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ ამქრების მიერ მათი შევიწროვების გამო, არც ეს უკანასკნელნი უყურებდნენ გულდამშვიდებით ხელოსანთა ზემოდასახელებულ კატეგორიას, რომელთაც ხელისუფლება მთელ რიგ შეღავათებს ანიჭებდა. ასე მაგალითად, 1846 წელს თბილისში 60 ოსტატის ჩამოსვლასთან დაკავშირებით გაზ. „კავკაზი" აღნიშნავდა: „მით უფრო საბედნიეროა თბილისისათვის ასეთი დახელოვნებული ოსტატების დიდი რაოდენობით ჩამოსვლა, რომ ისინი ბევრად უფრო იაფად ჯდებიან ვიდრე ისინი, ვისაც ჩვენ მივმართავდით აქამდე, უკეთესის უყოლობის გამო... და უნდა მეტი ფული გადაგვეხადა საშუალო ღირსების სამუშაოში". ჩამოსულ ხელოსნებს ხელისუფლება დროებით შეღავათებს აძლევდა გადასახადების გადახდის თუ სხვა საქმეში. 1843 წელს თბილისში სპეციალური კომიტეტი დაარსდა, რომლის დანიშნულებასაც შეადგენდა ჩამოსული ხელოსნების მფარველობა[1].

სწორედ ასეთ პირობებში შეიქმნა აზრი ამქრობის ინსტიტუტის გაუქმების შესახებ. ამ მოსაზრების გარშემო ორი დაჯგუფება გაჩნდა. ერთნი მტკიცედ იცავდნენ ამქრული ორგანიზაციის პრინციპებს, მეორენი მომხმარებელთა და თავისუფალი კონკურენციის ინტერესებიდან გამომდინარე აყენებდნენ ყველა, და მათ შორის, სავაჭრო ამქრების გაუქმების მოთხოვნას. ამქრობის აპოლოგეტთა შორის უნდა

[1] П. Гугушвили, Развитие промышленности в Грузии и Закавказье в XIX—XX вв., Тбилиси, 1957, გვ. 52—53.

დავასახელოთ ახვერდოვი. მან 1850 წელს კავკასიის მეფისნაცვალს წარუდგინა თავისი ე. წ. „წერილები“, რომელშიც იცავს ამქრული ორგანიზაციის არსებობის ინტერესებს. სწორედ ამ დროს, 1850 წელს თბილისის გუბერნიის მმართველობამ მეფისნაცვლის წინაშე დააყენა საკითხი ამქრების გაუქმების შესახებ, მაგრამ ეორონცოვმა, გაუწია რა ანგარიში საუკუნეებით დაკანონებულ ტრადიციას, თავი შეიკავა ამ ღონისძიებისაგან. სამაგიეროდ მან სხვა გზას მიმართა:

„... желая в тоже время—ეკითხულობთ ერთ-ერთ ცნობაში — дать возможность прибывшим в значительном количестве иногородным и иностранным ремесленникам соединиться в одно целое и вместе с тем привлечь здешних мастеров к более правильному управлению, он (ეორონცოვმა—ნ. რ.) предложил, сохранить существующие амкары, учредить ремесленную управу для русских и иностранных ремесленников с предоставлением и туземным ремесленникам права вступать в цех по желанию[2].“ ეს პროექტი დამტკიცებულ იქნა 1852 წლის 3 მაისს, მაგრამ მისი გატარებისას წააწყდნენ მთელ რიგ წინააღმდეგობებს კავკასიის კომიტეტის მხრივ და, დროებით, კვლავ ძალაში დარჩა თბილისის ხელოსნების ძველი ორგანიზაცია. ამის შემდეგ, 1859 წლის 21 ოქტომბერს გამოიცა ახალი კანონი, რომლის მიხედვითაც რუსი და უცხოელი ხელოსნები დატოვეს ძველ მდგომარეობაში, ე. ი. ქალაქის მმართველობის განკარგულებაში; მათ შეეძლოთ ემუშავათ ამქარგარეშე[3]. ეს კანონი ძირს უთხრიდა ამქრული ორგანიზაციის არსებობას, ქმნიდა პირობებს მისი დაშლისათვის.

60-იანი წლების დამდეგიდან უფრო აშკარა შეიქნა ამქრობის შეუსაბამობა სინამდვილესთან. 1862 წელს თბილისის გუბერნატორი თავის ანგარიშში აღნიშნავდა: «Существование подобных корпораций, каковы амкарства, имеет

---

[2] სცსა, ფ. 199. საქ. 89, ფურც. 6.

[3] პ. გუგუშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 63.

свои капитальные недостатки, из коих главный — взаимное и общее соглашение при повышении цен, при чем ни один из членов, состоящих в амкарстве не смеет под страхом наказания, отступить от распоряжений сделанных уставлением"[4].

ამქრობის გაუქმება დააჩქარა 1865 წლის ივლისის ამბებმა თბილისში, რომელიც „ამქართა გამოსვლის" სახელწოდებით არის ცნობილი.

1867 წლის 5 აპრილს გამოიცა კანონი ამქრების შესახებ. ამ დებულების მიზანი იყო სავაჭრო ამქრების გაუქმება, რომელთაც მიეკუთვნებოდა 1865 წლის ამბებში ყველაზე აქტიური მარკიტანტების ამქარი. კანონი ითვალისწინებდა ხელოსანთა ამქრების გარკვეული რაოდენობის შექმნას, რომელთა რიცხვში იქნებოდა რამდენიმე მუშათა არტელიც. სულ ნავარაუდევი იყო 21 ასეთი ამქარი. ამ კანონით ამქრებმა დაკარგეს დამოუკიდებლობა, ისინი დაუმორჩილეს იმავე წლის 17 ივნისს თბილისში გახსნილ სახელოსნო სამმართველოს, რომელიც მუდმივ კონტროლს გაუწევდა ამქრების საქმიანობას.

დამტკიცდა 17 სახელოსნო ამქარი:

№	დამტკიცებული ამქრების სახელწოდება	ხელოსნები, რომლებიც მათში უნდა გაერთიანებულიყვნენ	რაოდ.
	1	2	3
1	მეპურეთა და მეფუნთუშეთა	მეპურეები	3
		ხაბაზები	1
		მეკონდიტრენი და მეფუნთუშენი. მათში შესვლა შეეძლოთ მოსულ ხელოსნებსაც სურვილის მიხედვით.	
2	მეწაღეთა და ბარაბების	ევროპული ფეხსაცმლის მკერავნი	1
		აზიური " "	1
		თურქული " "	1
		ქართული ფეხსაცმლის მკერავი	1
		სპარსული " "	1
		მეჯღანეები (ფინაჩები)	1
		მექალამნეები	1
		მოსული მეწაღენი და ხარაზები სურვილის მიხედვით.	1

[4] პ. გუგუშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 112.

№	დამტკიცებული ამქრების სახელწოდება	ხელოსნები, რომლებიც მათში უნდა გაერთიანებულიყვნენ	რაოდენობა
	1	2	3
3	მეუნაგრეთა, მეკეხეთა, მექეჩეთა, მატყლის მპენტავთა	მეუნაგრეები მექეჩენი და მატყლის მპენტავნი	2 1
4	მექურქენი, მებეწვენი და მექუდენი	მექურქე და მებეწვე ქართული ქუდის ხელოსნები ევროპული	1 1 1
5	მკერავები	აზიური ტანსაცმლის მკერავები ევროპული	2 1
6	დურგლები	არსებული ამქრები; როგორც ადგილობრივი, ისე მოსული ხელოსნები; ხარატები;	1
7	მგკარეტეები, გადამკრავები, ორთვალას და ფურგონის მკეთებელნი	მეკარეტეების და გადამკვრელების (обойщик) ადგილობრივი და მოსული ხელოსნები ზეინკლებთან, მეკარეტეებთან, მღებარებთან და გადამკვრელებთან ერთად	1
8	მღებარები და გადამხურავები	ამავე ამქრის მღებარები და მათთან ერთად გადამხურები	1
9	თოქმაჩნი (медник), მეთუნუქე და მელამფენი	არსებული ხელოსნებისაგან შემდგარი: მეფარნეები მექვაბეები მკალავები	1 1 1
10	ვერცხლის და ოქროს საქმის ოსტატები	ჩამომსხმელები და თოქმაჩები, ვერცხლის საქმის ოსტატები, მებრილიანტენი იუველირები, მესაათეები და ტვიფრის ამომჭრელები	1 1 1
11	დალაქები	დალაქებს შეუძლიათ შეუერთდნენ 4 ჩამოსულ პარიკმახერს	1
12	მეიარაღენი	ხანჯლის და ხმლის ქარქაშის მკეთებელნი, ოქროს ხარნიშის მკეთებელნი, იარაღის კონდახის საკეტის მკეთებელნი, შეუძლიათ შეუერდნენ ჩამოსულ ორ იარაღის მკეთებლებს	1 1 4
13	მკედლები და ზეინკლები	მკედლები ქართული ჩექმების მენალეები და დანების მკეთებელნი (ბიჩახჩი)	1 1
14	მღებავები	მღებავები შეუძლიათ შეუერთდნენ ჩამოსულ ორ მღებავს	1
15	მეყაინათენი, მებუხმენტენი და ოქრომქსოველნი	მეაბრეშუმეები და მესირმეები შეუძლიათ შეუერთდნენ ადგილობრივ ოქრომქსოველებს	1

№	დამტკიცებული ამქრების სახელწოდება	ხელოსნები, რომლებიც მათში უნდა გაერთიანებულიყვნენ	მათი ნ.
	1	2	3
16	მექოთნენი და მეაგურენი	მექოთნენი მეაგურენი შეუძლიათ შეუერიდნენ მოსულ	1 2
17	მეტყავეები	მექოთნეებს მეტყავეები მეტიკეები	1[5]

ამქართა ამ სიაში შეყვანილი არ იყვნენ მიწის მთხრელები, ქვაფენილის მკეთებელნი, კალატოზები, ქვისმთლელები, ხუროები, მებათქაშენი და ის ხელოსნები, რომელთა ამქარში 5 კაცზე ნაკლები შედიოდა[6]. მათგან დამტკიცდა 4 მუშათა არტელი[7].

	დამტკიცებული არტელის სახელწოდება	რომელი ხელოსნები შედიოდნენ მათში	მათი რაოდენობა (ამქრები)
1	ხუროების და მხერხავების	ხუროები და მხერხავები	7
2	ქვისმთლელები, კალატოზები, ქვისმტეხები და მებათქაშენი	კალატოზები და მებათქაშენი	6
		ქვისმთლელნი	1
		ქვის მტვრეველნი	1
3	მუშები (მეკურტნე)	მუშა	6
4	თულუხჩები	თულუხჩი	2

სახელოსნო სამმართველოს მიერ დამტკიცებულ 17 ამქარში წინასწარ ნავარაუდევი იყო ხელოსანთა რაოდენობაც (უნდა ვიფიქროთ, რომ ხელისუფლება ამ გზით ცდილობდა ამქრების მდგომარეობის გათანაბრებას ან უკეთეს შემთხვევაში რომელიმე მათგანის გაძლიერების თავიდან აცილებას), კერძოდ:

---

[5] სცსა, ფ. 414, ანაწ. 1, საქ. 13, ფურც. 146—147. პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 114—115.

[6] სცსა, ფ. 192, ანაწ. 3, საქ. 2, ფურც. 5.

[7] სცსა, ფ. 415, ანაწ. 1, საქ. 13, ფურც. 146—147.

პირველში[8]—ოსტატი და ქარგალი შეიძლებოდა ყოფილიყო 230-მდე; შეგირდი 189.
მეორეში—ოსტატი 316; შეგირდი—207.
მესამეში—ოსტატი და ქარგალი—50, შეგირდი—27.
მეოთხეში—ოსტატი და ქარგალი·68, შეგირდი—73.
მეხუთეში—ოსტატი და ქარგალი—240, შეგირდი—186.
მეექვსეში—ოსტატი და ქარგალი—93, შეგირდი—93.
მეშვიდეში—ოსტატი და ქარგალი—173, შეგირდი 140; მუშა მღებავი—27.
მერვეში—ოსტატი და ქარგალი—114, შეგირდი—84.
მეცხრეში—ოსტატი და ქარგალი—116, შეგირდი—102.
მეათეში—ოსტატი და ქარგალი—62, შეგირდი—73.
მეთერთმეტეში—ოსტატი და ქარგალი—58, შეგირდი—21.
მეთორმეტეში—ოსტატი—109, შეგირდი—2.
მეცამეტეში—ოსტატი და ქარგალი—200, შეგირდი—107, მუშა—28.
მეთოთხმეტეში—ოსტატი—22, შეგირდი—18.
მეთხუთხმეტეში—ოსტატი და ქარგალი—26, შეგირდი—43.
მეთექვსმეტეში—ოსტატი და ქარგალი—39, შეგირდი—20.
მეჩვიდმეტეში—ოსტატი—667.

ამათ გარდა:

მექოთნეებს შეეძლოთ ყოლოდათ ოსტატი—29, შეგირდი—20 მუშა—45.
მეტყავეებს—ოსტატი 134, შეგირდი—92.
თულუხჩებს (მეპატრონე)—95, მუშა—25.
მუშა (მეპატრონე)—სულ 208 კაცი.
ქვისმთლელებს და ქვისმტეხებს—სულ ოსტატი 57 კაცი.
მექეჩეებს და მატყლის მპენტავებს—ოსტატი 16, შეგირდი—8[9].

1867 წელს გატარებული ღონისძიების მიზანი და ხასიათი კარგად ჩანს ამავე წელს გამოცემულ დებულებაში, რომელსაც ეწოდება „Положение о ремесленных амкарах (цехах) в городе Тифлисе и об их управлении“, სადაც

---

[8] დაცულია ზემოთ მოტანილი 17 ამქრის სიის ნუმერაცია.
[9] სცსა, ფ. 414, ანაწ. 1, საქ. 13, ფურც. 132—133—134.

ცალკეული პარაგრაფები პირდაპირ აკანონებენ ამქრების დამოუკიდებლობის შეზღუდვას მინიმუმამდე და მათ დაქვემდებარებას სახელოსნო სამმართველოსადმი. ამასთანავე, ამ დებულებაში ფიქსირებულია ის ახალი მომენტები ხელოსნობაში, რომლებიც იჩენენ მასში თავს ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის გაჩენასა და განვითარებასთან ერთად. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი.

დებულების პირველი პარაგრაფის მიხედვით ამქარში გაერთიანება შეეძლოთ იმ პირებს, რომლებიც მისდევდნენ რაიმე ერთგვაროვან ხელობას და შეადგენდნენ ერთ ორგანიზაციას (общество-ს) ამქრის სახელწოდებით. ამა თუ იმ ხელობის ხელოსანთა სიმცირის შემთხვევაში შეიძლებოდა მათი შეერთება ხელობით და ინტერესებით ახლომდგომ ამქრებთან. მეორე პარაგრაფში აღნიშნულია: „Существующие ныне амкарства составляют впредь семнадцать амкарств, поименованных в особо утвержденном списке. Каждое амкарство по умножении в нем мастеров и работы может разветляться на столько частей, на сколько то мастерство делится может. Равным образом и отдельные, однородные амкарства могут соединяться в одно[10]“.

დებულების მე-5 პარაგრაფში ფორმულირებულია თუ როგორი უნდა იყოს ხელოსნური წარმოება, ეს პუნქტი ჩვენთვის ძალიან საინტერესოა. მასში ნათქვამია:

„Промысел амкарских ремесленников: а) ручною работою разных вещей приобретать себе содержание, б) в мастерской своей иметь наемных подмастерьев и от работы

---

[10] ეს ორი პარაგრაფი თავისებურად გამოხატავს 1867 წლის დებულების ბუნებას. კერძოდ, პირველი ნებაყოფილობითი გზით უშვებს მონათესავე ამქრების შეერთებას ერთ ამქარში; ხოლო § 2 ცხადყოფს, რომ ნებაყოფლობის პრინციპი ნაკლებად იყო დაცული ასეთ შემთხვევაში. 17 ამქარი და მათში გაერთიანებული ხელობები წინასწარ იქნა დამტკიცებული ისე, რომ მხედველობაში მიღებული არ ყოფილა ამქართა ნება-სურვილი, და კიდევ მეტიც, ზოგჯერ ერთ ამქარში გაერთიანებულ ხელობებს მცირე რამ საერთოც კი არ აკავშირებდათ.

их получать себе выгоды, в) для работы по своему мастерству служить за плату на фабриках и заводах, г) учить своему мастерству учеников за плату или какую-либо выгоду, д) отдавать в наем свою устроенную мастерскую и инструменты".

აქედან კარგად ჩანს ის გარდაქმნები, რომლებიც საერთოდ ხელოსნურმა წარმოებამ განიცადა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისთვის. მასში პირდაპირ ფიქსირებულია ხელოსნების უფლება დაიქირაონ ქარგლები და მათი შრომით მოგება მიიღონ. ეს მომენტი კაპიტალისტური წარმოების ნიშნის შეკრაა ხელოსნურ წარმოებაში. ქარგალი იქცევა დაქირავებულ მუშად. ამიტომაცაა მრავალი ფაქტი იმისა, რომ ოსტატი ხელოსნები აპიანურებენ ქარგლების გაოსტატებას, აძლიერებენ ქარგლის და შეგირდის ექსპლოატაციას და ამით მეტ მოგებას იღებენ.

ეს მომენტი შემდგომ გაღრმავებას პოულობს დებულების მეოთხე თავის (ოსტატების შესახებ) § 1-ში, სადაც განმარტებულია თუ ვინ არის ოსტატი. ოსტატი შეიძლება იყოს ის ხელოსანი, რომელიც ან თვითონ ეწევა რაიმე ხელობას ცალკე დუქანში, ან აქვს სახელოსნო, სადაც დაქირავებული ქარგლები და შეგირდები მუშაობენ. როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში ოსტატს შეუძლია გაყიდოს თავისი სახელოსნო პროდუქტი; უნდა შეეძლოს სახელოსნოს გახსნა, ჰქონდეს იმდენი ინსტრუმენტი, რაც ეყოფა მას და ერთ ქარგალს მაინც მუდმივად სამუშაოს შესასრულებლად. „Мастер должен быть такой ремесленник, который совершенно знает ремесло свое, пробыл три года подмастерьем, имеет аттестаты мастеров у коих работал, в состоянии завести мастерскую, имеет столько инструментов, сколько для него, и по крайней мере одного подмастерья нужно к безостановочному отправлению работы и притом должен мастер быть беспорочного поведения" [11]— ვკითხულობთ

[11] სცსა, ფ. 192, ანაწ. 3, საქ. 3, ფურც. 98.

თბილისის საქალაქო მმართველობის 1868 წლის 15 მარტის სხდომის დადგენილებაში.

დებულებით დაშვებულია ორივე შემთხვევა, როცა ხელოსანი (ოსტატი) თვითონ ასრულებს სამუშაოს და მეორე, „როგორც კი დაქირავებული მუშების რიცხვი აღწევს 10-ს ან გადაამეტებს ამ ციფრს, მეპატრონე არა თუ სწყვეტს ხელით მუშაობას, არამედ თითქმის თავსაც კი ანებებს მუშებზე პირადად ზედამხედველობას; ის ნიშნავს მთავარ ოსტატს, რომელიც თვალყურს ადევნებს მომუშაეებს... აქ ის უკვე იქცა პატარა კაპიტალისტად“ [12].

ახლა ქარგლების შესახებ. უპირველეს ყოვლისა უნდა შევეხოთ საერთოდ ქარგლის ინსტიტუტის საკითხს ქართულ ამქარში. შ. მესხიას ახლახან გამოცემულ ნაშრომში აღნიშნულია, რომ ქარგლობის ინსტიტუტი საქართველოში თვით XIX საუკუნეშიაც კი არ გაფორმებულა საბოლოოდ და ცალკეულ ამქრებში არსებული ქარგლებიც „ოსტატის ამხანაგის“ მნიშვნელობითაა ნახმარი. „В XIX—XX веках в некоторых цехах института подмастерьев не существовало вовсе. А если где-нибудь в отдельных цехах подмастерья и были в том или ином виде, то они, так же как и „товарищи мастера“ в XVII—XVIII вв. юридически и экономически были почти уровнены с мастерами“[13].

ქარგლების ინსტიტუტის არსებობის საკითხს და თვით ამ ტერმინის შინაარსს ჩვენ არ ვეხებით, მაგრამ ზემოთ მოტანილი მსჯელობა გაუგებრობას იწვევს. ჩვენი აზრით XIX—XX საუკუნეებში ამა თუ იმ სახელოსნოში არსებული ქარგლების გათანაბრება იურიდიულად და ეკონომიურად მე-17—18 საუკუნეების „ოსტატის ამხანაგთან“ მიუღებელია, რადგან როგორც თვითონ პროფ. შ. მესხია აღნიშნავს, „как юридическое, так и экономическое положение „товарища

---

[12] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 415—416.

[13] Ш. Месхиа, Города и городской строй феодальной Грузии, XVII—XVIII вв., Тб., 1959, გვ. 375.

мастера" мало отличалось от положения того мастера, „товарищем" которого он считался"[14]. ხოლო XIX საუკუნის მეორე ნახევრის ხელოსნებში მოხსენებული ქარგლები უმეტეს შემთხვევაში კვალიფიციური დაქირავებული მუშის სახით წარმოგვიდგებიან, რომლებიც არამცთუ გათანაბრებული არ არიან ეკონომიურად და იურიდიულად ოსტატთან, არამედ ამ უკანასკნელის სასტიკი ექსპლოატაციის ობიექტს წარმოადგენენ.

იმავე დებულებით „подмастерье есть ремесленник, занимающийся мастерством по найму у хозяев мастерских заведений"[15]. ქარგალი ის ხელოსანი იყო, რომელიც დაეუფლებოდა ხელობას და ცოდნის სრულყოფის მიზნით სამი წელი იქნებოდა რომელიმე ოსტატთან. ქარგალს მამასახლისი აძლევდა სპეციალურ წიგნაკს, რომელშიც აღნიშნული იყო, თუ როდის დაიწყო მან მუშაობა და როგორი ცოდნა გამოამჟღავნა. ოსტატად გადაყვანისთვის ქარგალს უნდა წარედგინა სახელოსნო სამმართველოში სასინჯი ნამუშევარი, რომელსაც განიხილავდა სპეციალური ექსპერტი და ამის შემდეგ მიაკუთვნებდნენ ოსტატის წოდებას[16]. მაგრამ როგორც ზემოთაც გვქონდა აღნიშნული, ქარგალი ზოგჯერ წლების მანძილზე რჩებოდა ოსტატთან დაქირავებული მუშის მდგომარეობაში.

ამქრებს განაგებდა საერთო სახელოსნო სამმართველო, რომელშიც მთავარი „სახელოსნო მამასახლისის" გარდა მონაწილეობდნენ ამქრის უსტაბაშები (§ 7). მთავარ „სახელოსნო მამასახლისს" ირჩევდნენ სამი წლის ვადით ამქრის უსტაბაშები და თითოეული ამქრიდან არჩეული ორ-ორი ხმოსანი. მის თანამდებობის ამტკიცებდა საქალაქო მმართველობა. მას შეეძლო უსტაბაშების კრების მოწვევა ქალაქის მთავარ პო-

---

[14] Ш. Месхиа, Города и городской строй феодальной Грузии, XVII—XVIII вв., 1959, Тб., გვ. 373.

[15] Положение о Тифлисских амкарах, § 41.

[16] სცსა, ფურც. 192, ანაწ. 3. საქ. 3, ფურც., 98 (თბილისის საქალაქო მმართველობის 1868 წლის 15/III სხდომის ოქმიდან).

ლიცმეისტერთან შეთანხმებით, თვალყურს ადევნებდა უსტა-ბაშების საქმიანობას, ამოწმებდა ამქრის სალაროებს და სხვ.

სახელოსნო სამმართველო განაგებდა ყველა სახელოსნო ამქარს, იხილავდა ხელოსანთა საჩივრებს, ამტკიცებდა ოსტატებს და ქარგლებს.

დებულების თანახმად ამქარში შესვლა შეეძლო ყველა პირს, ვინც კი თბილისში რაიმე ხელობას ეწეოდა და შეიტანდა სახელოსნო სამმართველოში განცხადებას. თითოეული ამქრის წევრი იხდიდა სახელმწიფო, საერობო და საქალაქო გადასახადს იმ წოდების მიხედვით, რომელსაც ის ეკუთვნოდა. გარდა ამისა იხდიდა ამქრის სასარგებლო გადასახადსაც.

დებულება სულ შედგება 66 პარაგრაფისაგან.

ახალი დებულებით არც ამქარი იყო სრულიად უუფლებო. იგი ირჩევდა და გადააყენებდა უსტაბაშს, მის თანაშემწეებს. ამქრის წევრებს შეეძლოთ შეთანხმებულიყვნენ თავიანთი დამზადებული საქონლის გასაყიდი ფასების დადგენაში. სხვადასხვა ამქრის წევრთა რიცხვი თანაბარი არ იყო. დოკუმენტში „Об устройстве амкарств в Тифлисе“ პირდაპირ აღნიშნულია, რომ „...в важных амкарствах, как например: кожевников, портных, плотников, бакалейщиков и пр. число семейств доходит от 5 до тысячи, а в многих других амкарствах число семейств простирается только до ста и даже до 50“ [17].

სახელოსნო დებულების გატარებისთანავე გამოჩნდა მთელი რიგი წინააღმდეგობანი, რომელთაც ცალკეული ამქრები ამეღავნებდნენ ამ ღონისძიების მიმართ. საილუსტრაციოდ მოვიტანოთ ერთი ფაქტი. თბილისის სახელოსნო სამმართველოს 1867 წლის 5 სექტემბრის სხდომის ოქმში აღნიშნულია, რომ დურგლების საზოგადოების სიების შედგენისას წინააღმდეგობას ჰქონდა ადგილი სპარსეთის ქვეშევრდომ, თბილისში მცხოვრები 5 ხელოსნის მხრივ, რომელთაც უარი განაცხადეს დამორჩილებოდნენ 1867 წლის 5 აპრილის დად-

---

[17] სცსა, ფ. 414, ანაწ. 1, საქ. 13, ფურც. 84.

გენილებას. ისინი იმუქრებოდნენ, რომ მიიმხრობდნენ სხვა ხელოსნებსაც და შექმნიდნენ ცალკე ამქარს. მათ საქმეში სპარსეთის კონსულიც კი ჩარიეს. ისინი უარს ამბობდნენ ხუროებთან ერთად ერთ ამქარში გაერთიანებაზე, იმ მიზეზით, რომ მათ თითქოს სპარსეთში დიდძალი ვალი ჰქონდათ და აქ ჩამოვიდნენ საჭირო ფულის შესაგროვებლად. თუკი ამქარში ჩავეწერებით, მაშინ უნდა ავყვეთ სხვებს იმ მხიარულებაში, რასაც აქაური ამქრის წევრები მიმართავენ ხოლმე, ესეც არ იყოს ამქარში ახდევინებენ უამრავ ჯარიმებს და ჩვენ მათი გადახდა არ შეგვიძლიაო[18].

სპარსეთის კონსულს შუამდგომლობაც კი აღუძრავს ამ საკითხზე, მაგრამ თბილისის საქალაქო მმართველობამ მომჩივანთა თხოვნა არ ცნო მისაღებად და კანონისადმი დაუმორჩილებლობის გამო თითოეული მათგანი დააჯარიმა 15 მანეთით[19].

ასეთი წინააღმდეგობა ბევრი იყო ახალი ღონისძიებისადმი, მაგრამ ისინი თანდათან დაძლეულ იქნენ, ხოლო ზოგი თვით XIX საუკუნის ბოლოსაც ვლინდებოდა.

ოსტატად დამტკიცების შემთხვევაში სახელოსნო სამმართველო ხელოსანს აძლევდა ატესტატს, ხოლო ქარგლად დამტკიცებისას—მოწმობას.

1878 წელს თბილისის სახელოსნო სამმართველომ გასცა 160 ატესტატი; 1878 წელს—264; 1882 წელს—400-ზე მეტი

1883	წელს	ატესტატი	და	მოწმობა	—	200-მდე
1884	„	„	„	„	—	150
1885	„	„		„	—	208
1886	„	„			—	527
1889		„		„	—	368
1890	„	„		„	—	309[20]

---

[18] სცსა, ფ. 414, ანაწ. 1, საქ 3. ფურც. 56—57.

[19] იქვე.

[20] სცსა, ფ. 199, საქ. 2.

1891	წელს	ატესტატი	და	მოწმობა	—	314.
1892	„	„	„	„	—	222
1893	„		„		—	319
1894	„	„	„		—	238
1895	„	„		„	—	240
1896		„		„	—	351
1897		„		„	—	404
1898				„	—	155
1899				„	—	326
1900		„	„		—	205 [21]
1901		„		„	—	157
1902		„	„	„	—	103
1903			„	„	—	359
1904			„	„	—	412
1905			„	„	—	150
1906		„		„	—	121
1907	„	„	„	„	—	143
1908	„	„	„	„	—	179
1909			„		—	297
1910			„		—	281 [22]

ეს მონაცემები ამოკრეფილია ატესტატების გაცემის წიგნებიდან. ისინი ძალზე უთანაბრონი არიან და ბევრი არც შეესაბამება სინამდვილეს, მაგრამ ერთი რამ კი ცხადია— მთელი XIX საუკუნის მეორე ნახევრის მანძილზე, გარდა რამდენიმე წლისა (1882, 1886 და 1897), საერთოდ არ შეიმჩნევა ოსტატების და ქარგლების რიცხვის განსაკუთრებული ზრდა.

900-ანი წლების დამდეგისათვის სახელოსნო სამმართველოს ხარჯებისათვის ოსტატს ახდევინებდნენ წლიურად 60 კაპიკს, ქარგალს 30 კაპ. არახელოსნური სახელოსნოს მეპატრონე წლიურად 10 მან. იხდიდა.

---

[21] იქვე, საქ. 4.

[22] სცსა, ფ. 199, საქ. 5.

ამქარში ახლად გაერთიანებული ოსტატი ატესტატისათვის იხდიდა 3 მანეთს, ქარგალი მოწმობისათვის 1 მ. 50 კაპ.[23]. დაახლოებით ასეთივე ზომის იყო გადასახადები XIX საუკუნის მეორე ნახევარშიც. ის ფაქტი, რომ არახელოსნური ამქრის ოსტატი იხდიდა 10 მან., მოწმობს თუ რაოდენ ზღუდავდა სახელოსნო სამმართველო ასეთი ამქრების არსებობას.

1867 წელსვე დამტკიცდა ყველა ამქრის უსტაბაში და ხმოსანი. მთავარ „სახელოსნო მამასახლისად" (ремесленная голова) არჩეულ იქნა მკერავთა ამქრის უსტაბაში სტეფანე ჯანიევი.

მეპურეებში—უსტაბაში თბილისის მოქალაქე პეტრე უზბაშევი, კანდიდატად არუთინ აკოპოვი.

ხმოსნები—თბილისის მცხოვრები ქაიხოსრო სულაძე და თბილისის მოქალაქე ქრისტეფორე კლოცი.

მეწაღლეებში—უსტაბაში თბილისის მოქალაქე აკოფ საბაკოვი, კანდიდატი ოსეფა ოგანეზოვი.

ხმოსნები—მეწაღლეები ასლან ცოვიანოვი და ლუდვიგ შვარცი.

მეუნაგირეებში—უსტაბაში თბილისის მცხოვრები მელქო დარჩიევი, კანდიდატი საააკ ოგანეზოვი.

ხმოსნები—თბილისის მოქალაქე მეუნაგრეები — პეტრე ჩეტვერნიკოვი და თბილისის მცხოვრები გიგოლა ალაჯანოვი.

მექუდეებში —უსტაბაში თბილისის მოქალაქე მექუდე გეოცოვიანოვი, კანდიდატი ასლან ფირუმოვი.

მკერავებში—უსტაბაში სტეფანე ჯანიევი.

ხმოსნები—თბილისის მოქალაქე მკერავები შაქარ არუთინოვი და სტეფანე ბაინდუროვი.

დურგლებში—უსტაბაში თბილისის მცხოვრები გრიგოლ კოსტანდოვი.

მეკარეტეებში—უსტაბაში თბილისის მოქალაქე მეკარეტე ანდრია კოტრინი, კანდიდატი ერნესტო ზომერი.

ხმოსნები—თბილისის მცხოვრები მეეტლე არტემ აბოევი და თბილისის მოქალაქე დავით მეიერი.

---

[23] სცსა, ფ. 199, საქ. 11, ფურც. 8.

მღებრებში (малиры)— უსტაბაში თბილისის მოქალაქე მხურავი პეტრე სემიონოვი, კანდიდატი ბოგინოვი.

ხმოსნები—თბილისის მოქალაქე მღებარი ონან სკანდეროვი და თბილისის მცხოვრები მხურავი გრიგოლ რახმანინოვი.

მეფარნეებში—უსტაბაში თბილისის მოქალაქე თოქმაჩი აბრამ ბიბილური.

ხმოსნები—თბილისის მცხოვრები თოქმაჩი ასატურ ამირჯანოვი და მელამპე კონსტანტინე გალაქტიონოვი.

ვერცხლის საქმის ოსტატებში—უსტაბაში იოსებ კერაკოშვილი.

ხმოსნები—თბილისის მოქალაქე იუველირი დიაქშინი და მებრილიანტე ავეტიქ ბებუროვი.

დალაქებში — უსტაბაში თბილისის მცხოვრები ივანე ჯამასპოვი, კანდიდატი ალექსი ასლამაზოვი.

ხმოსნები—თბილისის მოქალაქე პარიკმახერი არზუმან შახნაზაროვი და თბილისის მცხოვრები დალაქი გიორგი ზურებოვი.

მეიარაღენი—უსტაბაში თბილისის მცხოვრები იარაღის მკეთებელი სოლომონ კაგაროვი.

ხმოსნები—თბილისის მოქალაქე ოგანეზ ტოტინოვი და თბილისის მცხოვრები მეზარნიშე სოლომონ სარქისოვი.

მჭედლებში—უსტაბაში თბილისის მცხოვრები მენალე კაზარ არუთინოვი.

ხმოსნები—მჭედელი თბილისის მცხოვრები ზურაბ ახნეროვი და მენალე იოსებ კირსაკოვი.

მღებავებში—უსტაბაში მღებავი თბილისის მცხოვრები ხაჩატურ არუთინოვი, ხმოსნები: თბილისის მცხოვრები მღებავები ნაზარ გრიქუროვი და ნაპეტოვი.

მეაბრეშუმეებთან—უსტაბაში თბილისის მცხოვრები კარაპეტ ალავერდოვი, ხმოსნები: ხაჩატურ არუთინოვი და ოქრომქსოველი ივანე ერიჯანოვი.

მეაგურეებში—უსტაბაში მეაგურე პავლე ლომსაძე. კანდიდატი პეტრე ალავერდოვი.

ხმოსნები — თბილისის მცხოვრებნი მეაგურე გიორგი კარაპეტოვი და მექოთნე ავეტიკ ამირბეგოვი.

მეტყავეებში — უსტაბაში თბილისის მცხოვრები მეტყავე ივანე ყარაჯევი, კანდიდატი გეო გოზალოვი.

ხმოსნები — თბილისის მცხოვრები მეტყავეები ოვაქიმ ავეტიკოვი და აგრილოვი[24].

1867 წლის სახელოსნო დებულებას მისივე თანამედროვე თბილისის გუბერნატორი ასე აფასებდა; „... изданное в 1867 году положение об управлении ремесленными цехами было вызвано настоятельною необходимостью оградить интересы населения от пагубного влияния амкарских общин. Все благомыслящие люди отнеслись к нему вполне доброжелательно; тем не менее быв введено... положение это действует лишь номинально и пройдут еще многие годы пока она привьется и даст те благие плоды, на которые правительство расчитывало.“ [25] ამ განცხადებიდან ნათელია, რომ ახალმა კანონმა საბოლოოდ ვერ აღმოფხვრა ამქრობის ძალა და ავტორიტეტი. მთელი XIX საუკუნის მეორე ნახევრის მანძილზე ადგილი ჰქონდა დებულების დარღვევის ფაქტებს, არ იყო დაცული ამქართა რაოდენობაც და სხვა აუცილებელი პუნქტები. ამის მაგალითები XX საუკუნის დამდეგსაც ბევრი იყო. 1914 წელს თბილისის სირაჯები გუბერნატორისადმი გაგზავნილ თხოვნაში აღნიშნავდნენ, რომ ამ დროისათვის თბილისში „... в списках общей Ремесленной Управы в действительности существует не 17, а 52 цеха, которые в свое время получили должное утверждение, управляются своими устабашами, имеют свои цеховые значки, печати и пр“[26].

---

[24] სცსა, ფ. 192, ანაწ. 3, საქ. 3, ფურც. 21—22.

[25] სცსა, ფ. 416, ანაწ. 3, საქ. 814, ფურც. 8—8.

[26] სცსა, ფ. 199, საქ. 40 ფურც. 13.

П. Гугушвили, Развитие промышленности в Грузии и Закавказье, в XIX—XX вв., 1957, тб. бз. 136.

1867 წლის დებულებით ამქრული ხელოსნობა გაუქმებულ იქნა. ეს მოვლენა ფაქტიურად განაპირობა კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებამ. ამ შემთხვევაში მოქმედებდა ორი ფაქტორი, ერთი წინააღმდეგობა თვით ამქრის შიგნით ოსტატსა, ქარგლებს და შეგირდებს შორის; მეორე კი გარეგანი—ეს იყო კაპიტალისტური მრეწველობის შეტევა.

სახელოსნო დებულება და ის გარდაქმნები, რომელთაც ადგილი ჰქონდათ ამ დროს თბილისის ხელოსნურ წარმოებაში იმ ბურჟუაზიული გარდაქმნების რიცხვს მიეკუთვნება, რომელიც გატარდა საქართველოში 60-იან წლებში. რეფორმამ ლახვარი ჩასცა ამქრულ გაერთიანებას, როგორც ძველი წარმოების წესის გადმონამთს და ამით გზა გაუკაფა კაპიტალისტური წარმოების შემდგომ განვითარებას.

ხელოსნური წარმოება თბილისში რეფორმისშემდგომ ხანაში

1867 წლის სახელოსნო დებულება და ამქრობის გაუქმება ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში მომხდარი ძვრებით იყო გაპირობებული. კაპიტალისტური წარმოების გაჩენამ ხელოსნობის მნიშვნელობა თბილისის ეკონომიკაში საგრძნობლად შეამცირა. რეფორმისშემდგომი ხანის თბილისის მრეწველობისადმი თვალის გადევნება ნათელყოფს, თუ როგორ ვითარდება, ერთის მხრივ, კაპიტალისტური მრეწველობა, როგორ დევნის იგი ცალკეული დარგებიდან ხელოსნობას და ზღუდავს მას. მაგრამ მიუხედავად ამისა, ხელოსნობა თბილისში არსებობდა XIX საუკუნის მეორე ნახევრის მანძილზე და XX საუკუნის დამდეგსაც გარკვეულ როლს თამაშობდა ქალაქის ეკონომიურ ცხოვრებაში.

ქვემოთ შევეცდებით ვაჩვენოთ XIX საუკუნის მეორე ნახევრის თბილისის ხელოსნობის სურათი, მისი დარგები, ხელოსანთა რაოდენობა, დაქირავებული შრომის გამოყენების საკითხი ხელოსანთა მიერ და სხვა.

ხელოსანთა აბსოლუტური რიცხვი თბილისში იზრდება 70-იან წლებშიც. 1870 წელს თბილისის ხელოსნების რაო-

დენობა შედარებით 1869 წელთან 280-ით გაიზარდა და მიაღწია 5004-ს[27]. ხელოსნობის ზრდას ამ დროისათვის, ისე როგორც საერთოდ მთელი მრეწველობისას, ხელი შეუწყო გზების მოწესრიგებამ და განსაკუთრებით ფოთი-თბილისის რკინიგზის გაყვანამ. ხელოსნური წარმოება უფრო მეტად თბილისსა და ახალციხეში იყო განვითარებული. „მე-19 საუკუნის რეფორმამდელ ამიერკავკასიაში თბილისი თითქმის ერთადერთი ქალაქი იყო, რომელიც თავისი ხელოსნობის ნაკეთობათ აგზავნიდა როგორც კავკასიის სხვადასხვა ქალაქებში, ისე უფრო იშვიათად რუსეთსა და უცხოეთში"[28]. აქაური ხელოსნური პროდუქციის დიდ ნაწილს სოფლებიდან ჩამოსულნიც იძენდნენ.

1868 –72 წლების მანძილზე ხელოსანთა რიცხვმა თბილისში იმატა შემდეგი ოდენობით[29]:

წლები	ოსტატი	ქარგალი	შეგირდი	ს უ ლ
1868	2628	1130	1157	4915
1869	2541	1063	1150	4754
1870	2610	1126	1268	5004
1871	3075	1643	1930	6648
1872	3154	1702	2005	6861

აქედან მუშახელის სიმრავლით გამოირჩეოდნენ დურგლები (953 კაცი), მკერავები (735 კაცი), მეფუნთუშენი და მეფურნენი (600 კაცი)[30]. ცხრილიდან ჩანს, რომ ხუთი წლის მანძილზე ხელოსანთა რიცხვი თბილისში გაზრდილა 39,5%. თუ შეადარებთ ხელოსნების რაოდენობას მთლიანად თბი-

---

[27] სცსა, ფ. 17, საქ. 79, ფურც. 18.
ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 17, д. 36, л. 131.

[28] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, ამჟრული ხელოსნობის დაშლა ამიერკავკასიაში, ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. VIII, 1953, გვ. 361.

[29] სცსა, ფ. 17, საქ. 8994 ბ, ფურც. 17.
ЦГИАЛ, ф 1268, оп. 18, д. 182, л. 236.

[30] იქვე.

ლისის მოსახლეობის რაოდენობას, მივიღებთ, რომ 1868 წელს (მუდმივი მოსახლეობა დაახ. 70.000 სული) ისინი შეადგენდნენ მთელი მოსახლეობის 7,9% (ოსტატი, ქარგალი, შეგირდი). საკუთრივ ხელოსნებიდან ოსტატები შეადგენდნენ 53,4%, ქარგლები დაახლ. 23% და შეგირდები—33,4%, ოსტატების რიცხვი მთლიანად ხელოსნების ნახევარზე მეტს შეადგენდა.

1875 წლისათვის თბილისში ხელოსანთა შემდეგი რაოდენობა გვაქვს[31].

ხელობის დარგების დასახელება	ოსტატი	ქარგალი	შეგირდი
I. მეპურეთა ამქარში			
1. მეპურე	134	193	24
2. ხაბაზი	82	156	5
3. მეფუნთუშე	17	56	4
4. მეკონდიტრე	3	7	4
II. მეწაღლეების ამქარში			
1. ევროპული ფეხსაცმლის მკერავი	225	139	109
2. აზიური „ „	75	30	11
3. თურქული „ „	30	11	13
4. ქართული წაღების „	28	7	18
5. სპარსული „ „	16	—	3
6. მეჯღანე „ „	7	—	—
III. მეუნაგრეთა ამქარში			
1. მეუნაგრე	14	12	11
2. მეკეხე	37	8	7
3. მეკეჩე	6	—	—
4. მატყლის მპენტავი	7	19	—
IV. მექურქეთა ამქარში			
1. მებეწვე	15	4	21
2. ევროპული ქუდების მკერავი	35	62	60
3. აზიური ქუდების „	103	37	56
V. მკერავთა ამქარში			
1. ევროპულ ტანსაც. მკერავნი	170	356	186
2. აზიური „ „	128	30	24

[31] სცსა, ფ. 192, ანაწ. ნ. საქ. 15, ფურ. 11—12.

ხელობის დარგების დასახელება	ოსტატი	ქარგალი	შეგირდი
VI. დურგლების ამქარში			
1. დურგლები	302	303	147
2. ხარატები	25	4	13
3. მეკასრე	10	14	8
VII. მეკარეტეების ამქარში			
1. ეეტლე	37	145	115
2. ფურგონებისა და ორთვალას მკეთებელნი	12	10	12
3. გადამკერელები	6	5	5
4. ზეინკალი	16	17	7
VIII. მღებარების ამქარში			
1. მღებარი	43	89	—
2. ფელამპე	31	11	22
3. მკალავი	38	7	28
4. თოქმაჩი	19	5	22
IX. ვერცხლის საქმის ოსტატთა ამქარში			
1. ვერცხლის ხელობის	86	28	98
2. იუველირი	38	23	43
3. მესაათე	26	3	18
4. ტვიფრის ამომკვრელი	3	—	—
X. პარიკმახერების ამქარში			
1. პარიკმახერი	15	16	13
2. დალაქი	114	81	44
XI. იარაღის მკეთებელთა ამქარში			
1. ხანჯლის და ხმლის ქარქაშის მკეთებელნი	17	6	2
2. ოქროს ხარნიშის მკეთებელნი	6	—	—
3. დანების მკეთებელნი	11	—	2
4 იარაღის კონდახის და საკეტის მკეთებელნი	10	4	6
XII. მჭედლების ამქარში			
1. მჭედლები	74	54	30
2. მენალეები	59	46	24
XIII. მღებავების ამქარში			
1. თბილისელი მღებავები	14	6	—
2. სპარსეთის ქვეშევრდომნი	14	43	—

ხელობის დარგების დასახელება	ოსტატი	ქარგალი	შეგირდი
XIV. მესირმეთა ამქარში (позументщики)			
1. მეაბრეშუმეები (ძაფის მკ.)	36	98	5
2. შმუკლერები	2	1	4
3. მეეპოლეტენი	7	4	4
4. მეყაბალახენი	17	6	—
XV. მექოთნეთა ამქარში			
1. მექოთნე	43	45	14
2. მეაგურე	22	13	—
XVI. მეტყავეთა ამქარში			
1. მეტყავე	51	75	—
2. მეტიკე	30	5	2
მუშათა არტელებში			
1. კალატოზი	40	224	50
2. ქვისმთლელი	35	—	—
3. ქვისმტეხი	10	—	—
4. მებათქაშე	15	69	—
5. მეღუმელე	9	3	—
6. მეთუნუხჩე და მეკასრე	258	42	—
7. ხეოო და ხეერხავი	45	206	—
8. მეკერტნე და მუშა	230	—	—
სულ	3076	2869	1318

ამ ცხრილის მიხედვით 1875 წელს 17 ამქარსა და 4 მუშათა არტელში გაერთიანებული ყოფილა 7263 ხელოსანი; აქედან წმინდა ხელოსნური დარგის ხელოსანი იყო 6100-მდე კაცი. განსხვავებით 1868 წლის მონაცემებისაგან, როცა მთლიანად ხელოსნების ნახევარზე მეტს ოსტატები შეადგენდნენ, აქ სხვა მდგომარეობაა. ოსტატები შეადგენენ მთელი ხელოსნების 42,4%. სამაგიეროდ გაზრდილია ქარგლებისა და შეგირდების რაოდენობა. ეს განსაკუთრებით ითქმის ქარგლებზე, რომლებიც მთელი ხელოსნების 39,5% შეადგენენ, ე. ი. სულ 7 წლის მანძილზე (1868—1875 წწ.) მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა. მთლიანად ხელოსნების რაოდენობა გაიზარდა 4915-დან 7263-მდე, 2348 კაცით. აქედან ოსტატებ-

ზე მოდის 348 კაცი, ქარგლებზე კი 1739. ამ უკანასკნელთა მატების ტემპი ხუთჯერ აღემატება ოსტატების მატების ტემპს. 1875 წლისათვის ხელოსნების წილი თბილისის მოსახლეობაში შეადგენს 8,1%. ქარგლებისა და შეგირდების რიცხვის ზრდა შედარებით ოსტატებთან იმ ახალი მომენტის მაჩვენებელია, როცა ოსტატები ყოველმხრივ აბრკოლებენ ქარგლის გაოსტატებას, აძლიერებენ მათ ექსპლოატაციას. ეს პროცესი უფრო ნათლად გვიანდელი ხანის მონაცემებში ჩანს.

1877 წლისათვის თბილისის გუბერნატორის ანგარიშის მიხედვით თბილისში 18 ამქარში (17 ამქარი და 1 მუშათა არტელში) გაერთიანებული იყო 7210 ოსტატი, ქარგალი და შეგირდი[32]. ორი წლის მანძილზე (1879 წლისათვის) თბილისში ხელოსნების რიცხვი გაიზარდა 7755 კაცამდე. აქ ამ დროისათვის 1860-მდე სახელოსნო დაწესებულებაა აღრიცხული[33], რომელთა რიცხვი ორი წლის მანძილზე 60%-ით გაიზარდა. ზრდა გაპირობებული იყო როგორც ცალკე დარგების ხელოსანთა გამრავლებით, ისე თვით ხელოსნობის დარგების დიფერენციაციით. თბილისის ხელოსნური ნაწარმის ოდენობა მილიონ მანეთს აღემატებოდა ვერცხლით[34]. მაშინ, როცა ახალქალაქისა და ახალციხის 740 სახელოსნო საწარმო 150.000 მან. პროდუქციას ამზადებდა.

სახელოსნო დებულებით დამტკიცებული ამქრების რაოდენობა თბილისში არ იყო დაცული. 1883 წელს თბილისში 59 სახელოსნო ამქარია დასახელებული, რომლებშიც გაერთიანებული იყვნენ შემდეგი ხელოსნები: ხუროები—500 კაცი, დურგალი და ხარატი—450, მამაკაცის ევროპული ტანსაცმლის მკერავი—350, მეპურე—150 კაცი, ხარაზი—300, ზეინკალი და მექანიკოსი—115, დამჭედი (ნალის)—40, ევროპული ფეხსაცმლის მკერავი—350, ბორბლების მკეთებელი — 140,

---

[32] სცსა, ფ. 17, საქ. 9000-ბ, ფურც. 24.

[33] „Сборник сведений о Кавказе", 1880, Тиф., т. VI, გვ. 231—232.

[34] სცსა, ფ. 5, საქ. 6474, ფურც. 25.

აზიური წაღების მკერავი—90 და ა. შ. სულ ოსტატი—2782, ქარგალი—2002 და შეგირდი—1091; სულ—5875 ხელოსანი[35]. 1883 წლის საარქივო დოკუმენტები მიუთითებენ, რომ „...в отчетном году замечен вообще упадок почти во всех цехах"[36]. 1875 წელთან შედარებით ხელოსნების რიცხვი ამ დროისათვის 1880 კაცით შემცირებულა. ეს მაშინ, როცა მთელი ამ ხნის მანძილზე თბილისის მოსახლეობა სისტემატურად იზრდებოდა. XIX საუკუნის ბოლოსათვის 1866 წელთან შედარებით მოსახლეობის მატება 230% აღწევს. არსებული გამოანგარიშებით 1865 წლისთვის შედარებით 1803 წელთან თბილისის მოსახლეობის ზრდა 486% [37] ყოფილა, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ რეფორმამდელ თბილისში უფრო სწრაფი იყო მოსახლეობის ზრდის ტემპი, ვიდრე რეფორმისშემდგომ ხანაში. I ნახევარში მატების საერთო % უფრო მაღალია, მაგრამ ზრდის ტემპს თუ ავიღებთ, ე. ი. მატებას წლიურად, ასეთ სურათს მივიღებთ. რეფორმამდელ ხანაში თბილისის მოსახლეობის წლიური მატება საშუალოდ დაახლოებით 1150 სულ შეადგენს, ხოლო რეფორმისშემდგომ ხანაში (თუ ავიღებთ 1897 წლის მონაცემებიდან უმცირესს)[38] —4715 სულს, ხოლო მეორე ცნობაზე დაყრდნობით—5282-ს. წლიური მატების ტემპი ყოველთვის თანაბარი არ იყო. ამდენად ეს გამოანგარიშება სავსებით ზუსტი ვერ იქნება, მაგრამ იგი მაინც იძლევა შესაძლებლობას წარმოვიდგინოთ, თუ რამდენად უფრო მაღალი იყო მოსახლეობის ზრდის ტემპი რეფორმისშემდგომ თბილისში. ზრდის ძირითად წყაროს

---

[35] სცსა, ფ. 17, საქ. 1700, ფურც. 21.

[36] იქვე, საქ. 9015, ფურც. 23.

ЦГИАЛ, ф. 1263 д. 4406, л. 271.

[37] გ. ჯ ა ბ ბ უ რ ი ა, თბილისის მოსახლეობა XIX-ის რეფორმამდელ ხანაში. საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, 1958, III, გვ. 131.

[38] Л. О. Меговорян, Исследование вопроса о выборе места для промышленных предприятий, г. Тифлиса, 1930, გვ. 11.

მოსული მოსახლეობა შეადგენდა, რომელთა შორის ბევრი იყო ხელოსანი.

თბილისის მოსახლეობის ზრდის ტემპში მომხდარი გარდატეხა სწორედ იმ გარემოებით აიხსნება, რომ ქალაქის ეკონომიურ ცხოვრებაში ამ დროიდან თანდათან ფეხს იკიდებს კაპიტალისტური მრეწველობა, რომელიც დიდძალ მუშახელს მოითხოვს. სწორედ ამ უკანასკნელთა ხარჯზე ხდება თბილისის მოსახლეობის ზრდა განსაკუთრებით რეფორმის-შემდგომ ხანაში.

ასეთ პირობებში ხელოსანთა რაოდენობა თბილისში შემცირდა, და თუნდაც აბსოლუტური რიცხვის უცვლელობის პირობებში, მათი % მაინც შემცირდებოდა მოსახლეობის საერთო რაოდენობაში. 1877 წლისთვის ხელოსნები მთლიანი მოსახლეობის დაახლ. 7,6% შეადგენდნენ. რა მდგომარეობასთან გვაქვს საქმე 1883 წელს. ამ დროისათვის თბილისის მუდმივი მოსახლეობა დაახლ. 95.000-მდე უნდა უოფილიყო, რომელთაგან ხელოსნები იყვნენ მხოლოდ 6,1%.

1884 წელს 62 სახელოსნო ამქარია თბილისში, სადაც გაერთიანებულია 2229 ქარგალი, 2995 ოსტატი და 1200 შეგირდი[39]—სულ 6424 ხელოსანი. დოკუმენტები კვლავ უთითებენ ხელოსნური წარმოების შესუსტებას[40].

1886 წლისათვის თბილისის ხელოსანთა საზოგადოებაში შედიოდა: ოსტატი -2556, ქარგალი—1858, შეგირდი—1058. სულ—5472 კაცი[41]. როგორც თბილისის გუბერნატორი მიუთითებს „... по отзыву местной ремесленной управы в отчетном году замечен был упадок в производстве промыслов вследствие отсутствия спроса на изделия[42]. ეს გარემოება, სწორედ, იმით იყო გამოწვეული, რომ ხელოსნური წარმოების დარგებს კონკურენციას უწევდა ფაბრიკულ-

---

[39] სცსა, ფ. 17, საქ. 2283, ფურც. 34.
ЦГИАЛ, ф. 1263, д. 4527, л. 31—32.
[40] იქვე.
[41] სცსა, ფ. 17, საქ. 2485, ფურც. 385.
[42] იქვე.

ქარხნული მრეწველობა, რომლის პროდუქცია გაცილებით უფრო მაღალხარისხოვანი და ხელმისაწვდომი იყო მომხმარებლისათვის. სწორედ ხელოსნობის ის დარგები ეცემა, რომლებშიც ფაბრიკულ-ქარხნული მრეწველობა იყო კარგად განვითარებული.

1887 წელს თბილისის სახელოსნო საზოგადოებაში ითვლებოდა: ოსტატი—2767, ქარგალი—1927, შეგირდი—1105 სულ—5799 ხელოსანი[43]. მათგან უმეტესობა ტყავის დამუშავებას და ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის დამზადებას მისდევდა. მუშა ხელოსანზე საშუალო ფასები ასეთი იყო: ხურო დღიურად 1 მ. 50 კაპ. კალატოზი 2 მანეთამდე, დურგალი 2 მან. 50 კაპ., შავი მუშა—40-დან 60 კაპიკამდე[44]. ხელოსნების შეფარდება მოსახლეობის მთლიან რაოდენობასთან იყო როგორც 1:16, ე. ი., დაახლ. 6,3%. ხელოსნური წარმოების დონე შემცირდა როგორც ადგილობრივი ფაბრიკული წარმოების, ისე შემოტანილი საქონლის მეტოქეობის შედეგად.

„За время с 1883 года... ремесленная деятельность Тифлиса начала падать вследствие усилившегося привоза Московских, Одесских и Варшавских изделий, успешно конкурирующих с изделиями здешнего производства"[45]— აღნიშნულია საბუთებში:

1883—1887 წწ. ხელოსნების რაოდენობის დინამიკა თბილისში ასეთია:

1883	წელს	—	4065
1884	„	—	5224
1885	„	—	5930
1886	„	—	6020
1887	„	—	5799

ქარგლების და შეგირდების რაოდენობა ოსტატებთან შედარებით მთელი XIX საუკუნის მეორე ნახევარში უფრო

---

[43] სცსა, ფ. 414, აღწ. 1, საქ. 34, ფურც. 15.
[44] იქვე, ЦГИАЛ, ф. 1284, д. 194, л. 19.
[45] იქვე; ფურც. 20.

სწრაფად იზრდებოდა. ასე მაგალითად, 1888 წელს თბილისის 53 ამქარში სულ 6000-მდე ხელოსანი იყო გაერთიანებული; აქედან ოსტატი იყო მხოლოდ 3000. დანარჩენი ქარგლები და შეგირდები იყვნენ.

ამ დროისათვის თბილისის მოსახლეობის და ხელოსნების შეფარდება ისეთია, როგორც 1:18. 1888 წელს თბილისის მოსახლეობა 130.000-მდეა[46] ნავარაუდევი. მასში ხელოსნები მხოლოდ 4,6% შეადგენენ. ასე შემცირდა ხელოსნების პროცენტული წილი მთლიანი მოსახლეობის რიცხვში.

1892 წელს მთლიანად თბილისის გუბერნიაში იყო სხვადასხვა ხელობის 17.698 ხელოსანი, რომელთაგან ოსტატი იყო 10.911, შეგირდი და ქარგალი 5009 და მუშა 1778 კაცი[47]. ხელოსნობის 4 სხვადასხვა დარგიდან ყველაზე დიდი რაოდენობით გაერთიანებული იყვნენ ხელოსნები საოჯახო მეურნეობის საგნების წარმოებაში—7137 კაცი. აქედან ოსტატი—4172, ქარგალი და შეგირდი—2161 და მუშა 804. ტანსაცმლის დამამზადებელ ხელოსნებში (სულ 4000 კაცი) ოსტატი—1847, შეგირდი და ქარგალი—1753, მუშა—410. კვების პროდუქტების დამამზადებელი ხელოსნებიდან (1502 კაცი) ოსტატი—597, შეგირდი და ქარგალი—483 და მუშა 422. დანარჩენი დარგების ხელოსნები შეადგენდნენ 5085 კაცს. აქედან ოსტატი—4295, შეგირდი და ქარგალი—612 და მუშა—150[48], ე. ი. I ჯგუფის ხელოსნები შეადგენდნენ მთელი ხელოსნების 40,3%; II ჯგუფის—22,5%; III—8,4% და IV—28,8%. ხელოსანთა ყველაზე დიდი მასა მონაწილეობდა საოჯახო მეურნეობის საგნების წარმოებაში. მთლიანად ხელოსნებიდან ქალაქებზე მოდიოდა 11.493[49], ანუ 64,9%. მათგან ოსტატი 5988, შეგირდი და ქარგალი—4288 და მუშა 1217. საყურადღებოა ის გარემოება, რომ მთელი გუბერნიის სახელოსნოებში მომუშავე მუშათა რაოდენობიდან თითქმის 69% ქა-

---

[46] სცსა, ფ. 415, საქ. 42, ფურც. 12, ფ. 17, საქ. 9046-ა, ფურც. 15.

[47] სცსა, ფ. 17, საქ. 8772, ფურც. 26.

[48] იქვე.

[49] იქვე.

ლაქებზე მოდიოდა. ეს შემთხვევითი არ უნდა იყოს. სწორედ ქალაქებში მიმდინარეობდა უფრო სწრაფად კაპიტალიზმის განვითარება და მასთან ერთად მისგან განუყოელი—დაქირავებული შრომის გამოყენების ზრდაც. ამის ნათელსაყოფად გადავხედოთ ცხრილს[50].

ხელობის დარგები	თბილისი			გუბერ. ქალაქ.		
	ოსტატი	შეგირდი	მუშა	ოსტატი	შეგირდი	მუშა
I. კვების პროდუქტის მწარმოებელი ხელოსნები						
1. მეპურე	187	185	186	258	263	237
2. მეკონდიტრე	40	88	28	55	103	31
3. მეფუნთუშე						
4. მეძეხვე	27	19	10	28	19	10
5. ყველის დამამზადებელი	3	—	—	3	—	—
6. სალაპი (резник)	8	14	—	63	33	80
7. მელუდე	3	—	—	6	—	10
სულ	268	306	224	413	423	368
II. ტანსაცმლის დამამზადებელი						
1. მკერავი	233	472	—	361	589	100
2. მეფეხსაცმელე	175	247	—	255	362	55
3. მექუდე	79	82	10	96	98	17
4. მეწაღე	75	47	—	213	190	90
5. მექურქე და მებეწვე	7	6	—	26	12	5
6. ფეიქარი	—	—	—	14	—	—
7. მეშლაპე და მკერავი ქალი	13	20	—	17	29	1
8. ხარაბი	55	31	—	95	61	20
9. მატყლის მპენტავი	5	4	—	5	4	—
10. მეტყავე	76	110	—	103	124	23[illegible]
სულ	457	1090	10	1249	1560	311

[50] სცს ფ. 17, საქ. 8772-ა, ფურც. 102—3—4—5. მოტანილ ცხრილში ქარგლები ცალკე არ არის გამოყოფილი. ისინი შეგირდებთან ერთად უნდა ვიეარაუდოთ.

ხელობის დარგები	თ ბ ი ლ ი ს ი			გუბერ. ქალაქ.		
	ოსტატი	შეგირდი	მუშა	ოსტატი	შეგირდი	მუშა
III. საოჯახო საგნების დამამზადებლები						
1. იარაღის მკეთებელნი	32	25	—	49	34	5
2. ხარატი	15	49	—	20	52	2
3. ზეინკალი-მექანიკოსი	31	14	61	31	14	61
4. მეჩუქურთმე	6	10	—	6	10	—
5. ამკინძავი	23	96	—	24	99	3
6. ჩამომსხმელი	12	22	—	12	22	—
7. დურგალი	58	221	—	89	266	25
8. ხურო	98	50	—	203	157	24
9. ზეინკალი	26	103	—	34	111	4
10. მეთუნუქე	33	58	4	58	73	20
11. მეშუშე	30	—	—	46	--	—
12. მჭედელი	84	39	—	159	160	29
13. მებრილიანტე	18	—	—	18	—	—
14. მენალე	62	79	—	130	110	15
15. სარაჯი	22	50	—	38	56	—
16. თოქმაჩი	22	46	—	34	52	—
17. თოქმაჩ-შემდუღებელი	42	51	—	94	83	24
18. საპნის მხარშავი	2	—	—	6	—	—
19. მექოთნე	31	65	—	44	80	8
20. მეაგურე	28	10	58	47	23	46
21. მეთუნე	9	—	—	36	1	13
22. მეჯაგრისე	4	—	—	4	—	—
23. მეღუმელე	30	—	—	39	1	3
24. მესაათე	43	24	—	55	31	—
25. მეუნაგირე	15	9	—	46	18	13
26. მეტიკე	6	—	—	8	—	—
27. საცობის დამამზადებელი	2	—	—	2	—	—
28. გადამკვრელი (обойщик)	16	18	—	29	23	—
29. მხერხავი	18	34	83	32	34	83
30. მეეტლე (ეტლის მკეთებ.)	48	124	—	61	138	9
31. მიწათმოქმ. იარაღის ოსტ.	5	—	—	5	—	—
32. საკვამურის მწმენდავი	35	—	—	37	—	—
33. მექვაბე	22	61	—	34	85	13
34. მეკასრე	21	53	—	30	61	5
35. მეავეჯე	10	6	—	10	6	—
36. მესახურავე	29	32	—	35	35	3
37. მეყუთე და მეკალათე	8	—	—	8	—	—
სულ	1011	1257	206	1633	1843	451

ხელობის დარგები	თბილისი			გუბერ. ქალაქ.		
	ოსტატი	შეგირდი	მუშა	ოსტატი	შეგირდი	მუშა
IV. სხვა დარგები						
1. პარიკმახერი	24	45	—	24	45	—
2. მღებავი	23	19	5	56	31	12
3. იუველირი	31	64	—	31	64	—
4. მეფიტულე	2	—	—	2	—	—
5. გრავიორი	5	6	—	5	6	—
6. დამწახნაგებელი (граниль-щик)	1	—	—	1	—	—
7. მეკუბოვე	20	1	—	28	6	—
8. ცინკის საქმის ოსტატი	10	—	—	10	—	—
9. ბეეტლე (извощик)	1431	—	—	1528	—	—
10. სკულპტორი	1	—	—	1	—	—
11. მეტიეე	40	—	—	40	—	—
12. მზიდველი. მებარგული	220	—	—	244	—	—
13. ცეცხლფარეში	18	—	—	18	—	—
14. ფოტოგრაფი	11	—	—	11	—	—
15. ვერცხლის საქმის ოსტატი	44	83	—	96	131	25
16. კალატოზი	26	—	—	69	15	8
17. დალაქი	88	91	—	142	132	2
18. ტოპოგრაფი	27	—	—	27	—	—
19. ცემენტის საქმის ოსტატი	6	—	—	6	—	—
20. საინსტრ. საქმის ოსტატი	51	6	—	60	6	—
21. ოპტიკი	4	—	—	4	—	—
22. თულუხჩი	165	—	—	186	—	—
23. მღებარი	44	13	—	101	26	—
24. ხე-ტყის ხელოსანი	—	—		3	—	—
სულ	2322	328	5	2693	462	87
მთლიანად	4358	3081	445	5988	4288	1217

ამ ცხრილში მოხსენებული არიან არახელოსნური დარგის ხელობის წარმომადგენლებიც: თულუხჩები (165 კაცი), შეშის მხერხავნი (135), ცეცხლფარეშნი (118), მზიდავი მუშები (220), საკვამურის მწმენდავნი (35) და სხვ. ამიტომაა

მასში თბილისის ხელოსნების რაოდენობა ცალზე გაზრდილი. მოტანილი ცხრილის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, თბილისის ხელოსნებს ასეთი ადგილი ეკავათ მთლიანად გუბერნიის ქალაქების ხელოსნობაში: I ჯგუფის ხელოსნებიდან თბილისზე მოდის ოსტატების თითქმის 55%, შეგირდი—72,3% (ქარგლის ჩათვლით), მუშა—60,4%. II ჯგუფიდან ოსტატი—37%, შეგირდი—69,2%, მუშა—3,2%. III ჯგუფიდან ოსტატი დაახლ.—61,1%, შეგირდი—68,2%, მუშა—45,5%, IV ჯგუფიდან ოსტატი—86,2%, შეგირდი—71%, მუშა—5,7%.

სულ ოსტატი ხელოსანი თბილისში შეადგენდა ქალაქების ოსტატი ხელოსნების დაახლ. 58%. შეგირდი (და ქარგალი)—92,8%, მუშა დაახლ. 40%, ერთად აღებული თბილისის ხელოსნები (ოსტატი, შეგირდი, მუშა) თბილისის გუბერნიის ქალაქების ხელოსნების 68,5% შეადგენდნენ.

1892 წლისათვის თბილისში დაახლ. 140.000 მცხოვრები იყო[51]. ხელოსნების წილი მათში ამჯერად კიდევ უფრო მცირეა. იგი 4,2% შეადგენს. მთლიანად თბილისის გუბერნიის ხელოსნებიდან (13.371აკაცი) ქალაქებზე მოდიოდა 8020 კაცი[52], ე. ი. დაახლ. 60%. აქედან თბილისზე: ოსტატი—2331, ქარგალი—1849 და შეგირდი—1280[53] + 357 მუშა[54]. სულ 5817 კაცი, ანუ ქალაქებში თავმოყრილი ხელოსნების 72,4%. მაშასადამე, ხელოსნების ძირითადი მასა ამ დროისათვის თბილისში იყო თავმოყრილი და ისიც კლების გზას ადგა. 1894 წლისთვის თბილისის მოსახლეობა ერთი ცნობით[55] შეადგენდა 145.000-მდე კაცს, ხოლო მეორე ცნობით[56]—157.536 სულს. იმ შემთხვევაშიაც კი თუ პირველს ჩავთვლით უფრო სწორად, მივიღებთ, რომ ამჯერად ხელოსნები მთლიანი მოსახლეობის მხოლოდ 4% შეადგენენ.

---

[51] სცსა, ფ. 415, საქ. 42, ფურც. 14.
[52] იქვე, ფ. 17, საქ. 9082-ა, ფურც. 10.
[53] იქვე,
[54] იქვე, საქ. 3621, ფურც. 251—253.
[55] იქვე, ფ. 415, საქ. 42, ფურც.14.
[56] იქვე, ფ. 17, საქ. 9082, ფურც. 13.

სახელოსნოთა მიერ წლიურად დამზადებული პროდუქციის რაოდენობისა და ღირებულების შესახებ მასალები არ მოგვეპოვება, მაგრამ სავარაუდებელია, რომ მათი წარმოების მასშტაბი ვიწრო იქნებოდა. თბილისში აღებულ ხანაში არსებულ სახელოსნოებში როგორც წესი 1—2 ან სამი ქარგალი და შეგირდი მუშაობდა. 1890 წლის „სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებათა გენერალური შემოწმების ჟურნალიდან" ჩანს, რომ ამ წელს თბილისის I, II, III და IV უბნებში არსებულ სახელოსნოებში თითქმის ყველგან 2—3, იშვიათად 4 და ზოგჯერ 1 კაციც კი მუშაობდა და მათი წლიური ბრუნვა 3000-დან 5000 მანეთამდე შეადგენდა, საიდანაც სუფთა მოგება წლიურად მხოლოდ 300—500 მან. იყო[57]. თუმცა ამავე ხანებში თბილისში უფრო მსხვილი სახელოსნოებიც არსებობენ, როგორიც არიან მეაგურეების (თითოეულ სახელოსნოში ხშირად 6 და მეტი კაცი მუშაობდა), დურგლებისა, ხუროების, კალატოზების და სხვ. რომელნიც კაპიტალისტურ სახელოსნოს ემსგავსებიან, რადგან როგორც ლენინი აღნიშნავს „კაპიტალისტური სახელოსნოს განსხვავება წვრილი მრეწველის სახელოსნოსაგან] თავდაპირველად მხოლოდ ერთდროულად მომუშავე მუშების რიცხვში მდგომარეობს".[58]

90-იანი წლების მიწურულში ხელოსანთა რიცხვი თბილისში იზრდება. „В общем число ремесленников в минувшем году значительно увеличилось"[59]—კერძოდ, მათი აბსოლუტური რაოდენობა 1895 წელს შეადგენდა დაახლ. 8100—აქედან ოსტატი—2968, ქარგალი—2579, მუშა—485 და შეგირდი—1986.[60]

მარტო თბილისის პირველ საპოლიციო უბანში 1897 წელს 99 სახელოსნო დაწესებულება იყო, სადაც მუშაობდა

---

[57] Журнал генеральной поверки торговых и промышленных заведений находящихся в 1, 2, 3 и 4 частях г. Тифлиса, 1890.

[58] ვ. ლენინი, ტ. 3, გვ. 44.

[59] სცსა, ფ. 17, საქ. 3846, ფურც. 364.

[60] იქვე.

149 ოსტატი, 98 ქარგალი, 102 შეგირდი და 107 მუშა, სულ 456 კაცი. 1899 წელს მეორე საპოლიციო უბანში იყო 340-მდე ხელოსანი.[61] ხოლო ამ უბნის ორივე სექსის მოსახლეობა შეადგენდა 19.600-მდე სულს; აქედან ხელოსნები ყოფილან მხოლოდ 2,3%. დაახლოებით ანალოგიური მდგომარეობაა სხვა უბნებშიც. ისე, რომ ხელოსანთა რაოდენობრივ ზრდას არც ამჯერად გამოუწვევია ხელოსნური წარმოების მნიშვნელობის შემდგომი ზრდა.

ყოველივე ზემოთქმულს თუ შევაჯამებთ, შემდეგ დასკვნამდე მივალთ: XIX საუკუნის მეორე ნახევრის თბილისის ეკონომიკაში ხელოსნური წარმოება გარკვეულ როლს ასრულებს, მაგრამ მისი მნიშვნელობა თანდათან ეცემა კაპიტალისტური მრეწველობის განვითარების პარალელურად.

ამიტომაა, რომ ხშირ შემთხვევაში ხელოსანთა აბსოლუტური რაოდენობაც კი იზრდება, მაგრამ მათი % წილი მთლიან მოსახლეობაში მაინც დაბალია.

ასე მაგალითად:[62]

წლები	ხელოსანთა რაოდენობა (ოსტატი, ქარგალი, შეგირდი)	თბილისის მოსახ. რაოდენობა	ხელოსნების % წილი მოსახლეობაში
1868	4915	დაახლ. 70.000	7 %
1869	4754	—	—
1870	5014	—	—
1871	6648	—	—
1872	6861	—	—
1875	7263	90.000-მდე	8,1 %
1877	7210	"	7,6 %
1879	7755	"	—
1883	5875	95.000-ზე მეტი	6,1%
1884	6424	"	—
1887	5799	"	6,3%
1888	6000-მდე	130.000-მდე	4,6%
1892	6000-მდე	145.730	4%
1897	8100	160.000	5%

[61] სცსა, ფ. 99, საქ. 10, ფურც. 15—16.

[62] ცხრილი შედგენილი ბეკაქეს მიახლოებითი გამოანგარიშებით.

მოსახლეობის შედარებით სწრაფი ზრდის პირობებში,[63] რასაც ადგილი ჰქონდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის თბილისში, ხელოსნების წილი მცირდება.

რიგი დარგებისა, რომლებსაც ადრე მნიშვნელოვანი ადგილი ეკავათ თბილისის ხელოსნობაში, ამ პერიოდში მნიშვნელობას კარგავენ და სულ არ მოიხსენებიან. ეს პირველ რიგში ითქმის მქსოველ ფეიქრებზე, რომელთა ხსენებას ველარ ვხვდებით უკვე 70-იანი წლებიდან; მირზოევის ბამბეულის ძაფსართავი ფაბრიკა იმდენად მაღალხარისხოვან პროდუქციას ამზადებდა, რომ ხშირად მეტოქეობას უწევდა არა თუ ადგილობრივ ხელოსნურ ნაწარმს, არამედ რუსეთიდან და ევროპიდან შემოტანილ ნარმასა და მიტკალსაც კი. დაახლოებით ასეთივე მდგომარეობა იყო ტყავის წარმოებაში და სხვ. ხელოსნობას ძირითადში შერჩა საოჯახო მეურნეობისათვის საჭირო აუცილებელი პროდუქტის წარმოება და ამიტომაცაა, რომ 90-იან წლებში ყველაზე მრავალრიცხოვანი ამ დარგის ამქრებია.

ხელოსნური წარმოების დაცემას თვით მის შიგნით არსებული წინააღმდეგობანი აპირობებდნენ, რაც პირველ რიგში ქარგლისა და შეგირდისადმი ოსტატის დამოკიდებულებში ვლინდებოდა. სახელოსნო დებულება არ შეეძლო ამ საკითხის მოწესრიგება და ამიტომაც იყო, რომ 90-იან წლებშიაც კი ხშირად უბრუნდებოდნენ მას. 1893 წელს თბილისის სახელოსნო სამმართველომ შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე დააყენა რიგი საკითხებისა, რომელთა გადაჭრასაც აუცილებლად მიიჩნევდა ხელოსნური წარმოების შემდგომი გაუმჯობესებისათვის. „Тифлисская Ремесленная Управа думает, что в настоящее время ощутительно сказывается необходимость в улучшениях отношений мастеров к подмастерьям и ученикам"—აღნიშნავდა იგი[64]. „უპრავა" იუწყებოდა, რომ ხელოსნებს შორის იყვნენ ისეთი ოსტატები, რომელთაც არავითარი ცოდნა არ გააჩნდათ და არც ოსტა-

---

[63] ზრდა ძირითადში მწარმოებელი მოსახლეობის ხარჯზე ხდებოდა

[64] სცსა, ფ. 17, საქ. 9069, ფურც. 90.

ტისა და ქარგლის წოდება არ ჰქონდათ. არაკვალიფიციური ოსტატების არსებობა იწვევდა ქარგლებისა და შეგირდების ხშირ მოძრაობას და გადასელას ერთი ოსტატიდან მეორესთან. ასეთ პირობებში ძალიან გახშირდა ხელოსნური კადრების დენადობა ფაბრიკა-ქარხნებშიაც. ისინი აშკარად ხედავდნენ ამ უკანასკნელთა უპირატესობას შედარებით ხელოსნობასთან და ძალიან ხშირად გარბოდნენ იქ მუშებად. სახელოსნო „უპრავა" 1892 წელს აღნიშნავდა: რომ „...с другой стороны громадный процент таких перебегающих без всякого основания от одного занятия другому подмастерьев, и учеников, раньше условленных сроков их занятий у тех или других мастеров, влечет за собой необходимость установления правила об обязанностях всех заводов и фабрик в Тифлисе сообщать ежемесячно списки своих рабочих в Ремесленную Управу и таковых же ф. и з. в уездах Тифлисской губернии, в заменяющие управу учреждения, так как именно на фабриках и заводах скрывается большой контингент подмастерьев и учеников, нарушивших самовольно и неправильно условия с мастерами того или другого ремесла"[65]. და კიდევ: „... за последние пять лет замечается уменьшение числа учеников в ремесленных заведениях вследствие отказа в приеме их мастерами, так как большая часть из них как замечено раньше, не оканчивая срока обучения и вводя мастеров только в убытки, оставляют свои занятия у них".[66] 90-იან წლებში ძალიან გახშირდა შეგირდების და ქარგლების თვითნებური დენადობა. 1892 წლის ცნობით ასეთი შემთხვევა წლიურად ორასამდე აღწევდა. სულ ხუთი წლის განმავლობაში (1888—1892 წწ.). 800 ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი[67]. იმდროინდელი დოკუმენტები სწორედ ამ გარემოებას

---

[65] სცსა, ფ. 17, საქ 9069, ფურც. 93.

[66] იქვე, ფურც. 98.

[67] იქვე, ფურც. 99.

ასახელებენ ხელოსნური წარმოების დაცემის ძირითად მიზეზად.

„... большой наплыв учеников ремесленных заведений нарушивших условленные сроки обучения у мастеров на фабрики и заводы, и легкость приема таковых последними, не зная никаких ограничении и невозможность официально для Управы удостовериться в их существовании там, за скрытностью приема их на фабрики и заводы, без сообщения Управе ежемесячно списков своих рабочих".[68]

აქ მოტანილი საარქივო დოკუმენტების ამონაწერებიდან კარგად ჩანს ის გარემოება, რომ საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობამ ხელოსნობას ხელიდან გამოაცალა მწარმოებელი მასის დიდი ნაწილი შეგირდებისა და ქარგლების სახით. ეს უკანასკნელნი სახელოსნოში მუშაობას არჩევენ დიდ საწარმოში შრომას. კაპიტალისტური მრეწველობა ნაწილობრივ ამ გზითაც ახდენდა ხელოსნური წარმოების ექსპროპრიაციას. ჯერ ერთი, ართმევდა ხელოსანს ამა თუ იმ დარგის პროდუქტის გასაღების ბაზარს, ქმნიდა რა მეტი რაოდენობით უკეთესი ხარისხის პროდუქციას, და მეორეც, ართმევდა მუშახელსაც.

სახელოსნო სამმართველო ცდილობდა მდგომარეობის გამოსწორებას. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 1893 წ. გამოგზავნილ კითხვაზე უპასუხებდა, რომ საჭიროა მოწესრიგდეს ოსტატებისა და ქარგლების დამოკიდებულება შეგირდების მიმართ, რისთვისაც საჭიროა მათ შორის აუცილებელი წერილობითი ხელშეკრულების გაფორმება. უნდა აიკრძალოს შეგირდების შრომის ზედმეტი ექსპლოატაცია, ისინი განთავისუფლებულ უნდა იქნენ „... от всяких посторонных домашних занятий у хозяина ремесленного заведения не имеющих соприкосновения с курсом обучения тому или другому ремеслу"[69] და სხვ. მაგრამ ყველა ეს ღო-

---

[68] სცსა, ფ. 17, საქ. 9069, ფურც. 100.

[69] იქვე, ფ. 103.

ნისძიება ზედაპირულ მხარეს ეხებოდა და ხელუხლებლად ტოვებდა თვით იმ მიზეზებს, რომლებმაც ხელოსნობის დაცემა გამოიწვიეს.

ორიოდე სიტყვა დაქირავებული შრომის გამოყენების შესახებ თბილისის ხელოსნობაში რეფორმის შემდგომ ხანაში. საერთოდ, არსებობს რა კაპიტალიზმის განვითარების პირობებში, ხელოსნური წარმოება არ რჩება პირვანდელ საწყისებზე, იგი ეეოლუციას განიცდის. ჯერ კიდევ რეფორმამდელ ხანაში იჩენს თავს თბილისის ხელოსნებში დაქირავებული შრომის გამოყენების ტენდენცია. „ხელოსნებიც იყენებენ დაქირავებულ შრომას, მაგრამ ამგვარ მრეწველთა შორის ამას უფრო ნაკლებად ეხვდებით[70]" — აღნიშნავს ვ. ი. ლენინი.

ხელოსნურ წარმოებაში დაქირავებული შრომის გამოყენება განსაკუთრებით ინტენსიური ხდება კაპიტალისტურ-ურთიერთობის განვითარების პირობებში, რომელიც აღმოცენების დღიდანვე კონკურენციას უწევს მას. ხელოსანი იძულებულია გაუმკლავდეს მის მეტოქეობას და მასთან ბრძოლაში მიმართოს ყოველგვარ საშუალებას, თვით ხელოსნური ორგანიზაციის ნორმების დარღვევასაც; აძლიერებს ქარგლის და შეგირდის ექსპლოატაციას, ახანგრძლივებს მათი ამ კატეგორიაში ყოფნის ვადას და დამატებით იყენებს დაქირავებულ შავ მუშებსაც. თვით ქარგლები და შეგირდები, ექცევიან რა ოსტატისაგან დამოკიდებულებაში—დაქირავებული-მუშის მდგომარეობაში ვარდებიან.

დაქირავებულ შრომას ხელოსნები ჯერ კიდევ XIX საუკუნის 30—40-იანი წლებიდან იყენებდნენ. კერძოდ, სუმბათოვების მიწაზე არსებულ მეტყავეთა ამქარს 40-იან წლებში (25 ოსტატი იყო) 25 ქარგალი და 20 შავი მუშა ჰყოლია. ზოგჯერ კი სეზონის პერიოდში მათი რიცხვი 100-საც აღწევდა.[71] 1866 წლისათვის ადგილობრივ ხელოსნებს დაქირა-

---

[70] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, გვ. 285.

[71] გ. ჯ ა მ ბ ურ ი ა, ხელოსნობა თბილისში რეფორმამდელ ხანაში, ხელნაწერი ნაშრომი გვ. 78. ინახება ისტორიის ინსტიტუტის ფეოდალიზმის განყოფილებაში.

ვებული ჰყოლიათ 350-მდე შავი მუშა, უცხოელებს კი 380 კვალიფიციური მუშა-ქარგალი[72]. ეს უკანასკნელნიც შეგირდებთან ერთად დაქირავებული მუშის მდგომარეობაში იყვნენ. 60-იანი წლების შუა ხანებში თბილისში 130 ხელოსანი იყო, რომელსაც დაქირავებული ჰყავდა 3673 სული შეგირდი, ქარგალი და შავი მუშა, ე. ი. ერთ სახელოსნოში დაახლ. 4 კაცი მუშაობდა. მაგრამ იყო უფრო დიდი ზომის სახელოსნოებიც (მეპურეებს—100 მუშა ჰყავდათ, ხარაზებს—75 და სხვ.)[73].

დაქირავებული შრომის გამოყენება უფრო გახშირდა რეფორმისშემდგომ ხანაში. ეს პროცესი აპირობებდა ბევრი ხელოსნური საწარმოს კაპიტალისტურ ევოლუციას, „წვრილი სასაქონლო წარმოების ტენდენცია იხრება დაქირავებული შრომის სულ უფრო და უფრო მეტად გამოყენებისაკენ, კაპიტალისტური სახელოსნოების შექმნისაკენ"[74]—აღნიშნავს ვ. ი. ლენინი. 1887 წელს დამტკიცებულ თბილისის სახელოსნო ამქართა დებულებაში, როგორც ზემოთაც გვქონდა აღნიშნული, პირდაპირ არის მითითებული, რომ ამქრის ხელოსანს შეუძლია „В мастерской своей иметь наемных подмастерьев и от работы их получать себе выгоды",[75] და „Мастером называется тот, кто или сам занимается каким-либо мастерством в отдельной лавке, или содержит мастерскую из наемных подмастерьев и учеников" და კიდევ „Подмастерье есть ремесленник занимающийся мастерством по найму у хозяев мастерских заведений."[76].

როგორც ვხედავთ, რეფორმისშემდგომ ხანაში ხელოსნის მიერ ქარგლის დაქირავება დაკანონებული ჩანს. როგორც ზემოთაც გვქონდა აღნიშნული, ქარგლებისა და შე-

---

[72] გ. ჯამბურია, დასახ. ნაშრომი, გვ. 79.
[73] იქვე, გვ. 80.
[74] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 404.
[75] Положение о рем. амкарах. ч. 1, § 5.
[76] იქვე, §§ 39, 41.

გირდების რიცხვის ზრდა ხელოსნობაში კაპიტალიზმის ელემენტების შეჭრით იყო გაპირობებული.

თუ 60-იან წლებში ოსტატების რიცხვი მეტი იყო ქარგლების და შეგირდების რაოდენობაზე, 70-იანი წლებიდან ვითარება იცვლება. 1870 წელს თბილისის 5004 ხელოსნიდან 2610 ოსტატია, ე. ი. ნახევარზე მეტი; რა მდგომარეობაა მომდევნო წლებში.[77]

წ ლ ე ბ ი	ო ს ტ ა ტ ი	ქარგალი და შეგირდი
1871	46%	54%
1872	45%	55%
1875	42%	58%
1883	40%	60%
1884	43%	57%
1886	46%	54%
1887	47%	53%
1888	50%	50%
1890	50%	50%
1891	47%	53%
1892	51%	49%
1894	34%	66%
1896	32%	68%
1899	31%	69%
1901	37%	63%

როგორც ჩანს 70-იან წლებიდან ქარგლების და შეგირდების რიცხვი უფრო სწრაფად იზრდება ვიდრე ოსტატებისა. ქარგლობის ვადა ზოგჯერ ნაცვლად 1—2 წლისა ორჯერ და სამჯერ მეტს ხანს გრძელდებოდა.[78] თავის მხრივ არც ოსტატები იყვნენ სახარბიელო მდგომარეობაში. ისინი XIX საუკუნის 50-იანი წლებიდან ხშირად მევახშე ვაჭრის ვალში ექცეოდნენ და მისგან თავის დასაღწევად კიდევ უფრო აძლიერებდნენ ქარგლისა და შეგირდის ექსპლოატაციას. პ. გუგუშვილს მოაქვს ი. დავითაშვილის სიტყვები—„ყველა

[77] ცხრილი შედგენილი გვაქვს მიახლოებითი გამოანგარიშებით.

[78] П. Гугушвили, Развитие пром. в Грузии и Закавказье, в XIX—XX вв. Тбилиси, 1957, გვ. 95.

ჩვენი ხელოსანი (ოსტატი — პ. გ.) ცდილობდა ყოლოდა რაც შეიძლება მეტი ქარგალი და შეგირდი და ემუშავებინა ისინი განუსაზღვრელი დროით. და მართლაც, ამუშავებდნენ მცირეწლოვან ბავშვებს, ზოგჯერ დილამდეც, ისე რომ არც კი ზრუნავდნენ მათ გონებრივ განვითარებაზე და ხელობის შესწავლაზე".[79] სახელოსნოებში მუშაობა გრძელდებოდა საღამოს 6 საათის შემდეგაც, დილის ხუთი საათიდან ხშირად ღამის 10—11 საათამდე.

ასეთ პირობებში, ცხადია, ქარგალი კვალიფიციური დაქირავებული მუშის როლში გვეევლინება. ხელოსანი—ოსტატი მას სასტიკ ექსპლოატაციას უწევს, რითაც ცდილობს თავისი არსებობის შენარჩუნებას, რათა ექსპროპრირებული არ იქნეს, მაგრამ მისი საქმიანობის ლოგიკური დასასრული საწინააღმდეგოა. ქარგალი და შეგირდი ფაბრიკასა და ქარხანაში გარბიან, ხოლო თვით ოსტატი ხშირად კოტრდება.

„Сравнительная стабилизация количества мастеров и быстрые темпы роста численности подмастерьев и учеников, говорят об увеличении в амкарском производстве эксплоатируемых элементов, что конечно, следует объяснить проникновением в эти отрасли промышленности капиталистического предпринимательства"[80].

ხელისუფლება მდგომარეობიდან გამოსავალს ეძებდა; სახელოსნოებისაგან მოითხოვდნენ მუშათა წიგნაკების მოწესრიგებას, „Надзор за недопуском малолетних до 15 лет в ремесленные заведения как на ночные, так и на вредные для их здоровья работы и за тем, чтобы они не были занимаемы работою далее определенного для них количества часов".[81]

შეგირდობის ფორმა, აღარ იყო გამართლებული მე-19 საუკუნის ბოლოსათვის და ამიტომაც ქალაქის თავი 1893

---

[79] П. Гугушвили, Развитие пром. в Грузии и Закавказье в XIX—XX вв. Тбилиси, 1957, გვ. 97.
[80] იქვე, გვ. 100.
[81] სცსა, ფ. 17, საქ, 9060, ფურც. 113, პუნქტი 4,8.

წელს მოითხოვდა: „Ремесленное ученичество само по себе есть явление ненормальное, ибо оно основывается на союзе двух сторон, интересы которых взаимно противоположны: хозяина, заинтересованного в том, чтобы возможно долее задержать у себя обученного им ученика и сего последнего, стремящегося уйти от мастера, как только он подучится ремеслу. Антагонизм этих интересов сам собою вызвал необходимость учреждения профессиональных школ, т. е. таких учреждений, в коих обучающая сторона не заинтересована в эксплоатации труда обучаемой. Таким образом, в принципе желательно учреждение ученичества с заменою его профессиональными школами"[82].

ცხადია, წინააღმდეგობა ხელოსანსა და შეგირდს შორის ამ გზით ვერ აღმოიფხვრებოდა, რადგან დაქირავებული შრომის არსებობის პირობებში იგი ყოველთვის გაუწევდა მათ ექსპლოატაციას.

ოსტატის მიერ ქარგლის დაქირავების შემთხვევაში იდებოდა ხელშეკრულება, სადაც აღნიშნული იყო, რომ მე ქარგალი (ესა და ეს) „Нанялся к мастеру (такому-то) и обязан находиться в мастерской его, или где мастеру нужно будет производить принадлежащую ему работу исправно, сроком от вышеписанного числа впредь на один год, за что должен получить плату в месяц по (მაგ.) пятьдесят рублей. Рабочие часы от 8 до 8 часов вечера; без расчета с мастером не отходить из мастерской его..." [83]

ეს ხელშეკრულება 900-ანი წლებისაა, მაგრამ დაახლოებით ასეთი პირობებით ხდებოდა ქარგლის დაქირავება XIX საუკუნის უკანასკნელ მესამედშიც. ხელშეკრულებიდან ნათლად ჩანს, რომ ქარგალი წმინდა კვალიფიციური დაქირავებული მუშის როლში გამოდის.

---

[82] სცსა, ფ. 17, საქ. 9060, ფურც. 107.

[83] სცსა, ფ. 199, საქ. 49, ფურც. 3.

Извлечение из устава о промышленности, т. XI, ч. 2, изд. 1893 года.

ხელოსანთა წოდებრივ შემადგენლობაში რეფორმის შემდგომ ხანაში დიდი ცვლილება არ მომხდარა. XIX საუკუნის I ნახევრის თბილისის ხელოსნები ძირითადში თბილისის მოქალაქეთა და გლეხებისაგან (საბატონო, სახელმწიფო) შედგებოდნენ. მათ შორის უმრავლესობა ეს უკანასკნელნი იყვნენ. ხელოსანთა წოდების ცალკე არარსებობის გამო ისინი გადასახადებს იხდიდნენ იმ წოდების მიხედვით, რომელსაც ეკუთვნოდნენ და არც უფლებრივად იყვნენ გათანაბრებულნი. „როგორც ცნობილია, ხელოსნების დიდი უმრავლესობა—წერს პ. გუგუშვილი – წოდებრივად იყვნენ სახელმწიფო, საეკლესიო და საბატონო გლეხები; მოქალაქეები მათში უმცირესობას შეადგენდნენ. ამასთან უმთავრესად სწორედ მათგან ირჩევდნენ იმ სამ პირს, რომლებიც სახელმწიფო გადასახადებს კრეფდნენ ხელოსნებისაგან“[84].

„მოქალაქეთა“ პრივილეგირებული მდგომარეობა ჩანს ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილ ამქართა უსტაბაშების სიებიდან, რომლებშიც უსტაბაშების და ხმოსნების თითქმის 80%-ს თბილისის მოქალაქეები შეადგენენ. რეფორმის შემდგომ ხანაში ხელოსნობას კვლავ მოქალაქეთა წრიდან გამოსულნი და გლეხები მისდევენ, რომელთაც ემატებათ ჩამოსული (რუსი და უცხოელი) ხელოსნები.

ეროვნული შემადგენლობის მხრივ თბილისის ხელოსნების შესახებ ცნობები თითქმის არ არსებობს, მაგრამ ერთი რამ შეიძლება ითქვას—რომ იგი საკმაოდ მრავალეროვანია. როგორც ცნობილია, რეფორმამდელი ხანის თბილისის ხელოსნების ძირითად მასას სომხები შეადგენდნენ. მეორე ნახევარში ვითარება ნაწილობრივ იცვლება. ამ დროისათვის საერთოდ თანდათან კლებულობს სომეხი მოსახლეობის % ქართველი და რუსი მოსახლეობის ზრდის ხარჯზე. თუ 1876 წ. თბილისის მოსახლეობიდან სომხები შეადგენდნენ 47%, ქართველები—24% და რუსები—22%, 1891 წელს სომხების რიცხვი შემცირდა

---

[84] П. Гугушвили, Развитие промышленности в Грузии и Закавказье в XIX—XX вв., Тбилиси 1957, გვ. 87.

37%-მდე, ხოლო ქართველებისა გაიზარდა 27%-მდე, რუსებისა კი—25%-მდე.[85] ქართველი მოსახლეობის ზრდის წყაროს ძირითადში საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული მოსახლეობა შეადგენდა. ასეთ პირობებში ხელოსნების ეროვნული შემადგენლობაც არ დარჩებოდა უცვლელი. 1903 წელს შედგენილი ოფიციალური მიმოხილვის მიხედვით თბილისის ხელოსნების კონტინგენტის 95% ამიერკავკასიის ადგილობრივი მცხოვრებლები შეადგენდნენ, ხოლო მათი 30% თბილისელები იყვნენ[86]. მათგან ქართველები მისდევდნენ აზიური ტანსაცმლის, ქუდების, ფეხსაცმლის, ტიკების დამზადებას, პარიკმახერობას და დალაქობას. სომხები ამზადებდნენ ევროპულ ტანსაცმელს, ფეხსაცმელს, საიუველირო და ვერცხლის ნაწარმს. ლეკები იარაღებს ამზადებდნენ, აისორები მღებრობას მისდევდნენ, გერმანელები და იტალიელები—მეძეხვეობას, რუსები—მეკასრეობას, მეღუმელეობას და სხვ[87]. მართალია, ეს დაყოფა ძალზე პირობითია, მაგრამ მაინც ქმნის ერთგვარ წარმოდგენას საკითხზე.

ასეთია ძირითადად რეფორმის შემდეგდროინდელი თბილისის ხელოსნობის სურათი.

დ ა ს კ ვ ნ ა

1. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარი თბილისის ისტორიაში მისი ბურჟუაზიულ ქალაქად ჩამოყალიბების პერიოდია. რეფორმამდელი ხანის თბილისის მრეწველობის გაბატონებულ ფორმას ხელოსნური წარმოება შეადგენდა, მაგრამ მის გვერდით უკვე ჩნდება პირველი კაპიტალისტური საწარმოები. მათ აღებულ ხანაში მარტივი კაპიტალისტური კოოპერაციის და მანუფაქტურის სახე აქვთ.

---

[85] დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, მ. დ უ მ ბ ა ძ ე, შ. მ ე ს ხ ი ა, ა. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, თბილისის ისტორია, 1958, თბილისი, გვ. 42.

[86] П. Г у г у ш в и л и, Развитие промышленности в Грузии и Закавказье, Тбилиси, 1957, გვ. 90.

[87] იქვე, გვ. 90—91.

2. საგლეხო რეფორმა მოსაბრუნი პუნქტი იყო საქართველოს ეკონომიურ განვითარებაში. მან მოსპო კაპიტალიზმის შემდგომი განვითარების დამაბრკოლებელი მიზეზები; უპირველეს ყოვლისა, რეფორმამ დიდი რაოდენობით წარმოშვა თავისუფალი მუშახელი გაბოგანოებული გლეხობის სახით, რომელიც ამიერიდან დაქირავებული შრომის ძირითად წყაროს შეადგენს. კაპიტალიზმის განვითარებამ გამოიწვია სრულად გლეხთა კლასობრივი დიფერენციაცია, მისი დიდი ნაწილის გაღატაკება, და ამით შექმნა ქალაქის მრეწველობისათვის დაქირავებულ მუშათა რეზერვი.

3. მე-19 საუკუნის 70-იანი წლებიდან თბილისში თანდათან ჩნდება მსხვილი საწარმოები, რომლებიც დაქირავებულ შრომას და წარმოების მექანიზაციას ემყარება (მირზოევის ბამბეულის ძაფსართავი ფაბრიკა, ადელხანოვის ტყავის ქარხანა, ავეჯის, ლუდის და სხვა საწარმოები). ამ საწარმოთა უმრავლესობაში ადგილი აქვს ორთქლის ძრავის გამოყენების ფაქტებს.

4. 80-იანი წლებიდან თბილისის მრეწველობაში მასობრივად ხდება ორთქლის ძრავის გამოყენება. ეს პროცესი შეიმჩნევა მრეწველობის ყველა დარგში (ტყავის წარმოება, საფეიქრო წარმოება, ხე-ტყის დამუშავება, საპნისა და სანთლის წარმოება და სხვ.). ამ დროიდან იწყება თბილისის მრეწველობაში მასობრივად გადასვლა მანქანურ წარმოებაზე.

5. განსაკუთრებით ფართო მასშტაბებს იღებს თბილისის კაპიტალისტური მრეწველობა მე-19 საუკუნის 90-იანი წლებიდან. ძირითადში უკვე განხორციელებულია მანქანურ წარმოებაზე გადასვლა; ფაბრიკულ-ქარხნული წარმოება ტონის მიმცემია ამ დროის თბილისის მრეწველობაში.

6. XIX საუკუნის მეორე ნახევარში თბილისის კაპიტალისტური მრეწველობის განვითარების პარალელურად არსებობდა ხელოსნური წარმოებაც, რომელსაც XX საუკუნის დამდეგისთვისაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა. ხელოსნობას წამყვანი ადგილი ეკავა თბილისის ეკონომიკაში XIX საუკუნის რეფორმამდელ ხანაში, სადაც 50-იანი წლების ბუა ხა-

ნებისთვის 90-მდე დარგის ხელოსანი და 93-მდე ამქარი არსებობდა.

60-იან წლებში ადგილი აქვს ხელოსნური დარგების შემდგომ დიფერენციაციას, იზრდება უცხოეთიდან და რუსეთიდან ჩამოსული ხელოსნების რიცხვი, იყენებენ დაქირავებულ შრომას და სხვ., მაგრამ მიუხედავად ამისა, ხელოსნების წილი თბილისის მოსახლეობის საერთო რაოდენობაში მაინც შესამჩნევად დაბალია 50-იან წლებთან შედარებით. ამას იწვევს მსხვილი მრეწველობის მეტოქეობა, რომელიც ამ დროიდან თბილისში მნიშვნელოვნად ვითარდება.

7. 1867 წლის სახელოსნო დებულება და ის ცვლილებები, რომელთაც ადგილი ჰქონდათ თბილისის ხელოსნურ წარმოებაში, იმ ბურჟუაზიულ გარდაქმნათა რიცხვს მიეკუთვნება, რომელიც გატარდა საქართველოში 60-იან წლებში. დებულებამ ლახვარი ჩასცა ამქრულ გაერთიანებას, როგორც ძველი წარმოების წესის გადმონაშთს და ამით გზა გაუკაფა კაპიტალისტური წარმოების განვითარებას.

8. რეფორმის შემდეგდროინდელ თბილისში ხელოსნების შეფარდება ქალაქის მოსახლეობასთან საგრძნობლად მცირდება. 1868 წელს იგი შეადგენს მოსახლეობის 7%, 1875 წელს—8,1% 1877 წელს—7,6% 1883 წელს—6,1%, 1887 წელს—6,3%, 1888 წელს—4,6%, 1892 წელს—4% და 1897 წელს—5%.

თანდათან იზრდება ქარგალთა და შეგირდთა დენადობის პროცესი, რომელთა უმრავლესობა ფაბრიკა-ქარხნებში გარბის სამუშაოდ. კაპიტალისტური მრეწველობა ამ გზითაც ახდენს ხელოსნური წარმოების ექსპროპრიაციას—ართმევს პროდუქციის გასაღების ბაზარს და მუშახელსაც.

აღნიშნულ პერიოდში ხელოსნურ წარმოებაში ღრმად იჭრება კაპიტალისტური ელემენტები, რაც პირველ რიგში დაქირავებული შრომის გამოყენებაში გამოიხატება. კაპიტალისტური მრეწველობის კონკურენციის პირობებში ოსტატები ცდილობენ გაახანგრძლივონ შეგირდობის და ქარგლო-

ბის ვადები, რითაც ახანგრძლივებენ მათ ექსპლოატაციასაც. ეს გარემოება იწვევს ქარგლებისა და შეგირდების რიცხვის ზრდას, რომლებიც ამ დროისათვის დაქირავებული მუშის მდგომარეობაში ვარდებიან. მათ გვერდით ოსტატი ქირაობს შავ მუშებსაც. ასეთ პირობებში „წვრილი სასაქონლო წარმოების ტენდენცია იხრება დაქირავებული შრომის სულ უფრო და უფრო მეტად გამოყენებისაკენ“ (ლენინი, ტ. 3, გვ. 40)შედარებით ნელა იზრდება ოსტატების რიცხვი.

კაპიტალისტური მრეწველობის განვითარებასთან ერთად ხდება ხელოსნური წარმოების შემდგომი ევოლუცია. ბევრი სახელოსნო იხურება მსხვილი წარმოების კონკურენციის შედეგად. ხელოსანი ამის შემდეგ თვით იქცევა კაპიტალისტური მრეწველობისათვის დაქირავებულ მუშად. სწორედ „წვრილ მწარმოებელთა ექსპროპრიაცია ქმნის დაქირავებულ მუშათა მასას“ (ლენინი, ტ. 3, გვ. 691). იგი არის ერთ ერთი წყარო თბილისის მრეწველობისათვის მუშახელის მიწოდებისა.

10. ჩვენში კაპიტალიზმი რუსეთთან მჭიდრო კავშირში და ამ უკანასკნელის უშუალო გავლენით ვითარდებოდა. რუსეთის ცარიზმი დაინტერესებული იყო კავკასია ძირითადში მისი საქონლის ბაზარი და ნედლეულის წყარო ყოფილიყო და ამიტომაც, ყოველმხრივ აფერხებდა აქ ადგილობრივი მრეწველობის განვითარებას. მიუხედავად ამისა, ობიექტურად ჩვენში მაინც განვითარდა კაპიტალისტური მრეწველობა, მაგრამ იგი ცალმხრივად წარიმართა. ვერ განვითარდა მრეწველობის ისეთი დარგები, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკას მეტ თვითმყოფობას მისცემდნენ, (როგორიცაა მძიმე მრეწველობა). მხარის კოლონიური მდგომარეობით იყო გაპირობებული თბილისის მრეწველობის საერთო ჩამორჩენილობა მე-19 საუკუნეში, რამაც განსაკუთრებით მე-20 საუკუნის დამდეგისათვის იჩინა თავი. სწორედ საერთო კაპიტალისტური განვითარების დონესთან შედარებაში იხილავდა თბილისს ი. ბ. სტალინი 1910 წელს, როდესაც ლაპარაკობდა მასზე როგორც „კავკასიის მხოლოდ და მხოლოდ ადმინისტრაციულ—საეკონომიო და „კულტურულ“ ცენტრზე და ახა-

ᲡᲘᲐᲗᲔᲑᲓᲐ მას როგორც არასამრეწველო ქალაქს (სტალინი, „წერილები კავკასიიდან“, ტ. 2, გვ. 188).

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში თბილისის მრეწველობა განვითარდა კაპიტალისტურ მრეწველობად. თბილისის მრეწველობის შეფასებისას უნდა ვხელმძღვანელობდეთ ვ. ი. ლენინის დებულებით, რომელიც მას რუსეთის მიმართ აქვს გამოთქმული: „თუ რუსეთის წინაკაპიტალისტურ ეპოქას შევადარებთ კაპიტალისტურ ეპოქასთან (და სწორედ ასეთი შედარებაა საჭირო საკითხის სწორად გადასაჭრელად), მაშინ უნდა აღვიაროთ, რომ საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარება კაპიტალიზმის დროს უაღრესად სწრაფად მიმდინარეობს“ (ლენინი, ტ. 3, გვ. 712). ლენინი განვითარების საერთო დონესთან შედარებით რუსეთის კაპიტალიზმის განვითარების ნელ ტემპებს ხსნიდა კაპიტალიზმისათვის შეუთავსებელი ძველებური დაწესებულებების არსებობით, რომლებიც აფერხებდნენ მის განვითარებას (ტ. 3, გვ. 712). ასეთივე მდგომარეობას ჰქონდა ადგილი საქართველოში— თბილისშიც, რომელიც რუსეთის კოლონიას წარმოადგენდა და, სწორედ, ეს კოლონიურობაც ერთვოდა ზედ საერთო ჩამორჩენილობას.

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი

თავი პირველი

მრეწველობის ცალკეული დარგები 70—80-იან წლებში 6
ტყავის დამუშავება 6
თამბაქოს წარმოება 13
საპნისა სტეარინის და სანთლის წარმოება 24
ხე-ტყის-დამმუშავებელი მრეწველობა (სახერხები, ეტ-ლების, ავეჯისა და ფანერის წარმოება) . . 29
ლუდის, სპირტის და ხელოვნური მინერალური წყლების წარმოება . 36
მექანიკური წარმოება 43
აგურის წარმოება . . . 53
მრეწველობის სხვა დარგები 56

თავი მეორე

თბილისის მრეწველობის ზრდა 70 — 80-იან წლებში . 68

თავი მესამე

ორთქლის ძრავის გაჩენა თბილისის მრეწველობაში, მანქანურ წარმოებაზე გადასვლის დასაწყისი 77

თავი მეოთხე

თბილისის მრეწველობის ზრდა 90-იან წლებში,მანქანური წარმოების შემდგომი განვითარება 91

თავი მეხუთე

ხელოსნური წარმოება 103
1867 წლის სახელოსნო დებულება და სახელოსნო სამმართველოს შექმნა 103
ხელოსნური წარმოება თბილისში რეფორმისშემდგომ ხანაში 120
დასკვნა 145

Натэла Самсоновна Родоная

ПРОМЫШЛЕННОСТЬ Г. ТБИЛИСИ ВО ВТОРОЙ ПОЛОВИНЕ XIX ВЕКА

(Пореформенный период).
(на грузинском языке)

Издательство АН Грузинской ССР
Тбилиси—1961

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

*

რედაქტორი პ. რატიანი
გამომცემლობის რედაქტორი ს. ჩიჩუა
ტექრედაქტორი ნ. ჯაფარიძე
კორექტორი ლ. გორდელაძე

გადაეცა წარმოებას 15.8.1961; ანაწყობის ზომა $5^1/_2 \times 9$; ხელმოწერილია
დასაბეჭდად 4.10.1961; ქაღალდის ზომა $84 \times 108^1/_{32}$;
ქაღალდის ფურცელი 4,75; საბეჭდი ფურცელი 7,7; საავტორო
ფურცელი 6,92; სააღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 7,04;
შეკვეთა 1075; უე 02900; ტირაჟი 1000
ფასი 46 კაპ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა,
თბილისი, ზ. ტაბიძის ქ. № 3/5